საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი

ნუგზარ კუკურის ძე გოგიაშვილი

შ ა ლ ვ ა კ ა რ მ ე ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა დ ა შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა

(1899_1923)

სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

ქართული ლიტერატურა – 10.01.01

სამეცნიერო ხელმძღვანელი **ინგა მილორავა** ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი

2005 წ.

შინაარსი

შესავალი.

თავი I შალვა კარმელის ცხოვრება.

I.I. შალვა კარმელი და «ცისფერყანწელთა» ბოჰემური ცხოვრება.

თავი II შალვა კარმელის არქივი.

II.I. შალვა კარმელის წიგნები.

II.II. ავტორისეული ტექსტების დამახინჯებანი.

II.III. ავტორისეული ვარიანტები.

თავი III შალვა კარმელის შემოქმედება.

III.I. შალვა კარმელის სონეტები.

III.II. «მამულო, ძვირფასო, რაინდთა მამულო».

III.III. «აპოკალიპსის ცხენები».

III.IV. ადრეული ლექსებიდან.

III.V. პოემები.

III.VI. ვოდევილი «ორი მშიერი».

III.VII. საბავშვო ლექსები.

თავი IV შალვა კარმელის ლექსების სტრუქტურა.

დასკვნა.

გამოყენებული ლიტერატურა.

შესავალი

დიდი ფრანგი მოაზროვნე და განმანათლებელი დალამბერი წერდა: «ასეთია ჩემის აზრით მკაცრი, მაგრამ სამართლიანი კანონი, რომელსაც ჩვენი საუკუნე თავს

ახვევს პოეტებს: ის აღარ აფასებს პოეზიაში არაფერს, რასაც აღტაცების ღირსად არ მიიჩნევდა პროზაში».[1]

გამოჩენილი ფრანგი მწერალი პოლ ვალერი ასე პასუხობს დალამბერის გამონათქვამს: «ღმერთმა იცის, რამდენი ენერგია შეალიეს პოეტებმა «დალამბერის ამ თეორემის» გაბათილებას, მას შემდეგ, რაც ის ჩამოყალიბებულ იქნა!»...[2] და მართლაც «დალამბერის თეორემის» გამოქვეყნების შემდეგ გადის თითქმის ასი წელი და ფრანგული ლიტერატურული შემოქმედების ასპარეზზე გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ ახალი სიტყვა ეთქვათ პოეზიაში. XIX საუკუნის 50-იანი წლების დიდებული პარნასელი პოეტების: შარლ ლეკონტ დე ლილის, თეოდორ დე ბანვილის, ხოზე მარია ერედიას, კატულ მენდესის, თეოფილ გოტიეს და სხვათა შემოქმედების კვალდაკვალ, XIX საუკუნის 70-80 წლებისათვის იქმნება ახალი ლიტერატურული მიმდინარეობა _ სიმბოლიზმი. ამ ნოვატორთა ჯგუფში გაერთიანებული პოეტების: პოლ ვერლენის, არტურ რემბოსა და სტეფანე მალარმეს გვერდით მალე აღმოჩნდა შარლ ბოდლერი. მათი რიგები შემდგომში გაიზარდა ჟიულ ლაფორგით, გუსტავ კანით, რენე გილით და სხვებით. სუბიექტურ იდეალიზმზე დაყრდნობილი მათი ფილოსოფია ბევრის მიერ არ იქნა გაზიარებული. თვით ვიქტორ ჰიუგოც კი ჯერ კიდევ 60-იან წლებში ბოდლერს წერდა: «რას აკეთებთ თქვენ პირადად, როცა ესოდენ საოცარ ლექსებს წერთ, იმდაგვარებს, როგორიცაა «შვიდი მოხუცი» და «დედაბერი»... თქვენ ამდიდრებთ ხელოვნების ცის თაღს ახალი, მიცვალებულივით უფერული სხივით. თქვენ ჯერ განუცდელ ჟრჟოლას იწვევთ... განმარტოებით მდგარი პოეტი წინ ვერ წავა, მას გვერდით ადამიანი უნდა ჰყავდეს. კაცობრიობის ნაბიჯები _ ეს ამავე დროს ხელოვნების ნაბიჯებიცაა. მაშ ასე, დიდება პროგრესს».[3]

რთული და ეკლიანი გზების მიუხედავად ფრანგულმა სიმბოლიზმა გაიკვალა გზა ევროპის სხვა ქვეყნების პოეტებისაკენ და დიდი გავლენა მოახდინა რუსი სიმბოლისტების შემოქმედებაზე, რომელთაგან აღსანიშნავია: ა. ბლოკი, ვ. ბრიუსოვი, კ. ბალმონტი, ა. ბელი, ზ. გიპიუსი, ვ. სოლოვიოვი, ვ. ივანოვი და სხვები. რუსი

[1] პოლ ვალერი»რჩეული პროზა» თბილისი. «ნაკადული» 1983 თარგმ. ბაჩანა ბრეგვაძის. გვ. 204
[2] პოლ ვალერი»რჩეული პროზა» თბილისი. «ნაკადული» 1983 თარგმ. ბაჩანა ბრეგვაძის. გვ. 205.
[3] მურავიოვა. «ჰიუგო». 1964წ. გვ. 248. თარგმ. ე. გოგოლაშვილის.

სიმბოლისტების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში უდიდესი გავლენა მოახდინა დოსტოევსკის, კანტის, შოპენჰაუერის და ნიცშეს შემოქმედებამ.

არც რუსი სიმბოლისტების გზა ყოფილა ვარდნარით მოფენილი. თვით ლევ ტოლსტოიმ თავის წიგნში «Что такое искусство» ასეთი აზრი გამოთქვა მათ შესახებ: «В последнее время не только туманность, загадочность, темнота и недоступность для масс поставлены в достоинство и условие поэтичности предметов искусства, но и неточность, неопределённость и некрасноречивость».[4]

ცალკე ფრანგულმა, ცალკე რუსულმა სიმბოლიზმმა ასევე დიდი გავლენა მოახდინა ქართული სიმბოლისტური სკოლის ჩამოყალიბებაზე.

ევროპული რომანტიზმის ტრადიციებზე აღმოცენებული, «პარნასელთა» დახვეწილი ესთეთიკისა და ფართო მხატვრული განზოგადებების, ფრანგული პეწით აღვსილმა თემატიკამ თუ მითოლოგიური გმირების სახეთა გალერეამ, საკუთარი სულის სიღრმეებში ფათურის ედგარ პოსეულმა ძიებების გავლენამ, შექმნა ის საოცარი მაღალმხატვრული თვალთახედვისა და შემოქმედების წინაპირობა, რომელმაც გრიგოლ რობაქიძის ჯერ ქართული, შემდგომში კი მისი გერმანულენოვანი ნაწარმოებები აქცია თანამედროვე გერმანული ლიტერატურის კლასიკად, აღიარებული თვით გერმანელების მიერ, ხოლო ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, კოლაუ ნადირაძის და სხვა «ცისფერყანწელთა» შემოქმედებამ თავისი ღირსეული ადგილი დაიკავა ქართული თანამედროვე პოეზიის ქმნილებებს შორის.

პროფესორი გურამ ბენაშვილი წერილში «ცისფერყანწელის» ამაყი და კეთილშობილი სილუეტი», რომელიც შალვა კარმელის დაბადებიდან ასი წლისთავს ეძღვნება, აღწერს იმ დაუნდობელ ბრძოლას, რომელიც გამოუცხადა ქართველ სიმბოლისტებს ქართველი მწერლების ერთმა ჯგუფმა.

«1920 წლის გაზაფხულზე ჟურნალ «მშვილდოსანის» გამოსვლასთან დაკავშირებულ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში, ახალი ლიტერატურული თაობის წინააღმდეგ განწყობილ მწერალთა ჯგუფის «ცნობილი ლიდერი» მარუთა

[4] Л. Н. Толстой. Собр. соч. I серия. VIII Т. 1912 г. стр. 91-92.

შუამდინარელი გაზეთ «სახალხო საქმეში» ასეთი ოდიოზური აქცენტებით გამოხატავდა შეურიგებელ ოპოზიციონერთა თვალსაზრისს...

«--- Известный поэт и философ Бакинец №33 _ გროგოლ რობაქიძე, რომელიც ყოველთვის სავალდებულოდ თვლიდა ქართული ლექსის წამებას...

... რუსეთის შეგირდი და გაკეთებული ნიჭის პატრონი _ ვალერიან გაფრინდაშვილი...

პოეზიის პარალიჩი _ ტიციან ტაბიძე....

..იგივე თავხედობა და ის ყიზილბაშური საქციელი, რითაც თავი ისახელა «ცისფერმა ყანწებმა».[5]

არც «ცისფერყანწელები» რჩებიან ვალში და გრიგოლ რობაქიძე გაზეთ «საქართველოში» 1920 წელს გამოქვეყნებულ წერილში «შუამდინარელს», ასეთი «ეპითეტებით» ამკობს მას: «წარმოდგენილი გაქვთ რომელიმე მწერალი, რომელიც სხვისი სახელით გამოდიოდეს ლიტერატურაში! წარმოდგენილი გაქვთ ისეთი მწერალი, რომელმაც მაგალითად თავის თავი გამოაცხადოს ან რონსარად და ან რაბლედ?! უკანასკნელი სიყალბე უნდა იყოს ადამიანის ბუნებაში, რომ ამ სახით აცხადოს მან თავის თავი. სრულიად მოკლებული უნდა იყოს ადამიანი საკუთარ ვინაობას, რომ მიითვისოს სხვისი ვინაობა».[6]

ქართული სიმბოლისტური სკოლის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულეს უცხოეთიდან დაბრუნებული გრიგოლ რობაქიძის საჯარო ლექციებმა.

«...» მან წილის», არჩილ ჯორჯაძის, დიმიტრი უზნაძის, ლევან მეტრეველის, გრიგოლ რობაქიძის პაექრობა დისკუსიის ეთიკის გაკვეთილია» _ წერს აკაკი ბაქრაძე წიგნში «კარდუ».[7]

« ... გრ. რობაქიძეს უთხრეს თავისი დასტური არჩილ ჯორჯაძემ და კიტა აბაშიძემ. ამ ორი პიროვნებით იწურება ქართული ესთეთიკური კულტურა გრ. რობაქიძემდე. გრ. რობაქიძის ლექსები პირველი სიმბოლისტური ლექსებია»[8]

---

[5] გურამ ბენაშვილი. შესავალი შ.; კარმელის წიგნისათვის «ბაბილონი». თბილისი _2000
[6] გრ. რობაქიძე. «შუამდინარელს». გაზეთი «საქართველო». 1920 №98
[7] აკაკი ბაქრაძე. «კარდუ». თბილისი. 1999. გვ. 34.
[8] «ცისფერი ყანწები». 1916. №1 გვ. 22-23

ხოლო თვითონ გრ. რობაქიძე ასეთი აზრის იყო სიმბოლისტთა თავკაცობის შესახებ:

«ახალგაზრდა პოეტებმა «თავიანთი სახელები შეუერთეს ჩემს შემოქმედებით სახელს. ჩემი ლიტერატურული გზა აღინიშნა, _ პოეტური სიტყვისა თუ ესთეტიკური ცდების სფეროში, _ ევროპაში გაფორმებული და რუსეთში გართულებული სიმბოლური მსოფლაღქმის შემოქმედებითი შემოტანით ქართველი ხალხის მხატვრულ ცნობიერებაში. მე ყოველთვის იმ მსოფლშეგრძნებას ვიაზიარებდი, რომ აღმოსავლეთი ევროპულ დასავლეთზე უფრო სიმბოლურია. იმთავითვე ვფიქრობდი, რომ საქართველო, როგორც აღმოსავლეთის რაღაც ნატეხი, შესაძლებელია ბოლომდე განი-საზღვროს მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლიზმის ხაზებში. ამ აზრის საგრძნობ დადასტურებას ვპოულობდი რუსთაველის მხატვრულ ფენომენში, რომლის გენია ჭეშმარიტად არის ქართული მხატვრული სიტყვის ამოუწურავი პოტენცია. აქედან, წმინდად მხატვრული ხასიათის ამოცანა იყო, ევროპული სიმბოლიზმის ტექნიკით (თავისებური აზრით ვიღებ ამ სიტყვას) ქართული აღმოსავლეთის სიღრმეში წვდომის მხატვრული გაფორმება. თავის თავად იგულისხმება, რომ ვერც აქ განვსჯით და ვერც მე განვსჯი კითხვას _ როგორ გადაწყდა დასმული ამოცანა. ფაქტი ოდენ ის არის, რომ ახალგაზრდა პოეტები მოვიდნენ ჩემთან, როგორც უფროს ძმასთან და მეც სიხარულით მივეცი მათ თავიანთი ჟურნალის პირველი ნომრისათვის ჩემი საყვარელი ლექსი «სირენის სიმღერა».[9]

შემდგომში თვით გრიგოლ რობაქიძემ არა-ერთი წერილი მიუძღვნა «ცისფერყანწელთა» შემოქმედებას. მაგ. წერილი «დაბრუნება მიწასთან (ქვესათაურით) როგორც კერძო ბარათი». (გაზეთი «რუბიკონი» 1923 №1, 4.), სადაც მიმოხილულია «ცისფერყანწელთა» შემოქმედება.

ტიციან ტაბიძეც მიმოიხილავს «ცისფერყანწელების» შემოქმედებას თავის წერილში «მიმოხილვა» გაზეთში «პოეზიის დღე» (№1 1923. მაისი). ივ. გომართელი აქვეყნებს წერილს კოლაუ ნადირაძის წიგნზე «ბალდახინი» და ა.შ.

ქართველი სიმბოლისტების შემოქმედების განხილვას არაერთი მეცნიერული შრომა თუ გამოკვლევა მიეძვღვნა შემდგომშიც: აკაკი ბაქრაძის წიგნი «კარდუ»,

[9] ARS. 1918. II-III. გვ. 47

(თბილისი, გამ. «ლომისი», 1999), სოსო სიგუას წიგნი «ქართული მოდერნიზმი» (თბილისი, გამ. «დიდოსტატი», 2002), გურამ ბენაშვილის დისერტაცია _ «ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედება, ბელა წიფურიას დისერტაცია _ «ქართული სიმბოლისტური სკოლა», ამირან გომართელის წიგნი _ «ქართული სიმბოლისტური პროზა». პეტრე ჩხეიძის წიგნი «ქალდეას მონატრება» (თბილისი. გამ. «ლომისი» 2002) და სხვა.

ქართველი სიმბოლისტების გაერთიანების, ანუ «ორდენის» (როგორც თვითონ უწოდებდნენ თავიანთ კავშირს) _ «ცისფერი ყანწების» _ წევრებს შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო შალვა კარმელი (გოგიაშვილი).

22 წლის პოეტის შემოქმედებამ ძალიან მაღალი შეფასებები დაიმსახურა მისი უფროსი კოლეგების მხრიდან:

«შალვა კარმელი ჩუქურთმების ოსტატი იყო პოეზიაში. ყველა მისი ლექსი ამოჭრილი იყო მარმარილოზე თუ სპილენძზე». წერდა პაოლო იაშვილი.[10]

«არც ერთი ქართველი პოეტი ისეთი დაუღალავი სისწორით არ ახორციელებდა თავის ლექსებში ფორმულას ქალურ და ვაჟურ რითმების შესახებ, როგორც შალვა კარმელი». თითქოს პასუხობდა და კვერს უკრავდა პაოლოს ვალერიან გაფრინდაშვილი.[11]

ვიდრე შალვა კარმელის შემოქმედების განხილვას შევუდგებოდეთ, გავეცნოთ თუ როგორი იყო მისი ასე მოკლე და ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრება.

თავი I

შალვა კარმელის ცხოვრება

შალვა კარმელი (გოგიაშვილი) დაიბადა 1899 წელს ქ. ქუთაისში. მამა _ პავლე გოგიაშვილი, ავეჯის ოსტატი, ზემო სიმონეთიდან ჩასახლებულა ქუთაისში (ყოფილი მახარაძის, ამჟ. კოსტავას ქ.) და სადურგლო სახელოსნო ჰქონდა. დედა _ მატრონე კუტალაძე _ დიასახლისი იყო.

[10] პაოლო იაშვილი «კარმელი მართალი». გაზ. «რუბიკონი». №3. 1923წ.
[11] ვალერიან გაფრინდაშვილი. «შალვა კარმელი». გაზ. «რუბიკონი» №3. 1923წ.

ჰყოლიათ შვიდი შვილი: 4 ვაჟი და 3 ქალი _ ნიკოლი, შალვა, იური, კუკური (დავითი), ლუდმილა (ლუტა), ტატიანა (ტოტილო) და თამარი.

«დაბალი, სუფთა, ფიცრული ოდა» ჰქონიათ.[12]

შალვა ქუთაისის გიმნაზიაში შესულა სასწავლებლად. შალვა კარმელის გიმნაზიელი მეგობარი იოსებ ბარათაშვილი იგონებს: «ლექსების წერა ადრე დაიწყო. 1916 წლიდან მე იგი ხშირად მიკითხავდა და მაძლევდა, ზოგჯერ უბის წიგნაკშიც ჩამიწერდა ხოლმე თავის ლექსებს...

...შალვა კარმელი წყნარი, მშვიდობიანი, ფაქიზი, ყველასათვის საყვარელი ადამიანი და ამავე დროს, მეტად ნიჭიერი პოეტი იყო. ...გიმნაზიაში ყოფნის დროს შალვა გატაცებული იყო ჰუმანიტარული საგნებით, ხოლო მათემატიკა არ უყვარდა. ერთხელ, მე-7-ე კლასში ყოფნისას, 1917 წელს, ის გეომეტრიაში გამოიძახეს დაფასთან, მაგრამ თეორემა ვერ ახსნა. მე სანუგეშებელი ბარათი მივწერე, რაზედაც მან იმავე წამს დაწერა და გადმომცა ქვემოდ მოყვანილი ლექსი:

«ეგ მასხრობა რომ არ ვიცი,
განა დიდი ბრალია?
უკვდავ მგოსანს სათამაშოდ
ძმაო, მე არ მცალია.
მეცინება, შეფარდება
კათეტების კათეტებთან,
ყველა ერთად გაწყვეტილა
მილიუკოვ და კადეტებთან».

საერთოდ, ბევრ ლექსს იგი კლასშივე წერდა რვეულიდან ამოხეულ ფურცლებზე».[13]

იოსებ ბარათაშვილმა, სიკვდილის წინ, გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმს გადასცა შალვა კარმელის 27 ხელნაწერი.

«1915 წელს, შემოდგომაზე, ჩემთან მოვიდა ბავშვი, რომელმაც დამიტოვა რვეული ლექსების და თითქმის ვერაფერი მითხრა. ის იყო, როგორც ნიბლია. გადავიკითხე ლექსები და იმ ღამესვე წავედი ვალერიან გაფრინდაშვილთან. ბავშვურ

[12] «ქუთაისში» გაზ. «რუბიკონი». №4 1923.

შთაგონაბში ჩვენ დავინახეთ მომავალი ძმა ჩვენს ორდენში _ შალვა კარმელი. იმ დღიდან ჩვენ ძმები ვიყავით» წერდა პაოლო იაშვილი.[14]

ამ ფაქტიდან გადის მხოლოდ ერთი წელი და შალვა კარმელის ლექსები უკვე ცენტრალური პრესის ფურცლებზე ჩნდება.

«მე მაგონდება პირველი მისი ლექსები, რომელიც მე დავბეჭდე «საქართველოში». მე მაშინვე გამაკვირვა მისმა სინაზემ და ფორმის სისრულემ». წერდა ტიციან ტაბიძე შალვა კარმელისადმი მიძღვნილ წერილში.[15] უფრო ზუსტად, კარმელის ორი ლექსი: «ფიქრი ნაწყვეტი» და «სულის ლეგენდა» გამოქვეყნდა გაზეთ «საქართველოს» (№254) სურათებიან დამატებაში (№45) 1916 წლის 13 გიორგობისთვეს. (ნოემბრი, კვირა) და არა ლექსი «რიონი», როგორც ეს აღნიშნულია 1970 და 1982 წლის კარმელის ლექსების წიგნის შესავალში. შ. კარმელის ლექსი «რიონი» გამოქვეყნებულია გაზეთ «საქართველოს» (№51) სურათებიან დამატებაში (№10) 1917 წლის 5 მარტის (კვირა) ნომერში, კარმელის ლექსების პირველი პუბლიკაციის 3 თვის შემდეგ.

ეს ლექსები: «ფიქრი ნაწყვეტი» და «რიონი» არცერთ გამოცემაში არ შესულა, რადგან ახლახანს იქნა მიკვლეული, ხოლო ლექსი «სულის ლეგენდა» - 1917 წლის ვარიანტი განსხვავდება და უფრო პოეტურია, ვიდრე შემდგომი ვარიანტი.

შალვა გოგიაშვილმა ფსევდონიმად «კარმელი» აირჩია. კარმელი ბიბლიური მთაგრეხილია პალესტინაში და ქალაქი ხაიფა კარმელის მთის ძირში მდებარეობს. ჯვაროსნული ლაშქრობების დროს იეზუიტმა ბერებმა ამ მთაზე 1156 წელს დააარსეს მონასტერი და დასაბამი მისცეს «კარმელიტების ორდენს». კარმელიტები ყველაზე ღვთისმოსავნი არიან და ფეხშიშველნი დადიან. თვითონ კარმელი ლექსში «მარტოობა» ასე ხსნის თავის ფსევდონიმს:

« ...ჩემთვის მყუდრო მარტოობა
არის სევდის გამქარველი,
მარტოობა რომ შევიტკბე,
მიტომ მქვია მე კარმელი!»

---

[13] ი. ბარათაშვილი. «მოგონება შალვა კარმელზე». «ლიტერატურის მატიანე». 1982წ. №7-8
[14] პაოლო იაშვილი. «კარმელი მართალი» გაზ. «რუბიკონი» №3. 1923წ.
[15] ტ. ტაბიძე. გაზ. «რუბიკონი», №3, 1923 წ.

ხოლო მოგვიანებით დაწერილ ლექსში «ავტოპორტრეტი პროფილში» (1920წ). შალვა კარმელი შემდეგნაირად ხსნის თავის ფსევდონიმს:

«დავკარგე გვარი, შევამცირე მისი გაისი
და ცრუ სახელად ავირჩიე კარმელი, ძვირი,
ახ! ალბათ ვინმეს ვეგონები უდაბნოს მწირი,
სხვა უდაბნოა საქართველო და ქუთაისი».

შალვა კარმელის უმცროსი ძმა _ მწერალი კუკური გოგიაშვილი იგონებს: «1917 წელს, რევოლუციის მოხდენის დღეს (იგულისხმება თებერვლის რევოლუცია), იგი ყვირილით მომვარდა: «მეფე აღარა გვყავს! მეფე ჩამოაგდეს! გაუმარჯოს თავისუფლებას!» მე მაშინ ხუთი წლის ვიყავი და ცხადია ვერაფერი გავიგე. მან ხელი დამავლო და ჭიშკრის თავზე მაღლა შემსვა და თან მითხრა: «პატარა ხანს იყავი მანდ, ჩვენ წითელი დროშა არა გვაქვს და შენი წითელი ქოჩრით იოლად გავალთ. დროშის მაგივრად გვჭირდები!» _ მე შემცივდა და ტირილი დავიწყე. მან მცირე ხნის შემდეგ სიცილით გადმომსვა და თან მითხრა: «_ ყველა გახარებულია, შენ კი ტირი, ნუთუ არ გიხარია მეფის ჩამოგდება? დასაჭერი ხარ!» მართლაც, როცა ქუჩაში გავიხედე, გულზე ლენტები ჰქონდათ დიდსა და პატარას.[16]

შალვა კარმელმა თავისი აღფრთოვანება მეფის ჩამოგდებით გამოხატა 1917 წელს დაწერილ ლექსში «ალამზე».

«მამულო, ძვირფასო, რაინდთა მამულო,
წინაპართ სისხლითა მოცვარულ-ნამულო
.....
.....
... აწ ველარ დაგვსუსხავს ქარ-ყინვა რუსთ ველის-
დღეს ზეიმს გადიხდის სამშობლო რუსთველის!...»[17]

ლექსი გამოქვეყნდა 1917 წლის ივლისში გაზეთში «ჩვენი ქვეყანა». ამ ლექსში ნათლად სჩანს შალვა კარმელის, როგორც ქართველი პატრიოტის სასურველი და

[16] კ. გოგიაშვილი. წერილი «წარსულიდან». პირადი არქივი
[17] შალვა კარმელი. ლექსი ალამზე». გაზ. «ჩვენი ქვეყანა». 1917წ. №9. ივლისი.

სანუკვარი იმედები. მისი დიდი პატრიოტობის შესახებ მიუთითებდა პაოლო იაშვილი მოგვიანებით თავის წერილში შალვას მამისადმი. ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

აღსანიშნავია, რომ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში არსებულ რაჟდენ გვეტაძის არქივში ინახება ალბომი, სადაც ავტორებს საკუთარი ხელით ჩაუწერიათ ლექსები და მინიატურები. ესენი გახლავან: დავით კლდიაშვილი, ია ეკალაძე, შოთა დადიანი, ხარიტონ ვარდოშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, რაჟდენ გვეტაძე, ცვარნამი, შალვა კარმელი, ლადო მაჭავარიანი, კოლაუ ნადირაძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, სანდრო ცირეკიძე და სერგო კლდიაშვილი.[18] შალვა კარმელის ხელით ჩაწერილია ორი ლექსი: «სონეტი ეთერის ქალებს» და «ნემეზიდა». შ. კარმელის ჩანაწერები გაკეთებულია თარიღის გარეშე, მაგრამ თუ სხვა ჩანაწერების მიხედვით ვიმსჯელებთ, მათი უმრავლესობა გაკეთებულია 1918 წლის ივლისში. კარმელის ლექსების ვარიანტები ალბომში და 1921 წელს შ. კარმელის მიერ გამოცემულ ლექსთა კრებულში «ბაბილონი» საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.

შალვა კარმელის უმცროსი ძმის _ მწერალ კუკური გოგიაშვილის მოგონებიდან: «ჩემი უფროსი ძმა _ პოეტი შალვა კარმელი სწავლობდა თბილისში, სახელმწიფო უნივერსიტეტში, თან მუშაობდა საბავშვო ჟურნალ «ჩინჩხალის» რედაქციაში. ერთხელ ეს ჟურნალი გამომიგზავნა ქუთაისში, რომელშიაც წავიკითხე იქ დაბეჭდილი ლექსი «მეხრე». მე ვიფიქრე, რომ ალბათ ასეთი ჟურნალი ერთი ცალი გამოვიდა მეთქი. ლექსს «მეხრე» შევუცვალე ტექსტი და თბილისში გავუგზავნე ძმას. ერთ კვირაში პასუხი მომივიდა ლექსად.

კუკურის

ძმაო, ლექსი გამოგითქვამს
თავწითელის ფსევდონიმით.
«ჩინჩხალიდან» აგიცინცლავს
სტრიქონები ციურ ღიმით...»

ლექსს ბოლოში შემდეგი მინაწერი აქვს: «ეს ლექსი დაგიწერე უცბად კანცელარიაში: მეტის გასაგრძელებლად არა მცალია. შ.კ.»

[18] გ. ლეონიძის სახ. ქართ. ლიტ. მუზ. რ. გვეტაძის არქივი. ფ. №3661.

«მაშინვე მიმხვდარა ჩემი ძმა ჩემს ეშმაკობას. ჩემს პატარაობისას ჩვენს სახლში ცხოვრობდა შვიდი წლის განმავლობაში მწერალი, ჩემი ძმის ნათლიმამა _ რაჟდენ გვეტაძე. საღამოობით იკრიბებოდნენ მწერლები: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე და სხვები, რომლებიც მართავდნენ ხოლმე რითმების ტურნირს და ერთმანეთს უკითხავდნენ ახალ ლექსებს».[19]

ოჯახურ არქივში ინახება აგრეთვე კ. გოგიაშვილის ბავშვობის თვითნაკეთი პატარა წიგნაკი, სადაც შალვა კარმელის ხელით ჩაწერილია 17 ლექსი (უმეტესად საბავშვო) და რაჟდენ გვეტაძისა და შალვა ამირეჯიბის ლექსები. რაც შეეხება ამ წიგნაკის საბავშვო ლექსებს, ყველა ერთი მხატვრული დონისა არ არის. იგრძნობა, რომ პატარა ძმისადმია მიძღვნილი და ოჯახურ სიტუაციებს აღწერს; რამდენიმე ლექსი საკმაოდ კარგია, ერთი-ორიც სადიდოა. ეს ლექსები დაახლოებით 1917 წელსაა დაწერილი. წიგნაკს შალვა კარმელის ხელით წარწერილი აქვს: «ლექსები ჩემს ძმას კუკურის შალვა კარმელისაგან». შალვა კარმელის საბავშვო ლექსები ჯერჯერობით გამოუქვეყნებელია.

როგორც ავღნიშნეთ, წიგნაკში რამდენიმე სადიდო ლექსია: 1. «აღდგომის ტრიოლეტი», 2. «შორი სიახლოვე», 3. «მარადი ტრფობა», 4. «ჭინკები სოფლად» და რაჟდენ გვეტაძის «კუკურის» და შალვა ამირეჯიბის «ლეკური». შ. ამირეჯიბის ეს ლექსი უცვლელად დაბეჭდილია გაზეთ «საქართველოს» 1919წ. თებერვლის ნომერში.

ორიოდე სიტყვა შალვა კარმელის და _ ლუდმილაზე, რომელსაც ლუტას ეძახდნენ. იგი მეტად კულტურული და განათლებელი ყოფილა. დაახლოებით 1916 წლის ბოლოს, 1917 წლის დასაწყისში ცოლად გაჰყოლია დავით (დათიკო) შარაშენიძეს, რომელიც ტრაპიზონში ჩვენს წარმომადგენლობაში მუშაობდა. შემორჩენილია ლუტას დედის _ მატრონე კუტალაძის წერილი, რომელიც მას ტრაპიზონში გაუგზავნია მათთვის და წერილი თავდება შალვა კარმელის ლექსით: «ექსპრომტი». ერთ სტროფიანი ლექსი თავდება შენიშვნით: P.S.

P.S. *მაპატიეთ, რომ ეს ლექსი*
გამოვიდა «კოკლე» -
მაგრამ «პროზის პოეზიას» _

[19] კ. გოგიაშვილი. «ავტობიოგრაფია». ოჯახური არქივი

ლექსი უყვარს მოკლე»...

შ. კ.»

1917წლის 8 მაისს ლექსად გაგზავნილ მეორე წერილს ტრაპიზონში შალვა ასათაურებს: «დათიკოს და ლუტას».

«...ხან კრებები, რედაქცია,

ხან მცხოვრებთა რიცხვ-აღწერა,-

ღმერთმა ყველა დააქცია

მათი თავფეხქუსლის წერა!

უგნურია ჭკუა გლახის

ვუშველიო რომ ვგონია –

იგი მაინც გაიძახის:

არ გვინდაო «ანტონია»...

(იგულისხმება ავტონომია – ნ. გ.)

ამ ლექსი _ წერილიდან ჩანს, რომ შალვა გიმნაზიის მერვე კლასშია, მუშაობს რედაქციაში, მონაწილეობს მოსახლეობის აღწერაში (საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების რეფერენდუმისათვის).

აღსანიშნავია, რომ შალვა კარმელის დამ, ლუდმილამ (ლუტამ) ტრაპიზონში ჩასული და ადგილობრივი ქართველებისაგან ჩამოაყალიბა სცენის მოყვარულთა წრე და ქართულ ენაზე დგამდნენ სპექტაკლებს. გავიდა რამდენიმე თვე. ლუტა ბავშვს ელოდებოდა. ჰამაკი ჩამოუწყდა და ნაადრევი მშობიარობის გამო ორივე _ დედა-შვილი დაიღუპა. ეს მოხდა 1917 წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვებში. შალვამ ძალიან მწვავედ განიცადა დის დაღუპვა. ამაზე მეტყველებს მისი ორი ლექსი: «ჩემთვის უკვდავ დას»:

«... წელთწყებას იქით ნაზ თვალთა რულით

შენ განახლდები ქარვის მთვარეზე

და მე, ... ო, დაო, ძმურ სიყვარულით _

გიტირებ მარად ლექსთ სამარეზე!...»

გულმკვდარი ძმა შ. კარმელი

1917წ. ხუთშაბათი. 26 ოქტომბერი»

მეორე ლექსის სათაურია: «ქარვის ტირილი»:

«... ვაკვდები ღვინოს, რომ მაკარგვინოს
წვალება მგოსანს, ხვალ საგვირგვინოს,
ვსტირი სევდისთვის, ვსტირ ისევ დისთვის _
ცას ვთხოვ ანაზდათ, რომ დაიგრგვინოს»...

1917. ოქტომბრის 27. შ. კარმელი.

ეს ორივე ლექსი დაიბეჭდა 1917 წელს გაზეთში «ჩვენი ქვეყანა» (ქუთაისი), ხოლო მეორე ლექსის სათაურით _ «ქარვის ტირილი», შალვა კარმელის მიერ მოგვიანებით სულ სხვა ლექსი დაიწერა.

შალვა კარმელს მალე მეორე დაც _ ტატიანა (ტოტილო) გარდაეცვალა. პაოლო იაშვილი ასე იგონებს იმ პერიოდის შალვა კარმელს: «როდესაც ქუთაისი მთელის შემადგენლობით ხევდა «ცისფერი ყანწების» პირველ რვეულს, შალვა კარმელი მას გულთან ატარებდა და ის გახდა წევრი ჩვენი ღამეების და ჩვენი მარტოობის. ის მუდამ სუსტი და გაფითრებული იყო. ჩვენ მას ვეფერებოდით, ვაიმედებდით, თუმცა გვეშინოდა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ის ყოველთვის ჩუმი ცრემლებით გვეტყოდა თავისი დების სიკვდილის ამბავს. ეს ორი კუბო მან შემდეგში გააზღაპრა ვარდის სურნელებით დაწერილ ლექსებში».[20] აღსანიშნავია ლექსი «გამოტირილი ჩემზე», რომელიც 1920 წელს დაუწერია და ეძღვნება «ჩემი ორი დის წმინდა ხსოვნას».

გიმნაზიაში სწავლის წლები დასრულდა _ წინ თბილისია. ახლად გახსნილ ქართულ უნივერსიტეტში სწავლა.

1920 წლისათვის შალვა კარმელი შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიტყვიერების ფაკულტეტზე. ცხოვრობდა ამჟამინდელ გრიბოედოვის ქუჩაზე ტიციან ტაბიძის მახლობლად. თბილისში ჩასვლის შემდეგ იგი ქუთაისში მყოფ კოლაუ ნადირაძეს უგზავნის წერილს:

«ძვირფასო კოლაუ!

აგერ მეორე თვეა ტფილისში ვცხოვრობთ მე და რაჟდენი (რაჟდენ გვენეტაძე. ნ.გ) ერთად. მე ვბოდიშობ, რომ წერილს დაგვიანებით გიგზავნი, მაგრამ იმედია მაპატიებ, რადგან შენი ჩვენება ხშირად იყო ჩვენთან და მეგობრობა მარტო წერილებით არ მტკიცდება. გავიგე, რომ ცოტა «უქეიფოდ» ყოფილხართ. ალბათ ახლა კარგად ხართ!

[20] პაოლო იაშვილი. «კარმელი მართალი». გაზ. «რუბიკონი» №3. 1923 წ.

ტფილისში არაფერი ახალი არ ხდება ლიტერატურაში; საყურადღებოა გრ. რობაქიძისა და გრიშაშვილის პაექრობა ამ მხრით, რომ გრიშაშვილმა უფრო გამოაშკარავა თავისი «ხელის დიდება». პაოლო და ტიციანი მოკლე ხანში საორშაბათო გაზეთს სცემენ (იგულისხმება გაზ. «ბარიკადი». ნ.გ.). წაიკითხავდი ტიციანის მანიფესტს ბათუმის გაზეთში, რომელიც ქართულ პრესაში გახმიანდა. გალაქტიონის მესამე წიგნი 170 გვერდებიანი უკვე ეწყობა და ერთ თვეში გამოვა. შეიძლება მეც გამოვცე მოკლე ხანში, თუმცა ძლიერ ძვირი ჯდება. წავიკითხე ივ. გომართელის ბიბლიოგრაფია «ბალდახინზე» (იგულისხმება კ. ნადირაძის წიგნი ბალდახინი». «მეოცნებე ნიამორების» გამოცემა. 1920. ქუთაისი. ნ.გ.). არ მაქვს სრულებით თავისუფალი დრო: ვმსახურობ და ლექციებსაც ვისმენ უნივერსიტეტში: საინტერესოა გ. წერეთლის ლექციები აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიიდან. ტფილისი დიდი ქალაქი ყოფილა, მაგრამ ჯერ მაინც არ დავკარგულვართ, რადგან უღვინოდ ახელება ძნელია, ისე კი ხანდახან ვთათარიახნობთ. აქ არის მიწიშვილი, გოგლა, სერგო, შალიკო აფხაიძე, რომელმაც ქალი ითხოვა და სხვა _ მოიკითხე ჩვენი ძველი მეგობარი ქუთაისი, რომელმაც ერთხელ კიდევ გაიხსენა თავისი მზიანი აღტაცება სოციალისტური დელეგაციის ჩამოსვლისას თურმე. მხურვალე მოკითხვა რაჟდენიდან. დაგვავალებ მეგობრულად, თუ წერილს მოგვწერ.»

მისამართი: ტფილისი: «საქართველოს» რედაქცია.

სიყვარულით შენი ძმა შ. კარმელი»[21]

ეს წერილი საყურადღებოა იმის გამო, რომ ბევრ უტყუარ ცნობას შეიცავს. შალვა კარმელის სახლი ქუთაისში 30-იან წლებში დაიწვა მთლიანად და მისი არქივი, ცოტაოდენის გამოკლებით ფაქტიურად განადგურდა.

«_ ლიტერატურული ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. თანდათანობით მკაფიო ხდება, რომ აუცილებელი იყო საერთო სამწერლო ორგანიზაციის ჩამოყალიბება. ამ საქმის მეთაურები გახდნენ კოტე მაყაშვილი, შალვა დადიანი, დავით კოპალი (კოპალეიშვილი), ლევან (ლელი) ჯაფარიძე, გერონტი ქიქოძე, ტიციან ტაბიძე და გრიგოლ რობაქიძე. მათ შეადგინეს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის წესდება. მოამზადეს და ჩაატარეს სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობა.

[21] ნ. ჩხიკვიშვილი «...და ვერ გიშველა შენ ჩვენმა ძმობამ.» გაზ. «ლიტ. საქართველო» 1996წ. II №5. გვ. 13

ყრილობამ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი შექმნილად გამოაცხადა და ამის განხორციელებას თითქმის ორი წელიწადი 1919-1920 დასჭირდა».[22]

შალვა კარმელი აირჩიეს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის და სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის საბჭოს წევრად. იგი 1921 წელს ოფიციალურად შედის «ცისფერყანწელთა» ორდენში, როგორც ნამდვილი წევრი. იგი ყველაზე ახალგაზრდა იყო მათ შორის.

თანამშრომლობს ჟურნალ-გაზეთებში: «საქართველო», «სამშობლო», «მეოცნებე ნიამორები», «შვილდოსანი», «ბარიკადი», «რუბიკონი», «ბახტრიონი» და ა.შ. 1921 წელს გამოდის შ. კარმელის ლექსთა კრებული «ბაბილონი» (გამომცემელი იოსებ ბერიშვილი. ტფილისი.)

ასეთი სისხლსავსე და ბოჰემური ცხოვრება დამღუპველი აღმოჩნდა შალვა კარმელის ისედაც შერყეული ჯანმრთელობისათვის.

«ჭლექის ნიშნები დაეტყო გიმნაზიის უკანასკნელ კლასებში, თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ეს სენი უკვე საშიში შეიქნა მისი ჯანმრთელობისათვის».[23]

შალვა კარმელის გარდაცვალებასთან დაკავშირებით პაოლო იაშვილი წერილში «კარმელი მართალი» ასე იგონებს იმ პერიოდის კარმელს: «შარშან აღდგომას, მან ყოველთვის სიცხიანი ხელით მომიტანა სიონიდან სანთელი და აღდგომის სუფრაზე ის რძის მეტს ვერაფერს სვამდა».[24]

«მხოლოდ ჭიათურის მრეწველთა საბჭოს დახმარებით (გადმოგვცა პატარა თანხა) გახდა შესაძლებელი მისი აბასთუმანში გამგზავრება».[25] წერდა შალვა აფხაიძე. 1922 წელს შალვა კარმელი მეგობრების დახმარებით მიემგზავრება აბასთუმანში სამკურნალოდ, თუმცა მისი ლექსიდან «დარდი ვაგზლების» ჩანს, რომ იგი ადრეც, 1920 წელსაც ყოფილა აბასთუმანში, რადგან ლექსს ბოლოში აქვს მინაწერი _ «აბასთუმანი _ ქუთაისი. 1920», ხოლო ლექსს «ყვითელი მესსა» აქვს მინაწერი _ «აბასთუმანი _ სასახლე. 1922.» ამ ლექსს 1970 წლის გამოცემაში სათაურად აქვს «აბასთუმანი» (?), ხოლო 1982 წლის და შემდგომ გამოცემაში _ «ყვითელი მესსა».

---

[22] აკაკი ბაქრძე. «კარდუ». თბილისი. გამომ. «ლომისი». 1999. გვ. 41.
[23] «შალვა კარმელი». ბიოგრაფიული ცნობები. გაზ. «რუბიკონი» №3. 1923.
[24] პაოლო იაშვილი. «კარმელი მართალი». გაზ. «რუბიკონი». №4. 1923.
[25] შალვა აფხაიძე. «შალვა კარმელი.» გაზ. «რუბიკონი». №4. 1923.

შალვა კარმელს მკურნალობის კურსი ჩაუტარებია აბასთუმანში, რასაც ადასტურებს მის პირად არქივში არსებული სამედიცინო ცნობა, გაცემული აბასთუმნის საკურორტო მმართველობის მიერ 1922 წლის 10 სექტემბერს.

თუ 1920 წელს დაწერილ ლირიულ ლექსში «დარდი ვაგზლების» ჭლექის თემა გაიელვებს ბოლო სტროფში:

«და მენატრება ჭლექით ნაფერი
შეყვარებული ქალწულის ხელი.»

1922 წელს აბასთუმანში შექმნილ მეორე ლექსში «ყვითელი მესსა» უკვე ტრაგიკულად ჟღერს განწირულობის თემა:

«კატა პირს იბანს _ გამოვა დარი,
ეს ბარომეტრი უფრო სწორია.
ჩვენ იქნებ ვიყოთ ორივე მკვდარი
და კუბოდ გვადგეს სანატორია».

ლექსი «დარდი ვაგზლების» ერთ ცნობასაც შეიცავს. შალვა მიდის აბასთუმნიდან ქუთაისში და ლექსის მესამე სტროფში ასეთი სიტყვებია:

«რა ეშველება ამ «მაქსიმ გორკის»,
ყველას მაშორებს და მაგვიანებს».

რა არის ეს ბრჭყალებში ნახმარი მაქსიმ გორკი? ჩვენი ცნობებით 20-იან წლებში და შემდგომაც საქართველოში სატვირთო მატარებელს ხალხი ეძახდა «მაქსიმ გორკის».

1922 წლის 13 სექტემბერს შალვა აბასთუმნიდან ჩამოდის ქუთაისში და ასეთ წერილს უგზავნის რაჟდენ გვეტაძეს თბილისში:

«ძმაო რაჟდენ!

გისურვებ კარგათ ყოფნას ცოლშვილით. 13 სექტემბერს ჩამოვედი ქუთაისში. შენ უკვე იცი სახლში რა საშინელი ამბავი დამხვდა. რა უბედურებაა. დამწარდა აბასთუმნის ტკბილი სეზონი. აბასთუმანში ვიყავი თვენახევარი. მოვიმატე 15 გირვ. წამოსვლის კვირაში დავკარგე 3 გირვ. მიზეზი: ერთი რომანი. ჩემი გულის ქალბატონმა სიყვარულს შესწირა 5 გირვ. აქ სიყვარული გირვანქობით და თერმომეტრით იზომება. დაწვრილებით სხვა დროს, «ტფილისში, ნაცნობები ბევრი იყო. მწერლებიდან არავინ

ყოფილა სანდროსა და გორგაძის მეტი. ორივე ძლიერ მოკეთდა. ძლიერ მხიარულად გაიარა დრომ. სანატორია ვერ გვაკმაყოფილებდა და დღეში ასი ათასს ვხარჯავდით. ვცხოვრობდი გიორგი ცესარევიჩის სასახლეში. ჩემთან იყო: ვასო ხმალაძე და ერთი ქუთაისელი ბუხგალტერი. ჩვენს გვერდით ოთახში ცხოვრობდნენ ანტიოსი და ჭულა ხუნდაძე. ტფილისში წამოსვლა მინდა თვის ბოლოს. სევერიანე და გიო წამოვლენ ერთ კვირაში. ძლიერ გვეშინია ოთახების ჩამორთმევის. არავითარი მოწმობა წამოსვლის შესახებ არ დაგვიტოვებია. იქნებ მიხედო. მეტად გვაფიქრებს სამსახურიც. გადაეცი ჩემი სალამი ყველა მეგობრებს: გრ. ცეცხლაძეს, ტიციანს, გოგლას, გიორგი კვარაცხელიას, ნინა ბაქრაძეს და სხვა. გავიგე _ მალიკო წაჰყოლია ვირაპს. ლელი მეუნარგია მომ-კვდარა. ნუ დაიზარებ ერთ წერილს. ნახვამდის.

შენი ძმა შალვა კარმელი»[26]

შალვა ბრუნდება თბილისში, მაგრამ შერყეული ჯანმრთელობა საშუალებას არ აძლევს გააგრძელოს აქტიური ლიტერატურული მოღვაწეობა.

«შალვამ ამხილა თავისი სულიერი ტანჯვა, ჭლექით გამოწვეული, სონეტში, რომელშიდაც მიმართავს ორ მგლოვიარე დას _ მეფის ქალებს ტრაურებში:

«კარგი, რომ ჩემში ნიღაბებით მამაკაცია
და ვიტან გრიგალს, სასიკვდილოდ გულს რომ აყუჩებს,
თორემ ვიხრჩობი და ვერავის ვერ ვთხოვ ლაყუჩებს!

(ლექსი _ «მეფის ქალნი ტრაურში» _ ნ. გ.)

მთელი აგონია შალვა კარმელის, აგონია ფარული და მით უმეტეს წამებული, ჰკივის ამ «ლაყუჩებით».[27]

«აბასთუმანმა მხოლოდ დროებით შეაჩერა ფილტვების პროცესი. თბილისში დაბრუნებისას პოეტი გაცივდა, დაემართა ანთება, ფილტვების პროცესმა კატასტროფული სახე მიიღო და ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდა პირიდან სისხლის დენა. ექიმ ივ. გომართელის და სხვათა მიღებულ ზომებით, დროებით შეჩერებულ იქნა სისხლის დენა, გადაწყვეტილი იყო მისი სოხუმში გაგზავნა, მაგრამ ეს საშიში გამოდგა პოეტის ნამეტნავად დასუსტების მიზეზით. ამავე დროს, დედის

[26] შ. კარმელის ოჯახური არქივი.
[27] ვალერიან გაფრინდაშვილი «შალვა კარმელი». გაზ. «რუბიკონი» №3. 1923წ.

სურვილით, ის წაყვანილ იქნა ქუთაისში, მშობლებთან. უკანასკნელი ოთხი თვე შალვა ლოგინს არ გაშორებია».[28]

«ქუთაისში წასვლის წინა დღეს, თვალგახელილი დამხვდა, ყვავილები სასთუმალთან ეწყო, რომლებიც ტიციანს და ნინას მოეტანათ და მთხოვა, სურაში ჩამელაგებია... როცა სურა ყვევილებით თავთან ახლოს დაუდგი, თვალები ისევ დახურა...»[29]

«...19 იანვარს ჩაუვარდა ენა და 25 იანვარს, ღამის პირველ საათზე გარდაიცვალა, სრულებით დაწრეტილი სისხლისაგან. სიკვდილის წინ შესძლო რამდენიმე სიტყვის თქმა: უკანასკნელი მისი სურვილი იყო, რომ მის დასაფლავებას დასწრებოდნენ მისი მეგობრები ახალი მწერლობის კავშირიდან».[30]

მეორე დღესვე გაზეთ «რუბიკონში» მთელი გვერდის სიგანეზე ქვეყნდება შემდეგი ცნობა: «გაზეთი უკვე აწყობილი იყო, როდესაც რედაქციამ მიიღო დეპეშა, რომ ქუთაისში 25 იანვარს ღამის 1 საათზე ტუბერკულიოზით გარდაიცვალა ჩვენი გაზეთის თანამშრომელი, სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის წევრი პოეტი შალვა კარმელი».

«შალვა კარმელი

დადუმებულ და გაჩუმებულ ქუთაისს მიემატა ერთი მშვიდი საფლავი: გარდაიცვალა ძვირფასი შალვა კარმელი. წელიწადია, რაც გაშორდა თავის მეგობრებს და პოეტურ ცხოვრებას, წავიდა ქუთაისში, მისთვის რომ მშობლების ღარიბ ქოხში გარდაცვლილიყო ტუბერკულიოზით. ახალი მწერლობის კავშირმა დაჰკარგა დაუვიწყარი წევრი, ახალმა პოეზიამ _ უნაზესი პოეტი, «ცისფერმა ყანწებმა» _ ხორციელი ძმა. სრულიად საქართველოს ახალ მწერლობის საბჭოს დადგენილებით ქუთაისში გაემგზავრება საბჭოს პრეზიდიუმი მთელის შემადგენლობით პოეტის გასვენებაზე, რომელიც მოხდება ქუთაისში სამშაბათს, 30 იანვარს და გაზეთ «რუბიკონის» შემდეგი ნომერი შეწირული იქნება შალვა კარმელის ხსოვნისათვის».[31]

პაოლო იაშვილი იმ დღესვე ქუთაისში აგზავნის ორ წერილს: ერთს ნიკასთან და კოლაუსთან (მიწიშვილი და ნადირაძე – ნ..გ.) და მეორეს _ შალვა კარმელის მამასთან:

---

[28] შალვა კარმელი. ბიოგრაფიული ცნობები. გაზ. «რუბიკონი» № 3. 1923

[29] რაჟდენ გვეტაძე. «შალვა კარმელი» . გაზ. «რუბიკონი». №3. 1923

[30] «შალვა კარმელი». ბიოგრაფიული ცნობები. გაზ. «რუბიკონი» №3. 1923.

«ძვირფასო ნიკა და ძმაო კოლაუ!

შალვას სიკვდილმა სრულებით არია ჩვენი დღეები: ასეთი მწუხარება ჯერ არ გვახსოვს მეგობრის დაკარგვით. ოთხშაბათ დილით ჩამოვალ მე, პავლე ინგოროყვა, ტიციანი, ვალერიანი და რაჟდენ გვეტაძე. გთხოვთ გადასდოთ გასვენება ხუთშაბათისათვის. სრ. საქართველოს მწერლობის კავშირის სახელით და «ცისფერი ყანწების» დავალებით გთხოვთ შეუკვეთოთ ორი გვირგვინი ცოცხალი ყვავილებისა. ფასს ჩვენ გადავიხდით. ვეცდებით აგრეთვე ლენტები წარწერით აქედან ჩამოვიტანოთ. დარწმუნებული ვართ გასვენებას მოაწყობთ ისე, როგორც ჩვენს ძვირფას შალვას შეეფერება. თქვენი მარად პაოლო იაშვილი».[32]

მეორე წერილი პავლე გოგიაშვილის (შ. კარმელის მამა) სახელზეა:

«დიდათ პატივცემულო ბ-ნო პავლე.

ძვირფას შალვას სიკვდილმა უღრმესი მწუხარებით აავსო ჩვენი გული-გული მისი მოყვარული მეგობრებისა. მიიღეთ ჩვენი თანაგრძნობა და გჯეროდეთ, რომ მის სახელს, ღირსეულად გავაცნობთ ქართველ ერს, რომელმაც შალვასთან ერთად დაჰკარგა მეტად ნიჭიერი პოეტი და კეთილშობილი ახალგაზრდა ქართველი პატრიოტი. გთხოვთ გადასდოთ მისი გასვენება ხუთშაბათს 1 თებერვლისათვის, რადგან დღეს წამოსვლას ვერ ვასწრებთ. ჩამოვალთ გასვენების დღეს ყველა მისი ახლობელი ამხანაგები.

დიდის პატივისცემით და უღრმესი თანაგრძნობით პაოლო იაშვილი».[33]

გამოდის გაზეთ «რუბიკონის» 1923 წლის 4 თებერვლის ნომერი (№3), რომელიც თითქმის მთლიანად ეძღვნება შალვა კარმელის ხსოვნას.

შალვა კარმელმა გაიარა მეტად მოკლე და ტანჯვით აღსავსე ცხოვრება. მისი ბიოგრაფია ცხოველი ფაქტებით იყო აღსავსე. ამიტომ, ვფიქრობთ, მეტად საინტერესოა ქართული ლიტარატურის ისტორიისათვის, მისი მეგობარი თანამოკალმეების მოგონებანი მის შესახებ. ეს მოგონებანი ნაწილობრივ შევიდა 2000 წელს გამოცემულ წიგნში «ბაბილონი».

---

[31] «შალვა კარმელი». სარედაქციო წერილი. გაზ. «რუბიკონი» №2. 1923.
[32] ნ. ჩხიკვიშვილი. «და ვერ გიშველა შენ ჩვენმა ძმობამ». გაზ. «ლიტ. საქართველო» №5. 1996.
[33] ნ. გოგიაშვილი. «პაოლო იაშვილის უცნობი წერილი». გაზ. «კალმასობა» №5.2001

ზემოთხსენებული გაზეთის ნომერი იწყება პატარა წერილით: «სამი საფლავი».

`Еще кого не досчитались вы?

Кто изменил пленительной привычке?

Чей глас умолк на братской перекличке?

Кто не пришёл? Кого меж вами нет?

А. Пушкин.

ჩვენი კავშირი მე მაგონებს იმ «ოცდაათს», რომელთაც მიმართავს პუშკინი თავისი ლექსით.

ახალი მწერლობა შეკრულია ერთ, ხშირად არა მარტო შემოქმედებით, არამედ სიყვარულითაც.

და ჩვენს ვიწრო ოჯახს, განათებულს სიყვარულით, თანდათან აკლდება ძვირფასი სახელები.

შარშან ორი საფლავი: პოეტესსა ლილი მეუნარგია, პოეტი _ გიონ საგანელი. წლეულს ამ ძვირფას საფლავებს ემატება ახალი სამარე: პოეტის შალვა კარმელის.

სამივე სიკვდილი სხვანაირი: საგანელი _ თავის მკვლელი; ხოლო ორი მეოცნებე ნიამორი: ლილი მეუნარგია და შალვა კარმელი _ მსხვერპლნი ტუბერკულიოზის.

სამივე სიკვდილი ორმაგად სამწუხარო: სამივენი იყვნენ ყველაზე ახალგაზრდა წევრები ჩვენი წმინდა კავშირის. მათი სახით ჩვენ ვგლოვობთ ჩვენს უმცროს დას და ჩვენს უმცროს ძმებს.

ეს სახელები დარჩება ჩვენთვის მუდმივ მოსაგონარად. ჩვენი კავშირის დღეს, როცა ყოველწლიურად «ოცდაათი» ერთად შევიკრიბებით, ამ სამი უმცროსი პოეტების ადგილები ისევ ცარიელი დარჩება. მათ ადგილს ვერავინ დაიჭერს, რადგან ისინი ისევ ჩვენთან გვეგულება და ჩვენ გვჯერა, რომ პეანის მღერის დროს ისინი შემოგვიერთებენ თავიანთ ხმებს».[34]

ამ წერილს მოჰყვება პაოლო იაშვილის წერილი სათაურით:

«კარმელი _ მართალი. (გთავაზობთ შემოკლებით)

1915 წელს შემოდგომაზე, ჩემთან მოვიდა ბავშვი, რომელმაც დამიტოვა რვეული ლექსების და თითქმის ვერაფერი ვერ მითხრა. ის იყო როგორც ნიბლია. გადავიკითხე ლექსები და იმღამესვე წავედი ვალერიან გაფრინდაშვილთან. ბავშვურ შთაგონებაში ჩვენ

[34] „სამი საფლავი“. სარედაქციო წერილი. გაზ. „რუბიკონი“ 1923. №3 4 თებერვალი.

დავინახეთ მომავალი ძმა ჩვენს ორდენში _ შალვა კარმელი. იმ დღიდან ჩვენ ძმები ვიყავით...

... შალვა კარმელი ჩუქურთმების ოსტატი იყო პოეზიაში. ყველა მისი ლექსი ამოჭრილი იყო მარმარილოზე თუ სპილენძზე. მას, როგორც მთვარეულს იტაცებდა რითმა და ლექსის გამართულებით ის ყოველთვის საკვირველი იყო.

პაოლო იაშვილი».[35]

კოლაუ ნადირაძე შემდგომში, იმ პერიოდის პ. იაშვილის განცდებს ასე იგონებდა წიგნში «რაც ლექსად ვერ ვთქვი»:

«... შეუძლებელია დავივიწყოთ, თუ როგორ ტკივილს განიცდიდა პაოლო, როცა სიკვდილმა უდროოდ მოკვეთა ჩვენს წრეში ორი მოსიყვარულე: _ შალვა კარმელი და სანდრო ცირეკიძე, რარიგ მწვავედ გადაიტანა მათი დაღუპვა, როგორი სიყვარულით დაიტირა ისინი!».[36] პაოლო იაშვილის სიტყვას შემდეგ მოსდევს ტიციან ტაბიძის წერილი «რუბიკონის» ამავე ნომერში.

«შალვა კარმელი (გთავაზობთ შემოკლებით).

... შალვა კარმელი ჯერ სულ ბავშვი იყო, თუ ტუბერკულიოზს არ მიეცა მისთვის სიკვდილის დაფიქრება და ელეაზარის დაწყევლა, მაშინ ის ვერც კი მოასწრებდა პოეტად გახდომას: მაგრამ თვითონ ეს სენი თავის მსხვერპლს მაინც აძლევს საშუალებას ფიქრით გაიაროს ადამიანის ცხოვრება... ეს არის რომ თოვლის ფიფქით დასუსხავს ჯერ გაუშლელ ყრმას... ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ კარმელი უთუოდ დასრულებული პოეტი იყო... თემით, ხმის დამწიფებით და თავის ბედის გამოტირებით. მე მესმის ამაღამ ეს ატირებული ჭიანური პატარა ბავშვის, რომელიც თვითონ მისტირის თავის თეთრ კუბოს...

ვინ დაიზოგავს ცრემლებს ამ ბავშვისთვის, რომელიც ადრე გადაფრენილ ბარტყივით ერთხელ სიზმარივით მოევლინა ტფილისის ქუჩებს, რომ გვჩვენებოდა ჩვენ, პოეტებს და შემდეგ სამუდამოდ დავემწუხრებინეთ თავის სიკვდილით.

---

[35] პაოლო იაშვილი. «კარმელი მართალი». გაზ. «რუბიკონი». №3. 1923წ.

[36] კოლაუ ნადირაძე. «რაც ლექსად ვერ ვთქვი». მოთხრობა «დებედაჩაის ღამე». გვ. 75. გამომც. «მერანი». თბილისი. 1984.

... მე მაგონდება პირველი მისი ლექსები, რომელიც მე დავბეჭდე «საქართველოში», მე მაშინვე გამაკვირვა მისმა სინაზემ და ფორმის სისრულემ, შემდეგ ჩემი შეხვედრები უფრო აღრმავებდნენ ჩემ სიყვარულს ამ მოკრძალებულ და უნაზესს ბავშვისადმი, რომელსაც ერთი საყვედური არასდროს არ წამოსცდენია და რომელმაც იცოდა ჩვენი ლექსები, როგორ შეიძლება არც თვითონ ავტორებმა იცოდნენ. იმიტომ იყო, რომ თუმცა ის დაცილებული იყო ხნით «ცისფერ ყანწებს», მაინც შემოვიდა ამ ორდენში... თუ «ცისფერი ყანწების» გამართლება, როგორც ორდენის, არის მისტიური სიყვარული, სამუდამო მეგობრობა და ძმობა, მაშინ შალვა კარმელი იყო უმცროსი და საყვარელი ძმა ბენიამინ...

მისი სპეტაკი სული და უცოდველი ყრმის ცხოვრება სამუდამო მოგონებაა პოეზიის სიწმინდის... და გამართლება ამ სტრიქონების იყოს ის ცრემლები, რომელიც დაედინება პირველს დაღუპულ მართლა ხორციელ ძმას ჩვენი ორდენისას, რომელმაც კარმელი მონოზონის სიწმინდით გაიარა თავისი გზა პოეზიაში და წუთიერ ჩვენებით დადაღა ჩვენი სული სამუდამო სიყვარულით და სამუდამო ატირებით.

ტიციან ტაბძე».[37]

შემდეგ ვალერიან გაფრინდაშვილის წერილია:

«შალვა კარმელი (გთავაზობთ შემოკლებით)

მართლაც საშინელია პოეტის კარიერა. ერთი წლის განმავლობაში სამი მსხვერპლი ჭლექის და თვითმკვლელობის: საგანელი, ლილი მეუნარგია და შალვა კარმელი.

თანდათან მცირდება საბედისწერო ნიამორების რიცხვი.

ქართული პოეზიის მითოლოგიას შეემატა კიდევ ერთი უსპეტაკესი სახელი, კიდევ ერთი გმირი.

შალვა კარმელი უპირველეს ყოვლისა რითმის კავალერი იყო. არც ერთი ქართველი პოეტი ისეთი დაუღალავი სისწორით არ ანხორციელებდა თავის ლექსებში ფორმულას ქალურ და ვაჟურ რითმების შესახებ, როგორც შალვა კარმელი...

[37] ტიციან ტაბიძე. «შალვა კარმელი». გაზ. «რუბიკონი.№3 1923.

შალვამ ამხილა თავისი სულიერი ტანჯვა, ჭლექით გამოწვეული, სონეტში, რომელშიც მიმართავს ორ მგლოვიარე დას _ მეფის ქალებს ტრაურებში:

«კარგი რომ ჩემში ნიღაბებით მამაკაცია,

და ვიტან გრიგალს, სასიკვდილოთ გულს რომ აყუჩებს, _

თორემ ვიხრჩობი და ვერავის ვერ ვთხოვ ლაყუჩებს».

მთელი აგონია შალვა კარმელის, აგონია ფარული და მით უმეტეს, წამებული, ჰკივის ამ «ლაყუჩებით». თითქოს ის გადმოსროლილი იყო, როგორც თევზი წყლის სტიქიიდან ხმელეთზე და იხრჩობოდა. მისი აქამდის დაუფასებელი შედევრი «სანბენიტო» _ ჭლექის ამღერებაა...

როგორც ნამდვილი პარნასელი ის ამშვენებდა თავის ლექსებს მდიდარი და უეჭველი რითმებით. ასონანსი იშვიათი სტუმარია მისი ლექსების.

თითქმის პროვიდენციალურია ეს სტრიქონები ლექსიდან:

«ქუთაისი მკვდარი ბრიუგე»

«მშობელო მიწავ! ორივენი ვართ ჩვენ წყეული

და ვერ ავცდებით დამარცხებას, სირცხვილს, ეშაფოტს».

ამავე ლექსში არის ასეთი მოულოდნელი სახეები: «და ღამდებიან ოცნებები როდენბახებათ», «როგორც პრინცესსა, მგლოვიარე გვფარავს მოწყენა».

შალვა კარმელმა იცოდა გაბედული თქმა ახალი სიტყვის; ერთ მის ლექსში არის ასეთი რითმა: მორჩილი _ მკერდანორჩილი. სიტყვა ნორჩი იმან მოაბრუნა, როგორც დიდმა ოსტატმა და შესძინა ქართულ პოეზიას ახალი რითმა და ახალი სიტყვა.[38] ის ბევრს მუშაობდა ლექსზე: მან სთარგმნა ალბერ სამენის «ვერსალი» და მე შემთხვევით ხელთ ჩამივარდა ოთხი ვარიანტი ამ თარგმანის. პოეზია და ლექსი იყო სტიქია შალვა კარმელის. ის კულტურული იყო ზედმიწევნით და იყო ნიშნები, რომ ის გახდებოდა QAქართული პოეზიის ტეოდორ დე ბანვილი, რომელსაც განსაკუთრებით უყვარდა რითმა და იმავე დროს ჭეშმარიტ პოეტად ითვლებოდა.

სონეტის ფორმა ემარჯვებოდა «ბაბილონის» ავტორს და აქაც სჩანს მისი პარნასელობა. მის პატარა წიგნში ათი სონეტია. უფრო ხშირად წარსული საუკუნეები

[38] აქ ვ. გაფრინდაშვილს მხედველობაში აქვს შ. კარმელის ლექსი «საფირონის ტრიოლეტები» შ. კარმელი. «ბაბილონი». თბილისი. 2000 შპს გამომც. «დედა ენა». გვ. 93.

აღვიძებდნენ მის ფანტაზიას და ყოველდღიურ ცხოვრებასთან მას თითქმის კავშირი არ ჰქონდა.

სულ ხშირად იგონებდა ის ედგარ პოეს და სიკვდილის ყორანი უკანასკნელად გამოეცხადა მას და ახალგაზრდას, პოეტური იმედებით სავსეს, მიესალმა ულმობელი სალამით: «Nevermor».

ვალერიან გაფრინდაშვილი.»[39]

შემდეგ მოდის რაჟდენ გვეტაძის წერილი:

«შალვა კარმელი. (შემოკლებით)

... მე მინდა მოვიგონო ჩვენი ერთად ცხოვრება, სავსე ქუთაისის მთვარეებით... ტფილისის ელექტრონით, ბათუმის წვიმებით, მაგრამ თვალები გაყინულა ცრემლებით და მაგონდება მხოლოდ მისი მოგრძო სახე... გამხდარ ღაწვებზე ოდნავ ჭორფლ დაყრილი, რომელსაც ის ხშირად პუდრით იფარავდა... მჭვალა დაკრული სიარული პროსპექტზე მარტო ჩავლისას... და მისი სქელი ტუჩები, გრიბოედოვის ქუჩაზე კუბოსავით ვიწრო ოთახში სისხლით შეღებილი... ის აღარ ლაპარაკობდა: ეშინოდა თავის ხმის და წამწამები ყოველთვის დახრილი ჰქონდა... ალბათ გრძნობდა სამარის სიცივეს, რადგან თვალებს მაშინ გაახელდა, როცა კარებზე დატანებული ფანჯრიდან მზე შემოვიდოდა.

ქუთაისში წასვლის წინა დღეს, თვალგახელილი დამხვდა, ყვავილები სასთუმალთან ეწყო, რომლებიც ტიციანს და ნინას მოეტანათ და მთხოვა სურაში ჩამელაგებია... როცა სურა ყვავილებით თავთან ახლოს დაუდგი, თვალები ისევ დახურა.

შემდეგ აღარ მინახავს.

რაჟდენ გვეტაძე».[40]

აღსანიშნავია, რომ რაჟდენ გვეტაძეს შალვა კარმელის სიცოცხლეში გამოუქვეყნებია «ტრიბუნაში» 1921 წელს მისდამი მიძღვნილი ლექ სი.

[39] ვალერიან გაფრინდაშვილი. «შალვა კარმელი». გაზ. «რუბიკონი» №3.1923

[40] რაჟდენ გვეტაძე. «შალვა კარმელი». გაზ. «რუბიკონი». №3.1923.

«შალვა კარმელს

დაგდევს სურვილი ყაჩაღ ლეკივით,
ფიქრი გვეხვევა, როგორც ფათალო,
ჩვენი ოცნება ქალის ნეკივით.
არის სათუთი და უბადალო.
ჩვენ ყველა გვიცნობს ნაზ პოეტებად,
ვართ ამაყები რითმის მიგნებით,
როდესაც ჟანგი სულს მოედება,
მაშინაც ალბათ ერთად ვიქნებით.
შვილის ნათლიას როცა მარკიზამ
გატკინა გული, ცრემლი დაღვარე _
ჩემმა ნუგეშმა გაგანარგიზა
წმინდა მირონი ბევრს შევაყვარეთ.
ერთმანეთისთვის არ გვსურს ზიანი,
(კეთილი გული გვაჩუქა ბუდამ),
და ბაბილინა თავაზიანი,
ამის მოწამე იქნება მუდამ.
რაჟდენ გვეტაძე».[41]

წერილები შალვა კარმელზე გაზეთ «რუბიკონის» მე-3-ე ნომერში თავდება ბიოგრაფიული ცნობებით. ამავე ნომერში დაბეჭდილია, როგორც რედაქცია მიუთითებს, შალვა კარმელის «რჩეული ლექსები (8 ლექსი): «ავტოპორტრეტი პროფილში», «ერანის სარკეში», «გამოთხოვება სულთან ავადმყოფ სხეულის», «სემირამიდას ბაღი», «მკვდარი ბრიუგგე», «სანბენიტო», «ლოცვა ხანჯლებით» და «არტემიდა».

გაზეთ «რუბიკონის» მე-4-ე ნომერში გრძელდება წერილების ბეჭდა შალვა კარმელის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ეს გახლავთ შალვა აფხაიძის წერილი «შალვა კარმელი», ირადიონ სონღულის ორიგინალური ესსე _ «ჭირისუფალი მზე მიცვალებულის» (შალვა კარმელის მოგონებას). გაზეთის მე-3-ე გვერდზე დაბეჭდილია

[41] რაჟდენ გვეტაძე. «შალვა კარმელს». ლექსი. «ტრიბუნა». №21.1921.

ალბერ სამენის ლექსის _ «ვერსალი» შალვა კარმელისეული თარგმანი და კოლაუ ნადირაძის ლექსი, მიძღვნილი შალვასადმი:

«შალვა

გადაგაშენა ზამთრის ობლობამ
შენ უნაზესო, მორჩილო ღვთისა
და ვერ გიშველა შენ ჩვენმა ძმობამ
და ვერც ალერსმა სამშობლოს ცისამ
დაცვივდა ფერფლად შენი სხეული,
ღონე მიხდილი ბევრი წვალებით,
მაგრამ ამ ჯვარცმით გადაქცეული
გვიყურებ სულში წმინდა თვალებით.
შენ გაიარე, ვით მოჩვენებამ
და პოეზიამ დაგადნო სწრაფად.
მაღალი ტანჯვის ღვთიურ შვენებამ
დაგასნეულა და დაგწვა მძაფრად.
და ეხლა სხვა მზე მოფრენილს ბედით
შენს სულს განწმენდის ალერსით იღებს
და სიყვარულის უტკბესი დედა
შენ ღვთისმშობელი კარებს გაგიღებს».

კოლაუ ნადირაძე».[42]

აღსანიშნავია, რომ «რუბიკონის» მე-4-ე ნომრის მე-2-ე გვერდზე დაბეჭდილია გრიგოლ რობაქიძის ვრცელი წერილის «დაბრუნება მიწასთან, (ქვესათაურით _ ნ.გ) როგორც კერძო ბარათი» II ნაწილი. ამ წერილში მიმოხილულია სხვადსხვა «ცისფერყანწელი» პოეტების შემოქმედება მოკლედ, მათ შორის შალვა კარმელისაც, მაგრამ ამაზედ ქვემოთ.

უკვე აღნიშნული იყო, რომ პაოლო იაშვილი «კარმელისადმი რაღაც მამობრივ მზრუნველობას იჩენდა».[43] ასევე გამორჩეული იყო მისი წერილი «ქუთაისში» (შალვა

[42] კოლაუ ნადირაძე. ლექსი «შალვა». გაზ. «რუბიკონი» №4. 1923

კარმელის დასაფლავება) «რუბიკონელის» ფსევდონიმით გაზეთ «რუბიკონის» მე-4-ე ნომერში, სადაც მრავალი საინტერესო ფაქტია აღწერილი.

შალვა კარმელი 1923 წლის 1 თებერვალს დასაფლავებულ იქნა ქუთაისის ცენტრში მდებარე მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში. შემდგომში, ქალაქის «რეკონსტრუქციის» დროს, ეს ეკლესია დაანგრიეს და მის ადგილას რაიკომის შენობა ააშენეს, ხოლო შალვა კარმელის საფლავი გადატანილ იქნა საფიჩხიის სასაფლაოზე, გოგიაშვილების საგვარეულო საძვალეში.

თბილისში დაბრუნებული ღრმად დამწუხრებული შალვა კარმელის მეგობრები 4 თებერვალს იკრიბებიან ხელოვანთა სასახლეში, სრულიად საქართველოს ახალ მწერლობის კავშირის საჯარო სხდომაზე, რომელიც შალვა კარმელის ხსოვნას მიეძღვნა. ამ საღამოს შესახებ ვრცელი წერილი გამოქვეყნდა გაზეთ «რუბიკონის» მე-4-ე ნომერში. ვფიქრობთ წერილი მეტად მნიშვნელოვან ფაქტებს შეიცავს და ამიტომ ეს წერილი მთლიანად მოგვყავს:

«შალვა კარმელის საღამო.

კვირას 4 თებერვალს ხელოვანთა სასახლეში შესდგა მორიგი საჯარო სხდომა სრულიად საქართველოს ახალ მწერლობის კავშირის. სხდომა შეწირული იყო ახლად გარდაცვალებულ პოეტის შალვა კარმელის ხსოვნისათვის, განსვენებული ითვლებოდა ახალ მწერლობის კავშირის და საბჭოს წევრად.

საჯარო სხდომას თავმჯდომარეობდა ტიციან ტაბიძე.

გიორგი ლეონიძემ წაიკითხა შ. კარმელის ბიოგრაფია და წერილი ვალ. გაფრინდაშვილის გაზეთ «რუბიკონში».

საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით ახალ მწერლობის საბჭოს სამძიმარი გამოუცხადა კავშირის თავმჯდომარემ კოტე მაყაშვილმა. პირველი სიტყვა წარმოსთქვა ტიციან ტაბიძემ: რომელმაც დაახლოვებით სთქვა შემდეგი: ძნელია ლაპარაკი და დაფასება პოეტის პოეტისაგან, მაშინ როცა მიცვალებულისაგან სულ რამდენიმე დღე გაცილებს.. და როცა განიცადე ეს დასაფლავება. შალვა კარმელი ეკუთვნოდა «ცისფერი ყანწების» პოეტების ორდენს. პოეზიის ისტორიას ბევრი ახსოვს ძმობა და შეკავშირება ერთი სკოლის პოეტების-როგორც საფრანგეთში სიმბოლისტების

[43] კოლაუ ნადირაძე. შესავალი წერილი «მეგობრის გახსენება». შალვა კარმელის წიგნისათვის

სკოლა ან რუსეთში _ პუშკინის პერიოდი, მაგრამ «ცისფერ ყანწების» ორდენი წარმოადგენს სრულიად უცნობ მისტიურ კავშირს პოეტებისას და ძმობისას, რომლის მაგალითი შეიძლება ქვეყანას არ ახსოვდეს. «ცისფერი ყანწელები» შეგნებულად ერიდებიან ორდენის კონსტიტუციის დაწერას, ეს კონსტიტუცია იწერება სისხლით და სამუდამო მეგობრობით. შალვა კარმელი ყველაზე უმცროსი იყო «ყანწებში» და ამიტომ იწვევდა მეტ სიყვარულს, როგორც ბენიამინ, მიუხედავად იმისა რომ ის იყო ავადმყოფი ტუბერკულიოზით. შალვა კარმელი პირველი პოეტია საქართველოში, რომლის თემა არის ტუბერკულიოზი, მაგრამ ის შეგნებულად ერიდებოდა ამ თემის ეკსპლუატაციას და მიუხედავად თავის 24 წლის სიცოცხლისა, მან მონახა პოეზიაში საკუთარი ხმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, კარმელის სიყვარული რითმის, რომლის ხელში რითმა მართლა «დაემგვანა ოდალისკას». მისი პირადი ცხოვრება იყო ხანმოკლე და ამიტომ მოკლებული ბიოგრაფიას და თემის სხვანაირობას, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მასში ლაპარაკობდა დასრულებული პოეტი. და ამიტომ არ იყო გასაკვირველი, რომ მის პირად მეგობრებზე ადრე, პავლე ინგოროყვამ მოითხოვა მისთვის ადგილი პანთეონში. პავლე ინგოროყვას სიტყვა პოეტის დასაფლავებაზე გარდა იმისა, რომ ამხელდა ახალ მწერლობის სიამაყეს, იყო გამართლება კარმელის, როგორც პოეტის.

შემდეგ ილაპარაკა პაოლო იაშვილმა, რომელმაც წაიკითხა პოეტის ლექსები და ანალიზი გაუკეთა მის ლექსს. პალო იაშვილი კარმელს ადარებდა პეტერბურგში დაღუპულ პოეტს ნიკოლაი გუმილიოვს, რომლის რითმა მისი თქმით თითქო ხელოვნურად ჩაჯენილი თვალია. პაოლო იაშვილი იგონებს «ცისფერი ყანწების» დაარსებას და პირველ შეხვედრას მაშინ ჯერ კიდევ ბავშვ კარმელთან, რომელსაც თავიდანვე ეტყობოდა სინაზე და კეთილშობილება და აგრეთვე გამტანობა და განწირვა პოეზიისათვის. ეს პირველი შემთხვევაა, როცა «ცისფერი ყანწების» ორდენს მოაკლდა თავის წევრი. ჩვენ აქამდი არ ვიცოდით მისტიური შიში სიკვდილის და ამის შემდეგ ყოველთვის იქნება მოგონება ამ განწირული ბავშვის, რომელიც ჩვენ თვალწინ ებრძოდა სიკვდილს და ამ აგონიის დროს მაინც ყველაზე უფრო ფიქრობდა პოეზიაზე. კარმელის ლექსი მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ყრმა იყო, აღბეჭდილია ნიჭით და პოეტურ მიღწევებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კარმელი თუმცა საქართველოს გარდა

«ლექსები».გამომ. «საბჭოთა საქართველო». 1970.

არსად ყოფილა, მაინც იცნობდა თანამედროვე ლექსის ტექნიკას და აგრეთვე თავის ასაკისათვის იყო მეტად კულტურული. ეს კულტურა საზოგადოდ აკლია დღეს ქართველ პოეტების უმრავლესობას და არავითარი ბოდიშის მოხდა მათ არ უშველის. რაც შეეხება ვაჟა ფშაველას, ორატორის თქმით, ჯერ ის არ იყო მოკლებული კულტურას და მეორე, ის სულ სხვა კატეგორიის პოეტი იყო, რადგან მოცემული იყო როგორც ფენომენი. როდესაც პაოლო იაშვილი შეეხო შალვა კარმელის დასაფლავებას ქუთაისში, რომლის დამსწრე სხვებთან ერთად ისიც იყო, მას ხმამ უღალატა, რომ ინტიმობა საზღვარს არ გადასულიყო, სიტყვა შეწყვიტა.

გრიგოლ რობაქიძე ამ ღამეს იყო სრულიად უჩვეულო. მისი ასე დარბილება ჯერ არავის უნახავს, ის ლაპარაკობდა როგორც ქრისტე, რომელიც თითქო თავს ადგა იაიროს ქალიშვილს გასაცოცხლებლად ყველაზე საშინელი სიტყვები: დაცილება საგნების და შემდეგ არასდროს შეხვედრა. ვისაც არ სჯერა აღდგომა, ის მკვდარია იმავე წამს და არასოდეს არ არის პოეტი. აქ მოიგონა მან ნიურენბურგის ერთი საფლავის წარწერა «აღვსდგები». მას შალვა კარმელი წარმოუდგა, როგორც პაოლო იაშვილმა დაარქვა თავის წერილში _ ნიბლია. ამ სიტყვაში არის გადმოცემა სინაზის და ბავშვობის. გრიგოლ რობაქიძემ აღნიშნა მისტიური გავლენა პოეზიაში მთვარის. მისი თქმით მთვარე აწვალებს ყველა პოეტებს, მაგრამ ყველაზე უფრო ნაწამები იყო ლაფორგი, რომელმაც პოეზიას დაუტოვა სრულიად ახალი შეგნება მთვარის, ეს თითქო არის სისხლის დაკლება და გაჟრჟოლება ტუბერკულიოზის, შალვა კარმელში იყო ეს სინაზე, ამის გარდა მისი ლექსი დაწმენდილი იყო და თემა გამართლებული: როგორც სალამბო. პოეტს რომ ცოტა დასცლოდა მასში უთუოდ დადგებოდა კარგი ოსტატი. შემდეგ ის იგონებს ერთ შეხვედრის ღამეს შალვა კარმელთან და რაჟდენ გვეტაძესთან და ამ ღამიდან გამოყავს თავის ლექსი: «ტფილისის ხერხემალი» რომელიც ჯერ არ არის დაბეჭდილი, მაგრამ რომელიც ცნობილია მის საუკეთესო მიღწევათ და სწუხს, რომ შალვა კარმელის სიცოცხლეში ვერ მოასწრო მასზე ეთქვა დამტკიცებითი სიტყვა, რომელსაც ალბად ეს ბავშვი მოელოდა. დარბაზი სულგანაბული უსმენდა გრიგოლ რობაქიძეს. ალბად არავის, ვინც იყო მოწამე ამ ღამის, არ დაავიწყდება ეს სიტყვა მთელ თავის სიცოცხლეში.

ვალერიან გაფრინდაშვილი: იგონებს იმ მომენტს, როცა ქუთაისში კარმელის გასვენების დღეს, ბაგრატის ტაძრის გალავანში ღამის 12 საათზე, საშინელ ქარბუქში და სიცივეში ის, პავლე ინგოროყვა, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე და კარმელის სიყრმის მეგობარი სევერიან ათვალიერებდნენ ადგილს საფლავისათვის და ნიშნვდნენ ადგილებს. ეს წამი მას აგონებს პუშკინის დუელს დანტესსთან: სადაც პუშკინი კარმელია და დანტესი ტუბერკულიოზი. შემდეგ ის იგონებს კარმელის დედის ტირილს, რომელმაც ყველაზე უფრო მწვავე ფორმულა მისცა თავის შვილის ბედს «24 წელში მოათავე სტუდენტობა, პოეტობა, სიცოცხლე და სიკვდილიო» ამ სიტყვებით ის მიმართავდა «თავის უგვირგვინო შვილს». შემდეგ მან წაიკითხა ნაწყვეტი ლექსიდან: «მაგრამ ვერავის ვერ ვთხოვ ლაყუჩებს». მისი სიტყვა იყო ათრთოლებული და დამაბრმავებელი შედარებით, რომელთა ერთად ამოწერა შეუძლებელია. მხოლოდ სამწუხაროა, რომ სტენოგრაფიული ანგარიში არ დარჩება ამ სიტყვების. რაჟდენ გვეტაძემ წაიკითხა ლექსი კოლაუ ნადირაძის, რომელიც დღეს იბეჭდება ჩვენ გაზეთში, ლექსი წაიკითხა გობრონ აგარელმა კარმელის სიკვდილზე. საღამო გათავდა ღამის 12 საათზე...»[44]

1. 1. შალვა კარმელი და «ცისფერყანწელთა» ბოჰემური ცხოვრება.

1915 წელს ახალგაზრდა მწერლების ჯგუფმა პაოლო იაშვილის თავკაცობით ჩამოაყალიბდა ლიტერატურული ორგანიზაცია «ცისფერი ყანწები». 1916 წელს, მარტის დასაწყისში გამოვიდა ჟურნალ «ცისფერი ყანწების» პირველი ნომერი. ნომერში გამოქვეყნებულ პაოლო იაშვილის «პირველთქმაში» გადმოცემული იყო ამ ორგანიზაციის მიზნები, რაც «ახალი პოეზიის» სამსახურს წარმოადგენდა:

«ჩვენ ვადიდებთ სიტყვას ახალს... ვცხოვრობთ ნათელში და სიმთვრალეში. გვწამს ყოველგვარი ორგია. ვადიდებთ დამსხვრევის მშვენიერებას. უარვყოფთ წარსულს, როგორც მზით განათებულს, ისე ღამეში შეწუხებულს. წარსულის ოქროს გვირგვინებს გამოვსტაცეთ ძვირფასი მარგალიტები და გადავისროლეთ დავიწყების ზღვაში».[45]

---

[44] «შალვა კარმელის საღამო», გაზ. «რუბიკონი» №4. 1923 წ.

[45] პაოლო იაშვილი. «პირველთქმა მანიფესტი» ჟურნალი «ცისფერი ყანწები» №1. 1916წ.

ხოლო ტიციან ტაბიძე ჟურნალ «ცისფერი ყანწების» იმავე ნომერში კითხულობდა: «არის ნიადაგი ჩვენში სიმბოლიზმისთვის? ქართველ ხალხში ცხოვრობს უკვდავი აქტიორული სული. იმას უნდა, მუდამ სხვა იყოს, იმას უყვარს თეატრალიზაცია ცხოვრების; რატომ იღებება ქართველი ქალი? ესეც ხომ მოდის ბრალი არ არის. ამას ჩვენში ხომ დიდი ისტორია აქვს. მიზეზი აქაც იგივეა, ეს აქტიორობა და თეატრალიზაციაა ცხოვრების. ეს ბუნება შეუსწავლელია ჯერ სრულიად. ქართველ ხალხს უყვარს ნიღაბი, სიმბოლიზმი სწორედ ფილოსოფიაა ამ ნიღბის, და ამიტომ სიმბოლიზმი ჩვენში აუცილებელია».[46]

ვინ იყვნენ ისინი, ვინც ასე აგრესიულად განეწყვნენ პოეზიაში და რამ გამოიწვია მათი ასეთი პოზიცია? თავკაცი პაოლო იაშვილის გარდა ამ ჯგუფში შედიოდნენ: ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, სანდრო ცირეკიძე, კოლაუ ნადირაძე, რაჟდენ გვეტაძე და სერგო კლდიაშვილი. შემდეგ მათ შეუერთდნენ: შალვა აფხაიძე, ალი არსენიშვილი, შალვა კარმელი, გიორგი ლეონიძე და სხვები. რით იყო გამოწვეული მათი ასეთი «განდგომა»?

ეს ლიტერატურული ნაკადი ქუთაისიდან წამოვიდა. ქუთაისი, კი, გრიგოლ რობაქიძის სიტყვებით, იყო «თავნება ქალაქი. იგი უთუოდ გენიალური გამოვლენაა მეტაფიზიკური «ობივატელშჩინისა» და თან, მეტად თავისებური».[47]

ჟურნალ «ცისფერი ყანწების» პირველ ნომერში ტიციან ტაბიძე წერდა: «სიმბოლიზმი ჩვენში შემოიტანა გრ. რობაქიძემ... საფიქრალი იყო, რადგან სხვაგან ასეთი აღელვება გამოიწვია სიმბოლიზმმა, ჩვენშიც მონახავდნენ ფიჩხებს ინკვიზიციის ცეცხლის დასანთებად, მაგრამ გრ. რობაქიძეს უთხრეს თავის დასტური არჩილ ჯორჯაძემ და კიტა აბაშიძემ. ამ ორი პიროვნებით იწურება ქართული ესთეთიკური კულტურა გრ. რობაქიძემდი... გრ. რობაქიძის ლექსები პირველი სიმბოლისტური ლექსებია».[48]

ის პოტენციური მუხტი, რომელიც ქართულ გენში იყო დაგროვილი, მრავასაუკუნოვანი სკოლა დიდი და მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნისა, თითქოს ამოიფრქვა ამ, პოეტურად აღგზნებული, ახალგაზრდების სახით.

---

[46] ტიციან ტაბიძე. წერილი «ცისფერი ყანწებით». ჟურნალი «ცისფერი ყანწები». №1. 1916. გვ. 32.
[47] გრ. რობაქიძე.AARC, 1918.II-III. გვ. 46.
[48] ტ. ტაბიძე. ჟურნალი «ცისფერი ყანწები». 1916. №1. 22, 23გვ.

იმ პერიოდს ასე იგონებს სერგო კლდიაშვილი:

«თითქმის სასწაულს ჰგავდა ის ამბავი, თუ როგორ აღმოჩნდა ეს წიგნები იმერეთის ამ პატარა ქალაქში. აქამდე ლიტერატურული სამყარო ჩემთვის შემოფარგლული იყო ყველასათვის ცნობილი ქართველი, რუსი და უცხოელი კლასიკოსების სახელებით და უეცრად ახალი სახელები მესმის: ვერლენი, ლაფორგი, კლოდელი, ვერჰარნი, მეტერლინკი, უაილდი, ჰამსუნი, სტრინბერგი, ბრიუსოვი, ბალმონტი და სხვა და სხვა.

... ქუთაისშივე მოულოდნელად გამოჩნდა მეტად კოლორიტული სახე ჩვენი ასაკის ახალგაზრდისა. ეს იყო პაოლო იაშვილი _ სულით მეამბოხე და გულგაშლილი... ტიციანი და პაოლო უცბადვე დაუახლოვდნენ ერთმანეთს და მათი მეგობრობა სამუდამოდ განმტკიცდა. სიამელი ტყუპები _ ასე ეძახდნენ ისინი ერთმანეთს... ხელიხელ ჩაკიდებულნი, ისინი შეეჭიდენ გამეფებულ რუტინას და ახლის დამკვიდრებისათვის ბრძოლა გააჩაღეს». [49]

«გრიგოლ რობაქიძე და კონსტანტინე გამსახურდია განადიდებდნენ გოეთესა და ნიცშეს, ტიციან ტაბიძე _ უაილდსა და ლოტრეამონს, ვალერიან გაფრინდაშვილი _ მალარმესა და ბრიუსოვს, ალექსანდრე აბაშელი _ პარნასისტებსა და ბალმონტს. ხშირად ახსენებდნენ ვერსალსა და ესკურიალს, ნოტრდამსა და უნტერდენ ლინდენს... უცხო სტილი, სახელი, იდეა, ფორმა იწვევდა შთაგონებას, პოტურ აგზნებას, რაც დიდად განსხვავდებოდა იმ ტრადიციებისაგან, რომელთა წრეში აღიზარდნენ.

... ისხდნენ «სობოროს» კიბის საფეხურებზე მეოცნებე ჭაბუკები და პოეზიისათვის ღამეებს ტეხდნენ, აწყობდნენ ჰოფმანის საღამოებს, თამაშობდნენ ბანქოს; ეწაფებოდნენ «თხევად მზეს» _ ღვინოს, ხულიგნობდნენ და ხმაურით იკლებდნენ ქალაქს. ზოგი ოპიუმის ძალას სცდიდა (პაოლო იაშვილი), ზოგიც ჭლექს ებრძოდა (სანდრო ცირეკიძე, შალვა კარმელი)...»[50]

სერგო კლდიაშვილი იგონებს ერთ შემთხვევას, რომელიც ნათლად ასახავს «ცისფერყანწელების» მიდრეკილებას არაჩვეულებრივ გარემოში გამოეცადათ პოეზიის უჩინარი და ყოვლადმპყრობელი გავლენა:

---

[49] სერგო კლდიაშვილი. «ახლობელი და შორეული». (მოგონებები). თბილისი. გამ. «საბჭ. საქარ.» 1964. მოგონება «ლექსები იყო მისი საგზალი».

«1919 წელი იყო. პაოლომ არგვეთიდან ქუთაისში ჩამოიარა, ერთი დღითო, თქვა, მაგრამ თბილისიდან ტიციანის დეპეშა მივიღეთ, ჩამოვდივარო და პაოლო დარჩა.

ტიციანის ჩამოსვლა, რა თქმა უნდა, ავღნიშნეთ. იმ დღეს ყველანი ერთად ვიყავით. ლეონიძე გვაკლდა და თბილისში მყოფს მეგობრული დეპეშით მივესალმეთ. ნასადილევს კი, პაოლოს წინადადებით, ქალაქგარეთ გავედით.

ქუთაისის აღმოსავლეთით მდინარე წყალწითელაზე რომ ძველი ხიდია, ის ალბათ ბევრ თქვენთაგანს უნახავს. მიუახლოვდები თუ არა იმ ადგილს, მკაფიოდ გაიგონებდით წისქვილის ბორბლებზე მიშვებული ღარის წყლის ხმაურს. მდინარის გასწვრივ ორივე ნაპირზე რამდენიმე წისქვილი იყო აგებული. აქ ყოველთვის დაინახავდით ურმებს, რომლითაც საფქვავი მოეტანათ.

ჯერის მოლოდინში გლეხები დამსხდარან ხის ქვეშ და საუბარი გაუბამთ.. ღამდებოდა, როცა იქ მივედით. ერთი განაპირა წისქვილი შევარჩიეთ. ჭაღარა მეწისქვილემ გაკვირვებით შეგვავლო თვალი ქალაქურად ჩაცმულ ახალგაზრდებს. მისი გაკვირვება ბუნებრივი იყო. საფქვავის მომტანს არ ვგავდით. გამომცდელად შეგვათვალიერა და ფრთხილად იკითხა, ვინ ვიყავით, რა საქმეზე მივედით. ტიციანის პასუხმა, რომ პოეტები არიან და აქ ღამის გათევას აპირებენ, მეწისქვილე საგონებელში ჩააგდო.

... ჩამოვსხედით სიმინდით სავსე ტომრებზე. სანდრო ცირეკიძემ საიდუმლოდ გვითხრა, რომ გამზადებული აქვს სიურპრიზი ტიციანისათვის და პაოლოსათვის. გახსნა პატარა შეკვრა და ჩამოარიგა მის მიერ გამოცემული მალარმეს ლექსების კრებული ქართულ ენაზე. პირველი ეგზემპლარები იყო, რომლებიც სახელდახელოდ დაამზადებინა სტამბას და აქ წამოიღო მეგობრებისათვის დასარიგებლად.

_ ღმერთო ჩემო! _ ლამაზად გამოცემულ წიგნს ფურცლავს ტიციანი და ჩუმად ამბობს: _ სად წისქვილი, სად მალარმე... რამ გაფიქრებინათ ქუთაისში მისი გამოცემა?...

ტიციანის ტუჩებს ღიმილი არ შორდებოდა. კიდევ რაღაც უნდა თქვას მაგრამ ამის ნაცვლად სანდროს ისე ეხვევა, თითქოს რაიმე დანაშაულს პატიობდეს.

მგონი რაჟდენ გვეტაძეს წინადადება შემოაქვს მალარმეს ლექსები იქნას წაკითხული.

---

[50] სოსო სიგუა. «ქართული მოდერნიზმი». თბილისი. გამ. «დიდოსტატი». 2002 გვ. 91.

_ არავითარი მალარმე! _ წამოიჭრა აქამდე ტომარაზე წამოწოლილი პაოლო. _ ქუთაისში ამის გამოცემა პროვინციალიზმია და ობრომდობა! არავითარი მალარმე! აქ ქართული ლექსები უნდა ვიკითხოთ!

პირველი თვითონ იწყებს. მისი დიდი ხმა წისქვილის ქვების ხმაურს ერთვის. ჯერ წაიკითხა ტიციანისადმი მიძღვნილი თავისი ახლად დაწერილი სონეტი. მატარებლით ნამგზავრ, მთელი დღის განმავლობაში მოუსვენებელ ტიციანს დაღლილობა ემჩნეოდა, მაგრამ პაოლოს ლექსებმა უეცრად ხალისი მისცა, გამოცოცხლდა და თვითონაც დაიწყო კითხვა:

«... ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს»...

...პაოლო, ტიციანი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, შალვა აფხაიძე, ნიკოლოზ შენგელაია, შალვა კარმელი, რაჟდენ გვეტაძე ერთმანეთს ენაცვლებიან და წისქვილში მათი ხმა დიდხანს ისმის...»[51]

შალვა კარმელის პირად არქივში შემორჩენილია პატარა აფიშა: «... შაბათი, 1918 წ. ივლისის 20. სამხატვრო და სალიტერატურო საამქროს «ფერად ნიღაბის» საღამო.

განყოფილება I: დავით კლდიაშვილი, ია ეკალაძე, თ ხუსკივაძე, ვ. გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, სანდრო კავსაძე.

ანტრაქტის დროს: ეროვნული ჰიმნი _ მუსიკა კ. ფოცხვერაშვილისა

განყოფილება II.

დია ჩიანელი, შოთა დადიანი, შ.ი. ყიფიანი, შ. კარმელი, ნ. მიწიშვილი, რ. გვეტაძე, დ. ცვარნამი, ლ. მაჭავარიანი, გუცა, სერ. კლდიაშვილი.

ანტრაქტის დროს: მარში – მუსიკა კ. ფოცხვერაშვილისა

განყოფილება III.

მეგრული გუნდი, ცეკვა, აუქციონი. დასაწ. საღ. 9-სთ-ზე».

[51] ს. კლდიაშვილი, «ახლობელი და შორეული». მოგონება: «ლექსები იყო მისი საგზალი». თბილისი გამ. «საბჭოთა საქართველო», 1964 წ.

აფიშა დაბეჭდილია ნ. ფერაძისა და ამხ. სტამბაში, ქუთაისში. უნდა ვიგულისხმოთ, რომ საღამოც ქუთაისში გაიმართა, ვინაიდან შალვა კარმელი ამ დროს ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლობს.

კოლაუ ნადირაძე 1970 წელს გამოცემული შალვა კარმელის წიგნის: «ლექსები» შესავალში წერს: «ერთ დღეს ჩვენთან მოულოდნელად მოვიდა პირშიშველა ახალგაზრდა, თითქმის ბავშვი, რომლის გარეგნობა უტყუარად მეტყველებდა, რომ იგი პოეტი იყო.

ეს იმდენად ნათელი იყო ჩვენთვის, რომ აზრად არ მოგვსვლია მისთვის ამ მხრივ რაიმე შეკითხვა მიგვეცა.

მისი სახის ბავშვურ იერს უჩვეულოდ ლამაზი თვალები ამკობდნენ - «არჩვის თვალები», _ როგორც მათ ამ სტრიქონების ავტორმა უწოდა.

დაუვიწყარია ჩემთვის მისი ბავშვური, უმანკო გაღიმება!...

...შალვა კარმელი მეტად მუსიკალურად კითხულობდა ლექსებს. მისი ინტონაცია იყო ბუნებრივი, ყოველგვარი გადამეტებული პათოსისა და დეკლამაციური სიყალბის გარეშე. მისი პოეტური ბუნებისათვის უცხო და მიუღებელი იყო ყოველივე ვულგარული და ბანალური, რაც ყოველთვის უნიჭობისა და უგემოვნობის მაჩვენებელია.

შალვა სულ მალე ყველასათვის საყვარელი მეგობარი გახდა.

... ჩვენი, ცისფერყანწელთა ქუთაისის პერიოდი განუყრელად დაკავშირებული იყო შალვა კარმელთან. არა ერთი და ორი ღამე გაუთენებია მას ჩვენთან ერთად ქუთაისის მყუდრო და ღრმა სადარბაზოებში...»[52]

1917 წლის თებერვალში, რევოლუციის შედეგად, დაემხო რუსეთის მონარქია. თებერვლის რევოლუციას ნოემბერში მოჰყვა ბოლშევიკური გადატრიალება. მალე ყოფილი რუსეთის იმპერია სამოქალაქო ომმა მოიცვა. დაიწყო ძმათამკვლელი ომი და ანარქია, ძარცვა-გლეჯა, ნგრევა და შიმშილი.

საქართველომ 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადა დამოუკიდებლობის აღდგენა და აღსრულდა ქართველი ხალხის საუკუნეზე მეტი ხნის ოცნება.

---

[52] კ. ნადირაძე. «მეგობრის გახსენება». შ. კარმელის წიგნის «ლექსები». შესავალი. თბილისი. «საბჭ. საქ.»1970.

«ჩვენ ჩვენი საკუთარი გზა გვაქვს და ვეცადოთ ყველა ძალების შემოკრებას, რომ რევოლუციაში შობილი ეროვნული განთავისუფლების გზა ანარქიით არ მოვისპოთ».[53] წერდა იმ დღეებში გრიგოლ რობაქიძე.

საქრთველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების იდეით აღფრთოვანებული შალვა კარმელი წერს ლექსს:

«ქართველ გოგონას

...მხიბლავს ეგ სახე, სათნო და მშვიდი,

ხან ჰეჰელავ და ხან ნაპერწკალო.

მოგელის კარგი ცხოვრება დიდი

პატარა გოგოვ, ქართველო ქალო».[54]

1918

«ცისფერყანწელთა» ბოჰემური ცხოვრება ქუთაისში გრძელდებოდა. დია ჩიანელს (დავით ჩხეიძე) რომანში «გიონ დარანა» ასე აქვს აღწერილი ერთ-ერთი მათი საღამო:

« _ « ლევში» ვივახშმოთ, დარბაისლურად თქვა ვალერიან გაფრინდაშვილმა.

_ კარგი იქნება _ დაემოწმენ და წავიდნენ...

... პოეტთა და მსახიობთაგან «ლევს» მოგება არა ჰქონდა, მაგრამ ის იყო ადგილი, სადაც ხელოვნება უყიოდა ქუთაისს და ქუთაისიდან _ მთელ საქართველოს.

«ლევი» იყო ფოკუსი ქუთაისის.

«ლევი» იყო ზიარება და ჯვარცმა ხელოვანთა.

პოეტები ცალკე ოთახში დასხდნენ.

სუფრის თამადა პაოლო იაშვილი, მუდამ მხიარული და მოსწრებული სიტყვით Mმთელს ოთახს ელფერს აძლევდა თავისი ყიჟინა ექსპრომტებით.

შავტუხა, მაგარი თვალებით, მოქნილი წელით, ჭიქას ისე შეათამაშებდა, ვით რითმას გამართულსა და ძარღვიანს, სავსეს წითელი ღვინითა და რძით...

---

[53] გივი გოლენდი. გაზ. «სქართველო» 1917. №237. (გრ. რობაქიძის ფსევდონიმით).

[54] კოტე ავალიშვილი. «იყო ასეთი პოეტი». გაზ. «ქუთაისი». 6.IX. 1979.

...განიერი შუბლის კლდეთა ღრუებიდან იცქირებოდა, ვით იოგი ინდუსტანისა, რომელიც დაისივით საიდუმლოებით იყო სავსე _ ვალერიან გაფრინდაშვილის შავი თვალები. ძუნწი თქმით ორეულს უმართავდა კახურით სავსე ჭიქას.

სერგო კლდიაშვილი თავისოდენა ჭიქით სვამდა ღვინოს და ისეთ თეატრზე ოცნებობდა, სადაც მისი შარჟები დაიდგმებოდა და თვით იქნებოდა დირექტორი და რეჟისორი.

სევდით ნაგუბარი _ ოკრიბით თავმომწონე ნიკოლოზ მიწიშვილი, ბედს რომ ეთამაშებოდა და ყოველთვის ფატუმს ამარცხებდა.

მუდამ ჩუმი სანდრო ცირეკიძე და შალვა კარმელი მხოლოდ იღიმოდენ და ცივ წყალს შეექცეოდნენ, გაბრაზებული იმაზე, რომ სერგო კლდიაშვილის გულის მოსაკლავად, ღვინოს ვერ სვამდნენ.

ენამოჩლექით ლაპარაკობდა კოლაუ ნადირაძე, ტკბილი მობაასე და ლირიკოსი, რომელიც ატკბობდა სუფრას და თაფლის სანთელივით კელაპტრობდა».[55]

მართალია ეს ნაწყვეტი მხატვრული ნაწარმოებიდან არის, მაგრამ დია ჩიანელი, რომელიც ამ წრეში ტრიალებდა და თვითონაც ცისფერყანწელი იყო, ძალიან კარგად იცნობდა მათ ცხოვრებას და მოწმე იყო ყოველივე ამის.

აღსანიშნავია ამ ნაწყვეტში ადგილი, სადაც მინიშნებულია, რომ სანდრო ცირეკიძე და შალვა კარმელი სუფრასთან მხოლოდ წყალს სვამდნენ. ეს მათი უკურნებელი სენის გამო.

შალვაც და სანდროც შემდგომში ამ სენის მსხვერპლნი გახდნენ.

როგორც უკვე მოგახსენეთ, შალვა კარმელი 1920 წლიდან თბილისშია, სწავლობს ქართულ უნივერსიტეტში და მუშაობს გაზეთ «საქართველოს» რედაქციაში. რა სიტუაციაა ამ დროს თბილისში?

ამ პერიოდში სამოქალაქო ომით გაწამებული და დევნილი რუსეთის ინტელიგენციის ერთი ნაწილი თბილისს მოაწყდა.

«იმ ხანებში არც საქართველოში იყო მშვიდობა (ომი თურქეთთან, სომხეთთან, ოსების აჯანყება შიდა ქართლში), მაგრამ რუსეთთან შედარებით, მაინც უფრო წყნარად გამოიყურებოდა ცხოვრება...

[55] დია ჩიანელი. «გიონ დარანა». გამ. «საბჭ. საქართ». თბილისი. 1970. გვ. 61-62.

...აქ იყრიდნენ თავს მოსკოვ-პეტერბურგიდან გამოქცეული მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები. მოულოდნელად თბილისი გახდა რუსული ავანგარდიზმის ცენტრი. თბილისში გადმოინაცვლა პეტერბურგულმა «Бродячая собака“–მ . 1917 წლის 25 ნოემბერს პოეტ იური დეგენისა და მხატვრული საზოგადოების «Колчуга»-ს თაოსნობით თბილისში გაიხსნა ლიტერატურული კლუბი «Фантастический кабачок». ვის არ ნახავდით «კობაჩკოში»: გრიგოლ რობაქიძეს და სერგეი გორდეცკის, ტიციან ტაბიძეს და ძმებ ზდანევიჩებს _ ილიასა და კირილეს, პაოლო იაშვილსა და ალექსეი კრუჩონიხს, ლადო გუდიაშვილს და ზიგმუნდ ვალიშევსკის, ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვსა და დიმიტრი გორდეევს, სოფია მელნიკოვას და ნატალია გონჩაროვას, ალექსანდრე ყანჩელსა და სერგეი სუდეიკინს, ოსიპ მანდელშტამსა და ვასილ კატანიანს. ერთი სიტყვით ყველას, ვინც მწერლობა-ხელოვნების კერპს ემსახურებოდა. საზოგადოებასაც ანდამატივით იზიდავდა იგი».[56]

რაც შეეხება თბილისში ქართული ლიტერატურული წრეების ცხოვრებას: 1917 წელს ჩატარდა ქართველ მწერალთა I კონფერენცია და შეიქმნა «ქართველ მწერალთა კავშირი» (8(21) ოქტომბერი). თავმჯდომარედ აირჩიეს კოტე მაყაშვილი. «1919 წელს ქართველ მწერალთა კავშირმა ქალაქის გამგეობისაგან შეიძინა რესტორანი «ანონა» რუსთაველის პრ. №21. არტისტული საზოგადოების თეატრში (ახლანდელი რუსთაველის თეატრის ქვემოთა საგარდერობო.) მოაწყო იქ კაფე-რესტორანი, კლუბი და უწოდა «ქიმერიონი».[57] ტიციან ტაბიძე წერილში «ქიმერიონი» წერდა: «მწერალთა კავშირის საბჭომ ათი სხდომა მოანდომა, რომ კაფესათვის დაერქმია სახელი. იყო აუარებელი წინადადება... გაიმარჯვა წინადადებამ: «ქიმერიონი» _ სიტყვა აღებულია ვ. გაფრინდაშვილის ლექსიდან».[58] კაფე _ «ქიმერიონის» ოთახები მოახატვინეს სერგეი სუდეიკინს, ლადო გუდიაშვილს და დავით კაკაბაძეს. პირველი კედელი მოხატა სუდეიკინმა. «... ესპანური ქუდით და წამოსასხამით, ყანწებით ხელში დახატულია პაოლო იაშვილი, თავს ახვევია მტრედები და სახე უბრწყინავს, როგორც ილია წინასწარმეტყველს... ფონი _ ცისფერი მტრედები ცისფერ ყანწებში აღნიშნავენ მის გულკეთილობას... შემდეგ ხეზე, რომელიც აღნიშნავს ხეს ცნობადისას, მიყუდებული

[56] აკაკი ბაქრაძე. «კარდუ». გამ. «ლომისი». თბილისი. 1999. გვ. 39-40.
[57] რევაზ კვერენჩხილაძე. «საქართველოს მწერალთა კავშირი 1917-1982» გამ. «მერანი». 1983
[58] ტ. ტაბიძე. «ქიმერიონი». გაზ. «ბარიკადი», 1922. №5.

დგას ტიციან ტაბიძე პიეროს წამოსასხამში. ქვევით ტრაგიკული ბალაგანი, არღანი, თუთიყუში _ ფონი მეწამული ქალდეასი, შემდეგ, როგორც საიდუმლო სერობა, ნინა მაყაშვილი კოლომბინას კოსტიუმში ნიღაბით...».[59]

1919 წლის 27 დეკემბერს «ქიმერიონში» გაიმართა ქართველ მწერალთა პირველი საღამო. როგორც ლადო გუდიაშვილი იგონებს, «კაფე «ქიმერიონში» ეწყობოდა ლიტერატურული შეხვედრები. მწერლები კითხულობდნენ ახალ ნაწარმოებებს. შემდეგ გამოდიოდნენ იმ დროის გამოჩენილი მომღერლები და მოცეკვავეები. საერთოდ ეს კაფე ძალიან თვალწარმტაცი სანახავი იყო, შადრევნების ირგვლივ, მაგიდებს შორის თავისუფლად დასეირნობდნენ შვლები და ხანდახან სუფრაზე მიტანილ მწვანილსაც წასწვდებოდნენ ხოლმე».[60]

1919 წლის 28 აგვისტოს ქართული კლუბის ბაღსა და საზაფხულო დარბაზში გაიმართა ქართველ მწერალთა კავშირის პირველი დღეობა. 1920 წლიდან კი პოეზიის დღესასწაული იმართებოდა 7 მაისს.

საქართველოს მწერალთა კავშირი 1921 წლის 23 ოქტომბერს გაითიშა. მათ გამოეყვნენ «ცისფერყანწელები» და დააარსეს «საქართველოს ახალი მწერლობის კავშირი» (დამფუძნებელი კრება) და აირჩიეს საბჭო. 1922 წლის აპრილში ა.მ.კ. წევრთა საზოგადო კრებამ გამგეობაში დამატებით შეიყვანა 5 კაცი, მათ შორის შალვა კარმელიც». (საქართველოს მწერალთა კავშირი და ახალი მწერლობის კავშირი ისევ გაერთიანდნენ 1923 წ. ოქტომბერში.)

«ცისფერყანწელთა» თაოსნობით გადაწყდა შეექმნათ პოეზიის აკადემია (1921 წლის ზაფხული) ხელოვნების სასახლეში. შედგენილი ჰქონდათ გეგმა და 1921-23 წლებში აპირებდნენ გაემართათ მოხსენებები და საღამოები. საკმარისია ამ მოხსენებების თემატიკას გადახედოთ, თუ რა საინტერესო იყო ლიტ. ცხოვრება იმ დროს თბილისში. შალვა კარმელიც ჩართული იყო ამ პროცესში შეძლებისდაგვარად, რაც მისი ფიზიკური მდგომარეობით იყო განპირობებული. გრიგოლ რობაქიძე, შალვა კარმელის ხსოვნისადმი მიძღვნილ სხდომაზე 1923 წლის 4 თებერვალს ხელოვნების სასახლეში იხსენებს «ერთ შეხვედრის ღამეს შალვა კარმელთან და რაჟდენ გვეტაძესთან და ამ ღამიდან გამოყავს თავისი ლექსი «ტფილისის ხერხემალი», რომელიც ჯერ არ არის

[59] გაზ. «ბარიკადი», 1922. №5.

დაბეჭდილი, მაგრამ რომელიც ცნობილია მის საუკეთესო მიღწევათ და სწუხს, რომ შალვა კარმელის სიცოცხლეში ვერ მოასწრო მასზე ეთქვა დამტკიცებით სიტყვა, რომელსაც ალბათ ეს ბავშვი მოელოდა».[61]

«თითქოს გავცივდი თოვლში ღარიბი,
დანესტიანდა ფილტვის კედარო,
შენ ჩემო ლანდო, ვის ეყვარები, _
გზა დაკარგულო მუნჯო მხედარო!»
(«სანბენიტო». 1919)

თავი II

შალვა კარმელის არქივი

1921 წელს გამოვიდა შალვა კარმელის წიგნი «ბაბილონი (წიგნი პირველი) წიგნის ბოლოში აღნიშნულია, რომ მზადდება გამოსაცემად «აპოკალიპსის ცხენები» (წიგნი მეორე) და «თეთრი გიორგი» (წიგნი მესამე).

პოეტის გარდაცვალების შემდეგ ეს ორი, გამოსაცემად გამზადებული წიგნი ინახებოდა რაჟდენ გვეტაძესთან. რ. გვეტაძის გარდაცვალების შემდეგ ეს წიგნები უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

შემოქმედების რა ნაწილი გადაურჩა ჟამთასვლას უბედო ვარსკვლავზე გაჩენილი პოეტისა?

შალვა კარმელის გიმნაზიაში სწავლის დროს მის მიერ შექმნილი ნაწარმოებები სასწაულებრივად გადაურჩა ხანძარს ნაწილობრივ (დაიწვა ქუთაისში მდებარე სახლი). ეს ლექსები ფაქტობრივად მისი შემოქმედების დასაწყისია. დაწერილია სასკოლო რვეულების ფურცლებზე. არის სამი პატარა წიგნაკიც. ერთი მათგანი დათარიღებულია 1915 წლით (19-20/VII), «უბის წიგნაკი №2», (პოემა «ძმობილი») როგორც მას ავტორი უწოდებს. მეორეა «ლექსთა რვეული» _ «ლექსები ჩემს ძმას კუკურის შალვა კარმელისაგან». აქ ძირითადად საბავშო ლექსებია ძმისადმი მიძღვნილი, შალვას ხელით ჩაწერილი. და მესამე წიგნაკი, უკვე ალბათ ზრდასრული კარმელის, მხატვრულად

---

[60] ლადო გუდიაშვილი. «მოგონების წიგნი» თბ. 1979. გვ. 14.
[61] „შალვა კარმელის საღამო“. გრ. რობაქიძის სიტყვა, გაზ. „რუბიკონი“. 1923 №4.

მაღალი დონის ლექსებით (11 ლექსი) და ბოდლერის ლექსების თარგმანებით (2 ლექსი). ეს წიგნაკიც შალვა კარმელის ხელითაა დაწერილი.

ე. წ. «უბის წიგნაკი №2-ში» 1915 წლის ივლისში შალვას ჩაუწერია ლეგენდა «ძმობილი» პოემად, საინტერესო სიუჟეტით, გიმნაზიელის შესაფერი პოეტური ლექსიკით.

ფურცლებზე მინაწერი ლექსები ხშირად უსათაუროა და ლექსის წერაში ვარჯიშობას უფრო გავს. მაგ. ფურცელი №1. უსათაურო ლექსია («გლოვის შავი ტრაური»). ფურცლები დაზიანებულია, ნაწერია ძალიან წვრილად და ბევრ ადგილას ტექსტის გარჩევა შეუძლებელია; ფურცლები გაყვითლებულია და ნაწერი მუქი ყავისფერი მელნით თითქმის ფურცლების ფერი გახდა გახუნების გამო. ფურც. №2. პოემა «ძმობილის» ფინალის ერთ-ერთი ვარიანტია და თარიღიც იგივე უზის (1915, 18-20. VII. თითონ ეს ნაწყვეტი უსათაუროა).

ფურც. 3. პირველ გვერდზე სამი ლექსია: I ეძღვნება დავით აღმაშენებელს, II _ «მოწამეთას» მონასტერს, დავითს და კონსტანტინეს, III _ უსათაურო «თამარს» _ «ო, თამარ, თამარ, ცისიერო კურთხევა შენდა!» (შემდგომში შალვა კარმელმა მეორე ლექსიც უძღვნა თამარ მეფეს _ «მუდამ მაისში ამწვანდება თამარ ზენარი».

ფურც. 4 «წერილი სატრფოსადმი», ლირიული ლექსია. ამავე ფურცლის მეორე გვერდზე უსათაურო, ასევე სატრფიალო ლექსია («სამოთხის ბაღსა, ფერადოვანსა».)

ფურც. 5. უსათაურო ლირიული ლექსია («დღეს აქა ხარ მხიარული»...)

ფურც. 6. უსათაურო. ლექსში იგრძნობა «მერანის» გავლენა.

ფურც. 7. «ორი მშიერი» - ერთმოქმედებიანი პიესა-ვოდევილი ლექსად. 1917წ. 16 ოქტ. (ალბათ გიმნაზიის სცენისათვის).

ფურც. 8. პოემა «ლეილას» ნაწყვეტები. ლირიული პოემაა. შედგება ოცი თავისაგან. ყველა თავი ერთი მხატვრული დონის არ არის. ნაწყვეტი XIX-ე თავიდან შესულია «ბაბილონის» 2000წ. გამოცემაში.

მე-3-ე წიგნაკში შალვა კარმელის ხელით ჩაწერილია შემდეგი ლექსები და თარგმანები:

1. «ავტოპორტრეტი პროფილში».
2. «სონეტი ნინოს».

3. «ხავერდის ჩარჩო».
4. «ეთერის ქალები».
5. «ნემეზიდა».
6. «ხავერდის ქალი».
7. «სონეტი მონასიბათ სანთიობოსთან»
8. «სონეტი გიორგი სააკაძეს».
9. «გამოტირილი წლისთავზე».

ცრემლი მეხუთე. «მწყურია მუდამ მიცვალებულთ ვიყო გამყოლად». ვ. გაფრინდაშვილი

10. თამარ («მუდამ მაისში»)
11. არტემიდე.

თარგმანები:

1. შარლ ბოდლერი «უფსკრული».
2. «_____» «მემბოხე».

ცალკე ფურცელზეა ბოდლერის მესამე ლექსის თარგმანი «შუაღამის გამოცდა» რკალიდან «სპლინი და იდეალი». თარიღი 25 სექტემბერი. ყველა ეს ფურცელი თუ წიგნაკები ინახება კუკური გოგიაშვილის ოჯახის პირად არქივში, შალვა კარმელის კუთვნილ სხვა ნივთებთან ერთად.

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში ინახება შალვა კარმელის ლექსების 27 ხელნაწერი, რომელიც მუზეუმს გადასცა შალვას გიმნაზიელმა მეგობარმა იოსებ ბარათაშვილმა. ამის შესახებ გამოქვეყნებული იყო მუზეუმის კრებულში «ლიტერატურის მატიანე» (№7-8. 1982). ქ. ხაჩიაშვილის და ი. ბარათაშვილის წერილები და რამდენიმე ლექსი ამ ხელნაწერებიდან: 1. «სულის ლეგენდა», 2. უსათაურო («ახალგაზრდა ვარ»), 3. «ლანდები», 4. «ყოფნის ლეგენდა» (ნაწყვეტი პოემიდან «ლეილა»), 5. «მარტოობა». ამ ლექსების გარდა ი. ბარათაშვილის მიერ გადაცემულ შალვა კარმელის ლექსებში ლიტერატურის მუზეუმის ფონდში შედის შემდეგი ლექსები: ფ. 25322. მარგალიტის მანიაკიდან: «მთვარის კაბარეში», ფ. 25400. «მეგობარს», «შემიძლია დაგივიწყო?», «სოსიკოს», «მწუხრის სიმღერა», ნაწყვეტი პოემიდან «ლეილა» (XIX თავი), «ლოთი რომანსი», «სალამი სოსიკოს», «გედის სიმღერა».

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლეონიძის სახელობის მუზეუმში, რაჟდენ გვეტაძის ფონდში ინახება ალბომი, სადაც სხვა მწერლებთან ერთად შალვა კარმელის ხელით ჩაწერილია ორი ლექსი: «სონეტი ეთერის ქალებს» (შემდეგ გამოცემებში «მარიონეტკები») და «ნემეზიდა». (ფ. №3661.) 1921 წლის ავტორისეულ გამოცემაში ამ ლექსების ტექსტები შეცვლილია.

იოსებ გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმის ფონდში აღმოვაჩინეთ შალვა კარმელის დღემდე უცნობი წერილი ბ-ნ იოსებისადმი და აგრეთვე უცნობი ლექსი «ეგო ვი ამო!» («მე თქვენ მიყვარხართ»). (ფ. I 2972) წერილში შალვა კარმელი მოკრძალებით თხოვს იოსებ გრიშაშვილს, თუ საჭიროდ ჩათვლის დაუბეჭდოს ეს ლექსი თავის ჟურნალში «ლეილა». წერილი და ლექსი დაწერილია 1916 წელს.

ამ წერილისა და ლექსის გარდა ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის ფონდში აღმოვაჩინეთ შალვა კარმელის გამოქვეყნებული ლექსები 1917-1919 წლებში სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში (ფ. I 2339), რომლებიც შემდგომ არცერთ გამოცემაში არ შესულა. (16 ლექსი), ასევე შ. ბოდლერის «ალბატროსის» თარგმანი, რომელიც 1918 წელს დაბეჭდილია გაზეთში «ჩვენი ქვეყანა» (№156).

ფონდში არის აგრეთვე შემდგომშიც გამოქვეყნებული ლექსები, რომლებშიც თვით ავტორს აქვს შეტანილი ცვლილებანი (7 ლექსი. ფ. I 2339).

წიგნაკში, რაჟდენ გვეტაძის ალბომში ჩაწერილ და 1921 წლის «ბაბილონის» გამოცემის ავტორისულ ვარიანტებზე ჩვენ დაწვრილებით ვწერდით წერილში: «შალვა კარმელის პოეტური მემკვიდრეობიდან». ჟურნალში «ცისკარი»[62]... 2001 წელს

2. 1. შალვა კარმელის წიგნები

შალვა კარმელის I წიგნი _ «ბაბილონი» გამოვიდა ავტორის სიცოცხლეში 1921 წელს. (გამომცემელი იოსებ ბერიშვილი. ტფილისი) წიგნი შედგება სამი ნაწილისაგან: 1. ბაბილონი (26 ლექსი), 2. მთვარის ეშაფოტი (14 ლექსი) და 3. ოფორტები (13), სულ შესულია 53 ლექსი. წიგნის ბოლოში აღნიშნულია, რომ მზადდება გამოსაცემად მისი ორი ახალი წიგნი: «აპოკალიპსის ცხენები» _ წიგნი მეორე, და «თეთრი გიორგი» _ წიგნი მესამე. ეს ორი გამოსაცემად გამზადებული წიგნები, შალვა კარმელის გარდაცვალების

შედეგად გამოუცემელი დარჩა და ინახებოდა რაჟდენ გვეტაძესთან. სამწუხაროდ, რ. გვეტაძის გარდაცვალების შემდეგ (გამოსაცემად გამზადებული) წიგნები უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

შალვა კარმელის ლექსების წიგნი საბჭოთა პერიოდში პირველად უნდა გამოსულიყო 1959 წელს, მაგრამ კომუნისტური იდეოლოგიის «ფხიზელმა» მუშაკებმა კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილებიდან, როდესაც წიგნი დაიბეჭდა და გაყიდვაში უნდა გამოსულიყო, ერთი ამბავი ატეხეს, ამ სიმბოლისტი პოეტის ლექსებმა რა უნდა მისცეს საბჭოთა ახალგაზრდობასო და როგორც იდეოლოგიურად მიუღებელი, წიგნის ტირაჟი განადგურებულ იქნა (56 ლექსი, აქედან 12 საბავშვო. 3 თარგმანი).

1970 წელს, პოეტ შალვა კარმელის უმცროსი ძმის _ მწერალ კუკური გოგიაშვილის ძალისხმევით, მაინც გამოვიდა შ. კარმელის ლექსების მცირე კრებული «ლექსები» (გამომც. «საბჭოთა საქართველო. თბილისი. 1970), ბატონ კოლაუ ნადირაძის შესავალი წერილით: (სულ 46 ლექსი).

ხოლო 1982 წელს, გამომცემლობა «საბჭოთა საქართველოს» ქუთაისის ფილიალმა გამოსცა შალვა კარმელის მეორე წიგნი _ «სემირამიდის ბაღი». ეს გამოცემა 1970 წლის გამოცემას იმეორებდა, მხოლოდ დაემატა 7 ლექსი (53 ლექსი).

1970-82 წლების გამოცემებში თითქმის ყველა ლექსი გადაკეთებულია, შემოკლებულია და დამახინჯებულია, რაც არასწორ შთაბეჭდილებას უქმნის მკითხველს და უკარგავს მათ პოეტურ ღირებულებას.

ასევე «ქართული პოეზიის» მე-14 ტომში შესული შალვა კარმელის 11 ლექსიდან 8 ლექსი 1970-82 წლების გამოცემების გადაკეთებებს იმეორებს.

ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ იქნა წერილი ჟურნალ «მნათობში» 1999 წელს (№11-12), სადაც შედარებული იყო ამ გამოცემების ტექსტები დედანთან და ნათელი იყო ეს დამახინჯებანი.[63]

არსებობს თვით ავტორის მიერ შექმნილი ლექსების სხვადასხვა ვარიანტებიც. ბევრი ლექსი, რომლებიც ადრე ჟურნალ-გაზეთებშია გამოქვეყნებული, შესული 1921 წლის «ბაბილონის» გამოცემაში _ გადაკეთებულია ავტორის მიერ და მხატვრულად

---

[62] ნ. გოგიაშვილი. «შალვა კარმელის პოეტური მემკვიდრეობიდან». ჟურნალი «ცისკარი». 2001წ. №4.

გაუმჯობესებულია. ამის შესახებ ჩვენ დაწვრილებით ვწერდით ჟურნალში «ცისკარი» (2001 წელს).[64]

შეძლებისდაგვარად აღვადგინეთ რა ავტორისეული ტექსტები, შალვა კარმელის დაბადებიდანN 100 წლისთავთან დაკავშირებით, 1999 წელს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექციისა და საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის დახმარებით გამოვიდა ჩვენს მიერ შედგენილი შალვა კარმელის ლექსების წიგნი «ბაბილონი» (თბილისი. 2000წ. გამომც. შპს. «დედა ენა»). ეს წიგნი 1921 წლის გამოცემას იმეორებს და დამატებული აქვს ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრეფილი ლექსები (80 ლექსი) და თარგმანები ფრანგული პოეზიიდან (ფრანგი სიმბოლისტები _ 3 ლექსი). ლექსებს თან ერთვის გრიგოლ რობაქიძის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის და კოლაუ ნადირაძის წერილები შალვა კარმელზე.

წიგნის შესავალი ეკუთვნის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს პროფესორ გურამ ბენაშვილს.

შალვა კარმელი ელიტარული პოეტი იყო და მისი ლექსების გასაგებად საჭიროა თითქმის ენციკლოპედიური ცოდნა. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ ლექსებისათვის დაგვერთო კომენტარები (ჩვენი ავტორობით). (დაახლოებით 300 სიტყვა). წიგნის გარეკანისათვის გამოვიყენეთ ლადო გუდიაშვილის ნახატი «ნიამორები», რომელიც მან «ცისფერყანწელთა» ჟურნალის _ «მეოცნებე ნიამორები» გარეკანისათვის ვ. გაფრინდაშვილის თხოვნით დახატა და ამ ჟურნალის ნათლიაც ის გახლავთ.

ამ დროისათვის შედგენილი გვაქვს შალვა კარმელის ლექსების სრული კრებული, სადაც 2000 წლის გამოცემას დაემატა შ. კარმელის უცნობი ნაწარმოებები და თარგმანები (50 ლექსი, 2 პოემა, 1 ვოდევილი, საბავშვო ლექსები, თარგმანი) აღდგენილი ჩვენს მიერ. სულ ახლახანს ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმში აღმოვაჩინეთ შალვა კარმელის უცნობი ლექსები (17 ლექსი) ბოდლერის «ალბატროსის» თარგმანი და კიდევ 7 ლექსი, რომლებშიც შემდგომში ავტორს შეუტანია ცვლილებანი. დაემატა აგრეთვე რაჟდენ გვეტაძის, შალვა აფხაიძის, ირადიონ სონღულის და გიორგი

[63] ნ. გოგიაშვილი. «შალვა კარმელის ლექსების ტექსტის დადგენისათვის». ჟ. «მნათობი». 1999. №11-12.
[64] ნ. გოგიაშვილი «შალვა კარმელის პოეტური მემკვიდრეობიდან». ჟ. «ცისკარი». 2001წ. №4.

აბზიანიძის წერილები და ლექსები შალვა კარმელზე. დაემატა გამოკვლევაც «შალვა კარმელის ცხოვრება» (ჩვენი ავტორობით). შევსებულია და გაფართოებულია კომენტარების რაოდენობაც.

როგორც ცნობილია, შალვა კარმელის ორი _ გამოსაცემად გამზადებული წიგნი _ «აპოკალიპსის ცხენები» და «თეთრი გიორგი» მისი გარდაცვალების შემდეგ დაიკარგა. ჩვენ ვეცადეთ გამოუქვეყნებელი ლექსებიდან შინაარსობრივად აღგვედგინა ეს ორი წიგნი და ქვეთავებს ვუწოდეთ ავტორისეული სათაურები.

2. 2. ავტორისეული ტექსტების დამახინჯებანი.

(ანუ საავტორო უფლებების დარღვევა)

როგორც ვახსენეთ, ავტორისეული ტექსტები საბჭოთა პერიოდის გამოცემებში «ლექსები» _ 1970წ. და «სემირამიდის ბაღი» _ 1982წ. გადაკეთებულია იდეოლოგიური მოსაზრებით.

ამის შესახებ ჩვენს წერილში «შალვა კარმელის ლექსების ტექსტის დადგენისათვის» ჟურნალში «მნათობი» 1999 წელს (№11-12) დაწვრილებით ვწერდით.

მაგალითისათვის გვინდა მოვიყვანოთ ერთი ლექსი _ «ნემეზიდა». ამ 14 ტაეპიან ლექსში ორიგინალიდან მხოლოდ 1 ტაეპი (!) დარჩენილა (?!).

მე-4-ე სტროფი:

არის:

«ძვირფას კუბოსთან მუხლს
 მოიყრის ფარ-შუბოსანი,
მაგრამ მით უფრო შეგიყვარებს
 ყრუ სამარეში,
ვიდრე დღეს, ბედის მომდურავი
 შენი მგოსანი».

უნდა იყოს:

«უნდა ვეცადო; შეკივლებით
 არ დამჭრას ქალმა
უნდა ვეცადო: რომ მოჰკვეთოს
 პერსეის ხმალმა

მედუზას თავი და მივკიდო

მინერვას ფარში».

როგორც ხედავთ, აბსოლუტური განსხვავებაა დედანსა და გადაკეთებულ ლექსებს შორის.

ლექსიდან «სანბენიტო» ამოღებულია ეპიგრაფი, რადგან ის წმინდა ტერეზას სიტყვებია. «აღდგომის» მაგივრად ჩასმულია «ახალი დღე».

ლექსში «მთვრალი თვალები» მე-6 სტროფში ტაეპი «ეშაფოტს ჰგავდა ნამტრი ალებით» გამხდარა «ეშაფოტს ჰგავდა ნამტირალებით.»

ლექსი «ერანის სარკეში». II სტროფი არის

«მზის გახურებულ ბრაზმა

მიწა გარუჯა წმინდა».

უნდა იყოს:

«მზის გახურებულ ბრაზმა

მიწა გარუჯა წვიდან».

ლექსი «მკვდარი ბრიუგგე». მე-3 სტროფი.

არის:

«... მათი ოცნება ნაღვლიანი

ილტვოდა ცისკენ».

უნდა იყოს:

«... ისროდა ველებს სექტორებად

უცხო მედისკე».

და ა.შ. და ა. შ. 1970-82 წლების შალვა კარმელის წიგნების გამოცემები სავსეა გადაკეთებებით, შეცდომებით და უამრავი ისეთი «შედევრებით», სადაც «ინდური ვედები» «ინდურ ხედებად» ქცეულა. მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს და ვფიქრობთ, რომ ესეც საკმარისია.

2. 3. ავტორისეული ვარიანტები

ჟურნალ-გაზეთებში ლექსების გამოქვეყნების შემდეგ შალვა კარმელს მრავალი ლექსი გადაუკეთებია და მხატვრული თვალსაზრისით გაუუმჯობესებია. ზოგიერთი მათგანის სათაური შეუცვლია, ზოგი გამოყენებული სათაურით სულ სხვა ლექსი შეუტანია მის ერთადერთ წიგნში «ბაბილონი» და ა.შ.

მაგალითად ლექსი «ხავერდის ჩარჩო», რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში «თოლაბულისის სარტყელი» 1919წ. (№1. აპრილი. თბილისი). ახალი სათაურით _ «სიყვარული სონეტს» და ახალი რედაქციით პოეტს შეუტანია მის წიგნში «ბაბილონი». (1921.)

ლექსი «ხავერდის ჩარჩო» იწყება ასე (ძველი ვარიანტი. 1919):

«მე ქალზე უფრო შემიყვარდა სონეტის ფორმა».

ახალი რედაქციით:

«ლამაზ ქალივით შემიყვარდა სონეტის ფორმა».

შემდეგი სტრიქონის ძველი ვარიანტი:

«ხავერდის რკალში ოქროთვალით მეტად კარგია».

ახალი რედაქციით:

«მოშვილდულ რკალში ოქროთვალით მეტად კარგია».

«ხავერდის რკალი» ხელოვნურია, «მოშვილდული რკალი» ბუნებრივად ჟღერს და ა. შ. ამის შესახებ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ჩვენ გამოვაქვეყნეთ ჟურნალში «ცისკარი» წერილი «შალვა კარმელის პოეტური მემკვიდრეობიდან» (2001).[65] სადაც დაწვრილებით არის აღწერილი და შედარებული პოეტის ავტორისეული ვარიანტები.

ამჟამად მზად გვაქვს შალვა კარმელის ლექსების სრული კრებული (I გამოცემა), სადაც შეძლებისდაგვარად გავითვალისწინეთ ავტორისეული შესწორებანი და ტექსტები მაქსიმალურად დავუახლოვეთ დედანს.

[65] ნ. გოგიაშვილი. «შალვა კარმელის პოეტური მემკვიდრეობიდან». ჟ. «ცისკარი» 2001წ. №4.

თავი III

შალვა კარმელის შემოქმედება

შალვა კარმელის შემოქმედების განხილვისას უპირველეს ყოვლისა მხედველობაშია მისაღები თვით პოეტის მიერ შედგენილი და მის სიცოცხლეში გამოცემული ტრიადის პირველი წიგნი «ბაბილონი» (თბილისი. 1921). მეორე და მესამე წიგნები «აპოკალიპსის ცხენები» და «თეთრი გიორგი» ადრე გარდაცვლილ პოეტს გამოუცემელი დარჩა და დაიკარგა.

ტიციან ტაბიძე გაზეთში «პოეზიის დღე» 1923 წელს მოკლედ მიმოიხილავდა მისი თანამედროვე ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებას, მათ მიერ გამოცემულ წიგნებს და აღნიშნავდა: «კარმელი უახლოეს პოეტებში ყველაზე უფრო ლექსის ოსტატია და დაფიქრებული პოეტი. მისი თემები სხვადასხვანაირია და ეს შეიძლება ხელს უშლიდეს, რომ პირდაპირ გამოჩნდეს მისი სახე. ამას მეტი დაკვირვება სჭირია და მხოლოდ პოეტს შეუძლია იგრძნოს, რამდენი შრომაა დახარჯული იმ მწყობრ ლექსებში, რომელთა დაწერა მხოლოდ ეხლა შეიქნა შესაძლებელი».[66]

როგორც ტიციან ტაბიძე აღნიშნავს, შალვა კარმელის შემოქმედების თემატიკა მრავალფეროვანია!

«გონების უჩვეულო დაძაბვაა საჭირო ისეთი ფენომენის წვდომისათვის, როგორიც უმაღლესი პოეზიაა.

რით აიხსნება ეს მოვლენა?

არ მოიპოვება სულიერი მოღვაწეობის სხვა სფერო, რომელიც ნიუანსირებულ ბგერათა იმდენ ვიბრაციას გამოსცემდეს, ან სადაც ემოციურ სახეთა იმდენი სპექტრი ლივლივებდეს, როგორც ლექსში, რამდენიც პოეზიაში საერთოდ.

ადამიანის უღრმეს, ქვეცნობიერ თუ ცნობიერ პლასტებიდან მომდინარეობენ ისინი...» წერს აკაკი გაწერილია.[67]

ადამიანის ქვეცნობიერ თუ ცნობიერ პლასტებში წვდომის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია პოეტური კრებული «ბაბილონი». მარტო წიგნის ქვეთავების

---

[66] ტ. ტაბიძე. «მიმოხილვა». გაზ. «პოეზიის დღე». №1 1923წ. მაისი

[67] ა. გაწერილია. ნარკვევი «რამდენიმე სიტყვა პოეზიაზე».გამ. «მერანი» 1978 «რჩეული ნაწერები» ტ. II. გვ. 5

ჩამოთვლაც კმარა: ბაბილონი, მთვარის ეშაფოტი, ოფორტები. ბაბილონის გოდოლის კედლებთან დაწყებული ფიქრთა თარეში, მეფისტოფელის წამოსასხამის დახმარებით ზეგარდასული ისტორიის ლაბირინთებში, კართაგენის ნაპირებიდან დაძრული სალამბოს ტრირემით, ეგვიპტის გავლით და თაისთან შეხმიანებით, ერანის სარკეში მოლანდებული და ისევ ქვევით, დაშვებული ბაბილონის ბალაგანისა თუ სემირამიდის ბაღებისაკენ _ ესაა შალვა კარმელის პოეზიის ის უსასრულო პლასტები, საიდანაც იკრებს ძალას პოეტის ლტოლვა პოეზიის მწვერვალისაკენ, როცა ქვეცნობიერად თუ ფიზიკურად ყოფნა-არყოფნის საკითხი უკვე დასმულა მის წინაშე _ 20 წლის ასაკში, შემოქმედი ადამიანების «ინკვიზიტორის» _ ჭლექის მიერ.

მხოლოდ არაბეთის უკიდეგანო სივრცეები თუ იტევს მის ვნებათა ღელვას, სადაც არაბთა შორის ტრიალებს «მზიურ ელინად» და ამაყობს იმით, «პირველად რითმა რომ გავმართე ქართულ ლექსებში!»-ო.(1920. «ავტოპორტრეტი პროფილში.»)

აცხადებს 21 წლის პოეტი ასე თამამად იმ დროს, როცა მის გვერდით იღვწიან პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე, სანდრო ცირეკიძე და კოლაუ ნადირაძე, აღარაფერს ვამბობთ გალაკტიონზე და გრიგოლ რობაქიძეზე.

პოეტური ჩვენების კიდევ ერთი სახე: ბიბლიური სალომეასი ვეფხის მოლანდებასავით და თითქოს ვეფხს დაუტორიაო, გამოსავლის ძებნაში

« ...ჩემთვის საშველი ტრფიალიდან აღარსად არის
და ძირს ვეშვები, ვით დაჭრილი გლადიატორი».

(«ჩვენებები იუდეის ასულის»)

კაცობრიობის წარსული თითქოს პოეტის გენეალოგიას ეხმიანება:

«მახსოვს უდაბნო, მათხოვრობა და სიყვარული,
რუხი აქლემი ტახტრევანით, შემდეგ ემირი.
ქაოსში რაღაც მოგონება, უცხო, ქარული,
თითქოს სიზმარი შორეული და ეფემერი».
(«ჩვენი გენეალოგია». 1919).

ვინ არის პოეტი _ მარგალიტის მანიაკი თუ სატრფოს ნატერფალების კორიანტელზე შეყვარებული?!

მგოსანი ხან უდაბნოში მოხეტიალედ, ქცეულა.

«მე ოაზებში ვუამბობ პალმებს!»

ხან კი დიდი ქალაქების მეჩეთების შემყურედ, თუ როგორ ეცემა მათ «ვარსკვლავთ წვეთები,

რომ რამაზანში ჰაშიში მოდვას

და ეზიარენ მინარეთები

შენი ზღაპრების უნაზეს ცოდვას».

(შეხერაზადეს ზღაპარი». 1920).

...

«ვით გახელება სავსე მოზვერის

რითმამ ავხორცად კვლავ მიმიზიდა...»

აცხადებს პოეტი და ზმანება ფარაონისა თუ ნიშა ხარის ცოცხლდებიან იეროგლიფებში.

« სამი ათას წლის რამზესი შავი

მინის ყუთიდან შეგცქერს ავნებით,

მიჰქრის გრიგალში ლანდების შვავი,

სხვა ქვეყნის ლანდთა სხვა ქარავნებით. _»

(«მარაო-ლოტოსი».)

პოეტის სულში «იელვებს მოგონება გზაჯვარედინად» _ ეს მექაა თუ მედინა _ ინდოეთი ძველი ვედებით, სად საკია მუნი-მეოცნებე ბუდად ქცეულა

«და ჩავიჩოქებთ ყრუ ლოცვების ამოხველებით».

(«არაბესკი» 1920).

ასეთია აღმოსავლური არაბესკი გონებისა თუ პოეტური ვირტუალური ფანტაზიების. რატომ არქმევს შალვა კარმელი თავის პირმშოს _ «ბაბილონს?» _ ეს ბუტაფორიული ორიენტალიზმია თუ მიმდინარე ისტორიული პროცესების შემსწრე ახალგაზრდა პოეტის რეაქცია? რუსეთის იმპერიის დამსხვრევა, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაბრუნება, მღელვარე საზოგადოება სხვადსხვა პოლიტიკური «საწვავით» აგიზგიზებული და ნეტარი დამოუკიდებლობის დაკარგვის რეალური საფრთხე _ აი, ჩვენი აზრით, რა იწვევს მრუში ბაბილონისა და სხვა ისტორიული სახეებისა თუ «მკვდარი ხალხების» და ქვეყნების კრთომას გონებაში:

«ჩემში წარსული მოტრიალდა. ასე მგონია,

რომ ეს ქვეყანა დასანგრევი ბაბილონია!»

(«ბაბილონი»)

პოეტურად შალვა კარმელი ასეთ გამოსავალს ხედავს: ან განერიდოს ყოველივეს მეფისტოფელის წამოსასხამის საშუალებით, «გავშორდეთ მიწას», ვეწვიოთ წარსულს «ცხელ ქალდეას, ბაბილონს თუ ნინევიას»

(«მეფისტოფელის წამოსასხამი»..)

გაცრუებული იმედი მომავლისა ზოგადად და პირადი სიცოცხლისა კონკრეტულად ეჯაჭვება შინაგანად ერთმანეთს 20 წლის ყმაწვილში.

«მივქრი დავიწყებით, გული გავაცივე.

ღმერთებს მომაგონებს ზარი ნაშაბათი.

ყველა შევიძულე, ყველა გავაძევე.

დამრჩა სანბენიტო, მთვარის ეშაფოტი».

რა დარჩენია პოეტს, რა ხერხით შეუძლია შეებრძოლოს ყოველი მხრიდან მოზღვავებულ დაუძლეველ პრობლემებს? მხოლოდ საკუთარი სულის სიძლიერით, გამოხატულს პოეტურ ხმაში!

«მაგრამ სიკვდილის წინ თავის ტრფიალებით

ისეთს დავიკივლებ ხმათა მომეტებით, _

რომ ეს დედამიწა გადატრიალებით _

ცეცხლის ბრილიანტად გასკდეს კომეტებით!...

(«კარმელის გზაზე».)

წარსულის გმირებთან და ქვეყნებთან შეხვედრა დაამშვიდებს პოეტის სულს თუ კართაგენელი მზეთუნახავის _ სალამბოს მოტაცება?

«ახალ იაზონს სამშობლოში მიმყავს მედეა».

«ძმურად დანდობია» ამქვეყნიურ სამოთხეს ახალგაზრდა პოეტი, ცოდვებისგან განბანილი «განგის ტალღებში».

(«ინფანტას მთვარეულს»)

ამქვეყნიური სიტკბოებით გატაცებაც უსინჯია მგოსანს:

«მიყვარს ღვინო სირაკუზის

და ნუბიელთ ვნება.

გადატეხა ყველა ღუზის

უგზოდ გაქანება

და ევლება ტრფობის ძაფი

ნინევიის ხანებს

და სიგიჟით მივესწრაფი

მეფის ჰარამხანებს».

(«ბრმა ინფანტას თვალები».)

ეს ეროსისეული ნიშნები გაიელვებს ხოლმე ახალგაზრდა კარმელის შემოქმედებაში, რადგან «მთის ხელა დაღად» დაჩნევია «ერთ ციდა გულს» ყოველივე. თანატოსის უხილავ ძალას ეჭვი დაუთესია პოეტის სულში, ეჭვი ყოფნისა და არსობისა, ნაღვაწის ფასეულობისა:

«ვწერ ახლა ლექსებს უსარგებლოს მე შეიძლება

და ჩემს ორეულს ვათამაშებ მეფეთა ხმაში.

მაღალი ტახტი ბაბილონის ჩვენთვის იცლება,

მაგრამ მე ჩემ თავს არასოდეს არ გავცვლი სხვაში».

(«ქალს ფენომენს».)

თვალწინ გაიელვებს ისტორიის ყოველი წამი...

«... ჟამი განკითხვის ახლოვდება და ბოლო ჩემი.

არავინ შიშობს ამ დაღუპვას რეჟისორს გარდა.

აპოკალიპსის ანგელოზნი საყვირებს სცემენ

და სასიკვდილო შრიალებით ეშვება ფარდა!»

(«ბაბილონის ბალაგანი».)

ასე ესახება პოეტს ცხოვრებისეული სპექტაკლის დასასრული. შემოქმედს, პოეტს არა აქვს შიში, რომ წაიშლება კვალი მისი პოეზიაში.

«მაგრამ ჩემს გოდოლს ვერ დაანგრევს რისხვა კიროსის

და იზვიადებს ბაბილონი უზარმაზარი!»

(«ბაბილონის გოდოლი».)

პოეტი ტროპს – ჰიპერბოლას ხმარობს და თავის შემოქმედებას ბაბილონის გოდოლს ადარებს, ხოლო ჟამთა სვლის მსახვრალ ხელს, მეტაფორულად ბაბილონის დამპყრობს – კიროს დიდს.

შემოქმედი ადამიანის შინაგანი ცეცხლი აძლევს ძალას ამ განწირულს ბედისაგან ახალგაზრდას მთელი სიგრძე-სიგანით განიცადოს ჩვენი ცხოვრების ყოველივე _ ავიცა და კარგიც.

მხოლოდ მთავარი შტრიხებით _ ოფორტების შექმნით თუ შეძლებს გამოიყენოს დარჩენილი დრო პოეტმა იმ დროს, როცა

«მიჰქრის პლანეტა ტრფობით, ვნებებით,
ცივ ნირვანაში მუცლის მგდებელი...
და მე ფოსფორის განათებებით _
ვკივი ყველაფრის დამმონებელი».

იქნებ დემონური ძალის გამოყენებამ შეძლოს ამქვეყნიური უსამართლობისა და ალოგიკურობის გამოსწორება?!

სანამ «გვამს დასაფანტად გრიგალი შებერს.
მაგრამ მანამდი, დემონის ფრთებზე...
დავატრიალებ ქვეყანას ბებერს!»
(«დუელი ქვეყანასთან»)

ემუქრება პოეტი «ბებერ ქვეყანას», რომელიც ნამდვილია თუ ფეერიული? რელობაა თუ მისტერია? იქნებ თვით ქუჩაც ქიმერაა

«მე გადავყვები თეთრ მისტერიას.
დღეს ბეთხოვენი პოეტს ასვენებს.
გამოვალ გარეთ და თვალს მტვერიანს
ვერლენის ლექსი ჩამოასველებს!»
(«ფეერიული ქუჩები»)

ეს ცხოვრება კარნავალია, ყველა თავის ნიღაბს ამოფარებულა:

«ჩნდებიან ხმლებით ჰამლეტები და კვლავ ქრებიან...
და ფიქრებია წელგაფატრულ შავ ოტელოზე!...»
(«მასკები კარნავალში». 1919)

განა ნიღაბს ამოფარება უშველის ამ ქვეყნის «სტუმრებს»? ცხოვრებისეული «გრიგალით» ჩაყრილნი სტიქსის ნაპირებთან:

«და უმადურად გადაზიდავს ყველას ხარონი!...»

(«მასკები კარნავალში». 1919)

ასე მთავრდება ამქვეყნიური «კარნავალი», ასეთია ყველას ფინალი. სულიერი და მხატვრული ინტერესებით გაერთიანებული ქართველ სიმბოლისტთა ჯგუფი _ «ცისფერყანწელები» ხშირად უძღვნიდნენ ერთმანეთს ძმური სიყვარულის ნიშნად ლექსებს. ლექსი «მასკები კარნავალში» მიძღვნილია ვალერიან გაფრინდაშვილისადმი. შეიძლება გარდუვალი დასასრულის გააზრებამ მიიზიდა თავისაკენ _ მარადიული გმირების სამყაროს _ მითოლოგიური გმირებისაკენ შალვა კარმელის პოეტური სული.? არტემიდა, ნემეზიდა, დიანა, ლიგეია, ორმუზი და არიმანი, ოზირი, რა, იზიდა, ასტარტა, მელკარტი, ისტარი, შამაში, დემონი, ჰეტერა, არიადნა, პერსევსი, მინერვა, სელენა, დიონისე, ვესტა, ვენერა, იკაროსი, პიგმალიონი, ეოლი _ აი არასრული სია იმ სახეებისა, რომლებიც ჩნდებიან და ქრებიან მის მეხსიერებაში.

რისთვის სჭირდება პოეტს მიმართოს შურისძიების ქალღმერთს _ ნემეზიდას? შერყეულია მთავარი პოსტულატების სიმყარე, როცა ირგვლივ სიცრუე მეფობს, როცა

« ...ცა დაყირავდა ჩაბნელებულ მცდარ ვარსკვლავებით. _»

...

« ...ერთი გზა დარჩა გამარჯვების, _ ატეხილ ქარში
უნდა ვეცადო, შეკივლებით არ დამჭრას ქალმა,
უნდა ვეცადო, რომ მოჰკვეთოს პერსეის ხმალმა
მედუზას თავი და მივკიდო მინერვას ფარში».

(«ნემეზიდა». 1919).

პოეტი გაუტეხელია და ცდილობს მიბაძოს პერსევს და დაძლიოს მარადიული პრობლემები ადამიანისა.

პოეტის სულში იღვიძებს ასევე მარადიული გრძნობა _ სიყვარული, რომელიც ფილტვებდახრული ახალგაზრდისათვის «მთვარის ეშაფოტია». _ მთვარე _ შეყვარებულთა მფარველი და თანამოზიარე _ პოეტისთვის ეშაფოტად ქცეულა.

«ჭლექად გესხმებათ მწამლავი ღვარი»...

(«მთვარის ეშაფოტი».)

სწორედ სიცოცხლის უპერსპექტივობა და იდეალების მსხვრევა _ გულის გატეხვა აწერინებს პოეტს შემდეგ სტრიქონებს:

«კატა პირს იბანს _ გამოვა დარი,
ეს ბარომეტრი უფრო სწორია.
ჩვენ იქნებ ვიყოთ ორივე მკვდარი
და კუბოდ გვადგეს სანატორია..
... გადასდე შუშა _ წამლით, ფხვნილებით,
გავყვეთ ფრინველებს და ტყის რქიანებს,
შორი ქალაქის ქვაფენილები
მაინც დაგვცემენ ჩვენ _ ჭლექიანებს.
(«ყვითელი მესსა». 1922)

შემდეგი კონტრაპუნქტია შექმნილი პოეტის მიერ:

შესაძლო დაღუპვის წინ ის მაინც მოუწოდებს, რომ

გადასდონ წამლები და გაჰყვნენ «ფრინველებსა და ტყის რქიანებს». თანატოსისა და ეროსის ტრადიციული დაპირისპირება.

«მე მივენდობი წუთისოფელს _ სუსტი ნიბლია,
მაგრამ ბალდახინს მაინც მიაქვს ყველა იმედი...
შიშიანობას ჩემი სული მოუხიბლია
და მომდევს ღამე გაშიშვლებით, ვით არქიმედი!...
... დავიღუპები _ ფრთაგაშლილი ზღვაზე იკაროს.
ისევ კი ბედი კორიანტელს არ ამაცილებს.
ვებრძვი ჰაერში მოთამაშე ჭლექის ბაცილებს».
(«გასვენებები».1919).

«შალვამ ამხილა თავისი სულიერი ტანჯვა, ჭლექით გამოწვეული სონეტში, რომელშიდაც მიმართავს ორ მგლოვიარე დას _ მეფის ქალებს ტრაურებში:

«კარგი, რომ ჩემში ნიღაბებით მამაკაცია,
და ვიტან გრიგალს, სასიკვდილოდ გულს რომ აყუჩებს,
თორემ ვიხრჩობი და ვერავის ვერ ვთხოვ ლაყუჩებს!

(«მეფის ქალნი ტრაურში».1918).

მთელი აგონია შალვა კარმელის, აგონია ფარული და მით უმეტეს წამებული, ჰკივის ამ «ლაყუჩებით». თითქოს ის გადმოსროლილი იყო როგორც თევზი წყლის სტიქიიდან ხმელეთზე და იხრჩობოდა. მისი აქამდის დაუფასებელი შედევრი «სანბენიტო» _ ჭლექის ამღერებაა».[68] ასეთ შეფასებას აძლევს შალვას ლექსებს ვალერიან გაფრინდაშვილი.

«თითქოს გავცივდი თოვლში ღარიბი,
დანესტიანდა ფილტვის კედარო,
შენ ჩემო ლანდო, ვის ეყვარები,_
გზადაკარგულო მუნჯო მხედარო!»
(«სანბენიტო». 1919).

«მაგრამ კარმელის უმთავრესი თემა იყო ტუბერკულიოზი. ამ თემაზე საქართველოში არავის უწერია იმ ცრემლით, სისხლით და ტკივილით, როგორც მას».[69] წერდა 1926 წელს სრულიად ახალგაზრდა გიორგი აბზიანიძე. თითქოს და პარადოქსია, რომ ისეთ რეკვიემს ტუბერკულიოზისას, როგორიც «სანბენიტოა», შალვა კარმელი წმინდა ტერეზას სიტყვებს წაუმძღვარებს კონტრაპუნქტად: «... და მე ვკვდები, რადგანაც მე არ ვკვდები!» სწორედ აქ იგრძნობა, თუ შალვა კარმელის მთელ შემოქმედებას გავითვალისწინებთ, როგორი შინაგანი ენერგიითა და პოტენციით იყო აღსავსე ეს ახალგაზრდა,

«წაიღონ ჩემგან _ ღვთის წყეულიდან,
თუ რამე დარჩათ გასაქვითელი...
თორემ ჩემ ყვითელ ცივ სხეულიდან
აღარ დარჩება ფერფლიც ყვითელი!...»
(«სანბენიტო». 1919).

სწორედ რომ კონტრაპუნქტად გვევლინება ის ნაზი ლირიულ-დრამატული ლექსები, რომლებიც შალვა კარმელის შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ თემას წარმოადგენს – ლირიკა. აი, ის საოცარი საყრდენი და საძირკველი კარმელის

[68] ვ. გაფრინდაშვილი. «შალვა კარმელი». გაზ. «რუბიკონი». №3. 1923წ.
[69] გ. აბზიანიძე. «შალვა კარმელი» (სილუეტი). ჟურ. «კრიტერიუმი» №3. 2001.

შემოქმედებისა, რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა პოეტის მრავლის მომცველ შემოქმედებაზე.

«ო, ვინ გაუძლებს ქარში ნეშოებს...
შენს მოლანდებას შიშველ ბეჭებით!..
ამ ცას, ამ ბაღებს, ამ გომბეშოებს,
რომ ატარებენ ზურგს მეჭეჭებით!...»
(«ჯეირნები პეიზაჟებში». 1919).

რა საოცარი და ფეერიული ხედვაა სატრფოსი. შიშველი ბეჭების დაპირისპირება გომბეშოს ზურგთან.

«სათუთი და მორცხვი ნიბლია _ პაოლო იაშვილის სიტყვით სმენით შეყვარებული რითმაზე, ულამაზეს ქალწულზე...» ასე ახასიათებს შალვა კარმელს გრიგოლ რობაქიძე ქართველი მწერლების შემოქმედებისადმი მიძღვნილ წერილში «დაბრუნება მიწასთან».[70]

სწორედ რომ უსათუთესი გრძნობაა საჭირო ისეთი სატრფიალო ლექსების შექმნისათვის და ასეთ ადრეულ ასაკში, რომლებიც შალვა კარმელის შემოქმედებაში ერთ-ერთ წამყვან თემას წარმოადგენს.

«ეს როდის იყო, ნეტავი როდის,
ათი წლის ბავშვი მე თუ ვიყავი.
მას აქეთ ჩემთან ქალწული მოდის:
ჩემი დამხრჩობი და გამრიყავი!»
(«ეს როდის იყო» 1918).

სიყვარულის გამოუთქმელ გრძნობებში ჩაკეტილა პოეტი, განუკურნებელი სენის გამო, იგი «გარიყულია» ბედის მიერ თითქოს ქალთა საზოგადოებიდან, მხოლოდ შორიდან შეუძლია შესტრფოდეს მორიდებით, უკომპრომისობას ამოფარებული: «ჩვენ დავივიწყეთ, ერთმანეთი სიამაყიდან»-ო _ აცხადებს პოეტი და არც მალავს თავის ზრახვებს:

«შურისძიებას შებრუნებულს მივმართე სასტიკს:
სიამპარტავნით შენ პირველად ჩემთან მოგიყვან.
შენს ნორჩ ხერხემალს ჩემი ლექსით მოვღუნავ დრასტიკს,

გადაგავიწყებ ყოველივეს, რაც სხვამ მოგიყვა».

(«შურისძიება უკვდავებით». 1920).

სიყვარულის გრძნობა საფლავშიც კი არ ასვენებს პოეტს ამოდის სამარიდან,

«რადგან უშენოდ მე სიკვდილიც არ შემიძლია».

და საოცარი მუქარა სიყვარულისადმი:

«ო, გეშინოდეს! უკვდავებას მე გემუქრები!»

21 წლის ჭაბუკი სიყვარულს შეიძლება მხოლოდ გრძნობის უკვდავებით დაემუქროს.

«ვერ დავემალე შენს თვალებს ღიას.

დავახლი ტყვიას მაცდურ ჩვენებას.

ველთა მშვენებას მივყვები ტყიანს _

დაველებ გვიანს მე განსვენებას!»

(«მთვრალი თვალები». 1917.)

მიუხედავად სიყვარულის ძალის შინაგანად განცდის სიძლიერისა, პოეტი ცდილობს განერიდოს ამ გრძნობას და ეძებს სულის «განსვენებას». ამის მიზეზი კი გახლავთ:

«თოვლიან ბედის ქრიან ქარები,

იანვარები ჩემ სულში შედის!»

(«მთვრალი თვალები»)

პროვიდენციალური ხედვაა?! შალვა კარმელიც ხომ იანვარში გარდაიცვალა...?! და კიდევ ამ განრიდების ახსნის მცდელობა:

«მე ავადა ვარ, მაპატიეთ, საშინელ სენით, _

რომლის რკალია

სიყვარული და მწუხარება!...

(«სექტემბრის ავდრებში».)

მიუხედავად ასეთი ტრაგიზმისა, პოეტის სული არასდროს არ დაცემულა გრძნობათა ბედისწერის წინაშე და ამაყად აცხადებს:

«მე ბავშვს _ ნებიერს, ქალის ფეხებთან

---

[70] გრ. რობაქიძე. «დაბრუნება მიწასთან». (როგორც კერძო ბარათი.) ნაწ. I გაზ. «რუბიკონი». №1. 1923. ნაწ. II,

პოეზიაში არ მიტირია».

(«საკუთარი ოფორტი».)

მრავალნაირი მხატვრული ხერხის გამოყენებით პოეტი ყოველთვის ქმნის მეტად საინტერესო და მიმზიდველ ფონს სიყვარულისთვის და ეს ათასფერიანი სპექტრი აძლიერებს და სიღრმეს აძლევს უხმო მუსიკასავით და ამ მელოდიის აღქმა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია და თუ ფრანგი სიმბოლისტები პარნასელობიდან მოვიდნენ, შალვა კარმელის შემთხვევაში ვფიქრობთ პირიქით ხდება _ სიმბოლისტთა ორდენიდან _ პარნასის მიუვალი მწვერვალისაკენ ილტვის იგი, თუ კი ამას აცდის მისი ბედის დამოკლეს მახვილი.

ეგზოტიური თემების დამუშავებაში ვალერიან გაფრინდაშვილი შალვა კარმელს «ნამდვილ პარნასელს» უწოდებს.

«პოეტი მეფე, პოეტი ბავშვი,

გამიყოლიე დაბინდულ გზაზე...

... ხეებს ჩაექრო მთვარე ბურთული,

მე კვლავ მესმოდა სონატა მთვარის...

... იყო შრიალი, ფოთოლთა თქეში,

გრიგალმა ხმებიც გაიტენორა...»

და აქ, ამ პოეტურ ზმანებაში ჩნდება მის გვერდით ედგარ პოეს (როგორც მას «ცისფერყანწელები» უწოდებდნენ) შთაგონების ობიექტი – ლენორა!

«... ვიყავით სტუმრად ერთი დღე ტყეში _

მე და ლენორა, მე და ლენორა!...

(«ერთი დღე ტყეში». 1918).

ეს ოთხნაწილიანი ლექსი ხომ პოეტის გედის სიმღერასავითაა, რეკვიემთან შეზავებული:

«ზღაპრული თვალი ვიცი ჯადოა

და ჩავიძირე მეც შენს ჯადოში...

... და ტყის კარვები ჩვენთვის მწვანდება

ნაზი, სპეტაკი, თავშენაბელი...»

№4 1923

აქ პოეტი სიტყვათწარმოებას მიმართავს _ არც გადაბელილი და არც გასხლული _ თავშენაბელი _ ასეთი ხერხი არცთუ იშვიათია შალვა კარმელის ლექსებში (ამ თემას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით).

«... ყვითელ ნეშოზე

პოეტის კუბოს ვხედავ ზმანებით...»

ამ ერთი დღის ბედნიერებას თან სდევს მუდამ (ისევ კონტრაპუნქტის მეთოდით) გარდუვალი დასასრულის «ზმანება» _ თანატოსის მოუცილებელი ლანდი!

«მშვიდობით! გტოვებ! მივდივარ მთაში!»

ეს გზა ხომ პარნასისაკენ მიდის:

«მინდოდა ცრემლი, ზეცა... დიდება...

და მე წვალებით ავედი მაღლა...»

ო, რა ძნელია გზა შემოქმედისა მწვერვალისაკენ, რამდენ მსხვერპლს მოითხოვს ადამის ძისგან:

«... დღეს დიდებისას ვიგრძენი დაღლა!..

სად ხარ, ლენორა! მარტო ვბერდები!

გეძახი ახლა... გეძახი გვიან!..

მე შენს ჩვენებას კვლავ ვაჩერდები

და საოცრებას თვალები ღვრიან!...»

(«ერთი დღე ტყეში». 1918).

წერს 19 წლის შალვა კარმელი და უნებურად გაიხსენებ პაოლო იაშვილის სიტყვებს შალვას მამისადმი გაგზავნილი წერილიდან: «... გჯეროდეთ, რომ მის სახელს ღირსეულად გავაცნობთ ქართველ ერს, რომელმაც შალვასთან ერთად დაკარგა მეტად ნიჭიერი პოეტი და კეთილშობილი ახალგაზრდა ქართველი პატრიოტი».[71]

ყოველდღიური ცხოვრების ამაოებისაგან განრიდების მიზნით პოეტი შემომქმედთა «ნაცად» ხერხსაც მიმართავს და ტრადიციული ყარაჩოღული სტილის ლექსში (ბესიკური) გვაგრძნობინებს ამ განზრახვას (სასწორის მარადიული გადახრა თანატოსსა და ეროსს შორის):

«დამისხი ღვინო, გევედრები, დამისხი ღვინო.

[71] პ. იაშვილი. წერილი პავლე გოგიაშვილს. ოჯახური არქივი

ეგების სევდა, გულის მწველი, დამაკარგვინო.

... აღარ მსურს, არა, დღის სიცხადით მარად ვიწვოდე,

დაე, რაც გსურდეს, სიცოცხლეო, შენ ის მიწოდე,

მე უნდა მოვსპო ეგ სიცხადე სულის აღმშფოთი,

დამისხი ღვინო, გევედრები, ლოთი ვარ, ლოთი!»

(«დამისხი ღვინო».)

ბევრი ცნობილი და ნიჭიერი შემომქმედი დასდგომია ამ გზას მსოფლიო კულტურის ისტორიაში, მაგრამ შალვა კარმელი პირად ცხოვრებაში ასე არასდროს დაცემულა, არც ქართული სამიჯნურო ლირიკის ტრადიციებს ივიწყებს შალვა კარმელი და უმღერის «მას»:

«ჰე, მიჯნურო, რა ღამეა, რა ღამე...

მოდი, გიცდი სიყვარულის მონა მე...

.....

ერთი ნება მისთვის გავიოცებო,

მზისა დარო _ ვარდი შენ და ია მე!...

(«ვარდი შენ და ია მე»).

პოეტობა _ ეს ხომ ზეციური საჩუქარია, ღვთისაგან ბოძებული.

«სევდიან მხედარს, გამგზავრებულს ოცნების გზაზე...

გადამეღობა წინ ანაზდად უცხო ასული...»

და საჩუქრად უტოვებს პოეტს ქნარს.

«თუ გსურს გასცილდე მომაკვდავთა ბედისა წერას

თუ გსურს უყვარდე სამარადოდ ზეციურ ცირას!»

...დაფნარს გადეშვა სხივთა ეტლით ბედის ასული,

მე კი ვიდექი ციურ ქნარით, თვალშუქმფინარი,

ხილულ სიცხადის სასწაულით ფიქრში წასული».

სწორედ რომ «ციური ქნარითაა» დასაჩუქრებული ყოველი ხელოვანი.

«ტკრციალით მოხვდა რაშს მათრახი, იმ ნეტარ გრძნობას

და მოვსხლტი მიწას, ვით გიჟმაჟი ცის მეტეორი,

მივაქროლებდი შორს, შორს სადღაც მე ჩემს ოცნებას,

ბანი მესმოდა, ხეივანთა განამეორი».

(«დაკარგული ქნარი».)

პოეტის მიერ საკუთარი თავის დანიშნულების შემეცნებაზეა ეს ლექსი და რას უნდა «უმღეროს» პოეტმა ამ «ციურ ქნარზე»?

«... გულის სიღრმეში სამიჯნურო ქსელი ნაბლანდი?!

... ვადიდოთ ღმერთი, ისე როგორც ციურ ტურფას სურს...

...მზეს ვლოცულობდი, მზეს ვეტრფოდი ძე ადამისა...

სილამაზით ვქმნი, სილამაზეს ოქროთ უფასურს...»

აი ის ძირითადი პოსტულატები, რასაც უნდა «შეეწიროს» პოეტის სიცოცხლე. მაგრამ ხდება ისეც, რომ ან მუზა დაიკარგება, ან ბედი გიმუხთლებს და სიცოცხლეს ადრე ასრულებ!

«... მაგრამ მეც მერგო შესასმელად თასი შხამისა

და ერთხელ სადღაც ხეტიალში დავკარგე ქნარი.

... გამიქრა ლტოლვა საიდუმლო ზე-აღმაფრენი,

დანაცრდა ჩემი ყმაწვილური სულის ძიება!»

(«დაკარგული ქნარი». 1923).

შალვა კარმელი ამ ლექსს წერს 1923 წელს და «კარგავს თავის ქნარს» (ავადმყოფობის გამო). სრულდება მისი სოცოცხლე 24 წლის ასაკში. ამიტომაც არის ასე მრავლად ალბათ მის ლირიულ ლექსებშიც კი სევდა და ტრაგიზმი.

«... მაგრამ ამაოდ მოვუხმობდი ზეციურ ცირას,

მაგრამ ამაოდ ვეძიებდი დაკარგულსა ქნარს!»

მიუხედავად ამა სოფლის «ამაოებისა», მაინც ვერაფერი ჩრდილავს და თრგუნავს შალვა კარმელის შემოქმედებაში უნაზეს ლირიზმს და დახვეწილ მეტაფორებს:

«ქარვის ფოთლები ცვივა თავნებით

ქარში ანატირ ხის კენწეროებს.»

(«ქარვის ტირილი». 1918).

დაშაბულ ცაში წეროების ქარავანი «გაბაწრულა».

ასეთ სურათს აგვიწერს პოეტი, რომლის დახატვასაც ნებისმიერი ფერმწერი ინატრებდა და ამ სტროფის მელოდია, შიდა რითმების დახმარებით, ქმნის განუმეორებელ მუსიკალურ სურათს:

«ვარსკვლავნი ცვივა ზეცის კანკელებს,
ვით ნაპერწკლები სხივთა ხვავების
და ეს დაცვენა მე მაკანკალებს
ფოთლების, ცრემლის და ვარსკვლავების!...
(«ქარვის ტირილი». 1918).

ზეცის კანკელების ნაპერწკლებს უწოდებს პოეტი ვარსკვლავებს და შემდეგ აღქმული მის მიერ ეს ვიტრაჟული მოზაიკა «ფოთლების, ცრემლის და ვარსკვლავების» დაცვენა მკითხველში ალბათ ჟრუანტელსა და სულის «კანკალს» იწვევს. ისევ შედარება ვარსკვლავებისა ციცინათელებთან:

«ქარიშხალმა მდელოში
ყვავილები გათელა.
ზეცის საკანდელოში
არ კრთის ციცინათელა!
(«ყვითელ თოვაში». 1916).

პოეზიის დამათრობელ სურნელს ქმნის შალვა კარმელი:

«ეს თრობის მტვერი ხეებზე ხეებს,
ამ აკაციას, ტყემლიდან ატამს _
სურნელ ტალღებად ქარებში ატანს
და ვსუნთქავ ველურ პარფიუმერიას.
ნუ გაიხსენებ დაცემულ დღეებს
და ნურც გაწმინდავ წარსულს მტვერიანს,
იყავი ბავშვი...»
(«უკანასკნელი ლექსებიდან». 1922).

აღნიშვნის ღირსია ლექსი «საფირონის ტრიოლეტები». როგორც «ცისფერყანწელს», შალვა კარმელს სათაურიც შეურჩევია შესა»ფერისი» _ საფირონი ლურჯიც არის და ცისფერიც. ლექსის სახეც გამორჩეულია _ ტრიოლეტი.

«ცისფერყანწელები» ხშირად მიმართავენ ლექსის სხვადსხვა ფორმას: ტრიოლეტს, სონეტს და სხვა. ამას ჩვენ შემდგომში ცალკე განვიხილავთ, ისევე როგორც ლექსის მეტრიკას. ეხლა კი გვინდა დავუბრუნდეთ თვით ლექსის სტრუქტურას. იგი სამი ნაწილისაგან შედგება: 1. ქარსიცხე ქუთაისში, 2. სურნელი თოვა და 3 ვით ეს სტრიქონი. ლექსის პირველი ნაწილი ტრიოლეტის ფორმით გვიხატავს «ქარში ნახრჩობ ქუთაისის ნაფორიაქ» სურათს, სადაც «... ფრთამარდ ეოლის ჭიხვინებენ გიჟი მერნები».

«ხაშმით მობანგული» საროსკიპოები და ტავერნები იწვევს პოეტის შეშფოთებას, რაც «ახრჩობს» ქუთაისს და პროვინციული დროსტარებისა და «პატრიოტიზმის» ერთ-ერთ ცენტრად ქცეულა იმდროინდელ საქართველოში. (ლექსი 1919 წელსაა დაწერილი) და ამ შეგნებით «მობანგულია» ყველაფერი და თვითონ ტრიოლეტის ფორმა _ სტრიქონების გამეორება – თითქოს ქმნის ამ სიტუაციის უცვლადობისა და უპერსპექტივობის რიტმულად და მყარად განმეორებად ექოს.

მაგრამ შალვა კარმელი ის პოეტი არ გახლავთ, რომელიც ასე ადვილად ემორჩილება მისთვის მიუღებელ სიტუაციას და თითქოს მკითხველის გამოსაფხიზლებლად ლექსის მეორე ნაწილში «სურნელი თოვა» ამ დახაშმებული ტავერნების კონტრაპუნქტად ბუნების მიერ შექმნილ თვალისმომჭრელ და დამათრობელ სურათს გვიხატავს:

«თეთრ ყვავილებით ფანჯარასთან ფშვინვენ ტყემლები
და ნაზი თოვლი იფანტება ქროლვის მორჩილი».

გაზაფხულზე პირველად ტყემლის ხეები თეთრად აფეთქდებიან ხოლმე და მათ ასეთ წინსწრებას თეთრი ცხვრის ტალღის წინ მიმავალ ერკემლებს აგონებს პოეტს.

«სხვა ხეთა გუნდებს წინ უსწრებენ, ვით ერკემლები,
თეთრ ყვავილებით ფანჯარასთან ფშვინვენ ტყემლები».

ღია ფანჯრიდან მოტანილი სურნელი მათი ხეების «ფშვინვად» აღუქვამს პოეტს:

«სურნელ თოვაში დაიფარეს მჭლე ხერხემლები
მათი ლაშქარი აპრილს შეხვდა მკერდანორჩილი...»

«ერთ მის ლექსში არის ასეთი რითმა: მორჩილი-ანორჩილი (აქ. ვ.გ. გულისხმობს სიტყვას «მკერდანორჩილი» ნ.გ.). სიტყვა ნორჩი იმან მოაბრუნა, როგორც დიდმა

ოსტატმა და შესძინა ქართულ პოეზიას ახალი რითმა და ახალი სიტყვა.»[72] ასეთ შეფასებას აძლევს «ცისფერყანწელთა» თეორეტიკოსი და თანამოკალმე ვალერიან გაფრინდაშვილი შალვა კარმელს.

ტყემლის ხეების უფოთლო სხეული უხორცო ანუ «მჭლე ხერხემლად» ესახება პოეტს, რომლებიც თანდათან იფარებიან თეთრად.

ცხოვრებისეულ პრობლემებს, სევდასა და ვარამს ფილოსოფიურად უნდა მიუდგე. შენი სიძნელეებიც როგორც მოვა ისე წავა და ლექსის მესამე ნაწილში _ «ვით ეს სტრიქონი» - პოეტი ბრძენკაცის რჩევას ქართული მუხამბაზ-აშუღურის მსგავსი ხმოვანების ფორმით გვაძლევს:

«ვით ეს სტრიქონი, _ ჩემი სევდაც წავა და მოვა.
ისევ საზანდარს ატირებენ მგოსნის თითები.
გაჩნდება ლექსთა მარულაში რითმების თოვა.
ვით ეს სტრიქონი, _ ჩემი სევდაც წავა და მოვა.»

წავა, გაქრება ახალგაზრდობა, «ტკბილ დღეთა გროვა». «გადირეკება მეხსიერებაში, როგორც ბილიარდის ბურთები ლუზაში.

ამ შემთხვევაში კი ტრიოლეტის ფორმა (სტრიქონების გამეორება) წუთისოფლის განმეორადობის ლეიტმოტივს თითქოს უფრო აძლიერებს და ყველა სიძნელე «როგორც მოვა _ ისე წავა»-ს მარტივი (და არა პრიმიტიული) ფორმულითაა ახსნილი.

3. 1. შალვა კარმელის სონეტები.

«ჭეშმარიტი სონეტი გრძელ პოემად ღირს»

ბუალო

«ლამაზ ქალივით შემიყვარდა სონეტის ფორმა»-ო _ აცხადებს პოეტი ლექსში «სიყვარული სონეტს» და თითქოს უნდა გვაზიაროს თავის საიდუმლოს:

«მეფურ ჯირითის ქამანდები ჩვენ ვიცით ორმა
და მონადირეს ტყეში თავი არ დამკარგვია».

---

[72] ვ. გაფრინდაშვილი. «შალვა კარმელი». გაზ. რუბიკონი» №3. 1923წ.

«შერჩეულ სხეულს ეს ჯავშანი მწყობრად არგია
ქარვის მეფის ქალს მაძმობილა ცრემლების თქორმა,
მწველ სიმღერებში, რაც პოეტურ სულის თარგია,_
ყველას საცქერად აიტაცა ლაჟვარდში ქორმა».

გურამ ბენაშვილის სიტყვებით: «აქ, ალბათ, არაფერია უტრირებული... პირიქით, საოცრად ოსტატურადაა წარმოსახული პოეტი-რაინდი, თუნდაც პოეტი-მეფე, ტანს მწყობრი ჯავშანი რომ მორგებია და ცრემლების თქორი ქარვის მეფის ასულთან რომ აძმობილებს... მშვენიერია პოეტური სულის თარგად ქცეული მწველი სიმღერები... ყველას თვაწინ, ლაჟვარდში ქორის მიერ ატაცებული მისი სიტყვა _ თავად მტაცებელიც და მონადირეც, მეფეც და მონაც, თავად ციური ძალებით გაჟღენთილი, ყველაფრის დამტევი და გამცემი, მაძებარი და დამკარგავი... მაღალი პოეტური სიტყვის ამგვარი ამბივალენტიზმი, საოცარი ძალით წარმოაჩენს საერთოდ მხატვრული სიტყვის განუმეორებელ საკრალურ ძალასა და ენერგიას...

... ათას ცხრაას ოცი წელი... ამ ქვეყნად უკვე არსებობს ჯერ კიდევ სრულიად ნორჩი მარადიული ღირებულება «არტისტული ყვავილების» სახით... და თითქოს მის ღვთაებრივ მონოლოგებს ეხმიანება შალვა კარმელიც, გალაკტიონის უმცროსი თანამედროვე»,[73]

სონეტი თითქოს ხელს უწყობდა «ცისფერყანწელებს» უკეთ გამოეხატათ თავიანთი სათქმელი და ძალიან ხშირად მიმართავდნენ ამ ფორმას. შალვა კარმელმაც საკმაო რაოდენობით (თავისი მოკლე სიცოცხლის მანძილზე) სონეტი შექმნა. სონეტი მისი ერთ-ერთი უსაყვარლესი ფორმაა, იმიტომ

«... რომ გავადევნო პოეზიას ყველა მიზნები
მე მას კარმელი, ვით მონასტერს, _ შევეხიზნები».
(«ავტოპორტრეტი პროფილში» 1920).

ორი დის მოულოდნელმა დაკარგვამ, განუკურნებელი სენის გამო განწირულობის დაუძლეველმა ფინალმა, ათიანი-ოციანი წლების ისტორიულმა კატაკლიზმებმა განაპირობეს ეს ლტოლვა განმარტოებისკენ შალვა კარმელის შემოქმედებაში.

«სიმბოლიზმის ქარაგმული გაურკვევლობა თქმაში თანამედროვე ქაოტური განცდის ასახვაა»[74] წერდა კონსტანტინე კაპანელი 1926 წელს. თითქოს იუდეის ასულის სახით განხორციელებული და ამა ქვეყნად მოვლენილი სიავე ყოვლისა:

«საჩუქარს ელის ტეტრარქიდან თეთრ სიშმაგეში.
ავი მხევალი დღეს მსხვერპლია გრძნობის დიადის.
იოქანაანს მძაფრად უკბენს წითელ ბაგეში!»
(«ჩვენება იუდეის ასულის»)

სწორედ რომ «თანამედროვე ქაოტური განცდის ასახვას» პასუხობს შალვა კარმელი სონეტში «მარიონეტკები», რომ ეს ქაოტური განცდა მის «სულს ეცნაურა»:

«თოთხმეტ სტრიქონში ვაპატმრებ ხშირად შაირებს,
სიტყვების დადგმა ლაბირინთად სულს ეცნაურა.
ლამაზ ფრინველებს მოვაქანებ ყველანაირებს,
პეტრარკას ხელით გადაიცვამს სამოსს ლაურა «.
(«მარიონეტკები».)

ეს ქაოტური განცდაა მიზეზი იმ ვირტუალური სიყვარულის ერთადერთი და შეუცვლელი ქალბატონების კარნავალისა:

«და ნაზი ლედი ლიგეია წმინდა ხმაურად,
მე მაწკრიალებს, ვით წინწილი ნაცხელ დაირებს.
თოვლისფერ ლანდით ბეატრიჩე მეშინაურა
ოქროსფერ თევზებს ოფელია წყალში დაირევს.
უფრო მწველია სილამაზე მზიურ ქალების:
ნესტანის წვანი, ნორჩ ლეილას გულის მხატვრობა,
მედეას ცეცხლი და ნილოსის კლეოპატრობა.»
(«მარიონეტკები».)

---

[73] გ. ბენაშვილი. «ცისფერყანწელის» ამაყი და კეთილშობილი სილუეტი». შესავალი შ. კარმელის წიგნისათვის «ბაბილონი». თბილისი. 2000. გვ. 7-8. შპს გამომც. «დედა ენა».
[74] კონსტანტინე კაპანელი. «ქართული სული ესთეტიურ სახეებში» ტფილისი. 1926. გვ. 15.

პოეტის სულში განცდათა და გრძნობათა გრიგალები აშლილა და ამ ამბივალენტური «მირაჟების» მოცილებას ცდილობს იგი, უტოვებს ინფანტას ყველაფერს თვალწინ, რადგან ინფანტასათვის ეს სულერთია:

«მაფრენს თაისთან მოსასხამი ჩემ გრიგალების.
სხვა სურნელებით მოშრიალებს სალამბოს კაბა.
ყველა მირაჟებს ბრმა თვალებზე ინფანტას ვაბამ.»
(«მარიონეტკები». 1920).

ინფანტასთვის ვნების მიუყენებლად დატოვებული, ყველა მირაჟისაგან თავისუფალი პოეტის წინ ჩნდება «კენარი ასულის ტანი...»

«ვით საქანდაკო და კენარი ასულის ტანი,
ოქრონემსული მალიგორად, თხელ სკალატებში...»
(«სონეტი გულისტანს».)

«ძველი ქვეყნების მზის მხურვალება» ჩაქცეულა პოეტის სულში და სურს, რომ

«ძვირფასი ქვებით მინდა თქვენი გაბრწყინვალება,
ო, მეფეებო, ო, ქვეყნებო: ტიროს, მიდია.
აპოკალიპსის მეძავები ტანს ღმერთს ჰყიდიან,
მათი ავხორცულ შრიალების მესმის წვალება».
(«ბაბილონი»).

შალვა კარმელის პირად ტრაგედიას დაემატა ოჯახურიც: ორი და გარდაეცვალა ერთმანეთის მიყოლებით _ პირველი _ უბედური შემთხვევის და მეორე _ სახადის გამო. მათ ხსოვნას მიუძღვნა შალვამ სონეტი «გამოტირილი ჩემზე».

«... მივყვები კუბოს, ვით საკმევლის მშვიდი სურნელი...
... სპეკალ ქვებივით ედევნება ცრემლი ცრემლს მწუთხე!...
... საბრალო დებო! რად წახვედით უხილავ კუთხეს?!»
(«გამოტირილი ჩემზე». 1920).

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ თავს დამტყდარი ამდენი უბედურების გამო შალვა კარმელი თითქოს განუდგა რეალურ ცხოვრებას და წამიერ შვებას თავის შემოქმედებაში პოულობდა. თემების მრავალფეროვნება და მითოლოგიური გმირების წარმოჩენაც

შემთხვევითი არაა. პოეტი ქვეცნობიერად უკავშირდება ზედროულ, ზმანებისმიერ, მიღმურ სამყაროს, ეძებს საყრდენს არქეტიპებში.

«ვიცი შენც წახვალ! გზა გეშლება ვარდის ტევრებად.
დაგედევნება არტემიდას ერთგულ მწევრებად:
ჩემი სონეტი, ჩემი რონდო და მადრიგალი».
(«არტემიდა». 1919).

თამარ ბარბაქაძე თავის დისერტაციაში: «სონეტი ქართულ მწერლობაში» აღნიშნავს: «ამ სონეტში გაბრწყინებულია მართლაც ეგზოტიკური რითმა: ქრიზანტემიდან-არტემიდა».[75]

«ჩვენი საღამო სურნელია ქრიზანტემიდან,
ვხედავ, მთვარიდან გადმოეშვა ცის არტემიდა...»
(«არტემიდა».)

«ო, ახლა სულო, ობობას ქსელს რისთვის გავებით?!» _ კითხულობს პოეტი სონეტში «ნემეზიდა» და პასუხობს თითქოს:

«იქნება შებმა _ თუ სიბრაზე გულს არ მიადნა,
ლაბირინთიდან არ დამიხსნის დღეს არიადნა...
უნდა ვეცადო, რომ მოჰკვეთოს პერსეის ხმალმა
მედუზას თავი და მივკიდო მინერვას ფარში».
(«ნემეზიდა». 1919).

ყოველგვარი ამქვეყნიური ბოროტების სიმბოლოს _ მედუზას დამარცხება განუზრახავს პოეტს, რომელსაც არც პირადი და არც ზოგადადამიანური პრობლემები დაჰკლებია ცხოვრებაში.

«კარგი, რომ ჩემში ნიღაბებით მამაკაცია,
და ვიტან გრიგალს, სასიკვდილოდ გულს რომ აყუჩებს,
თორემ ვიხრჩობი და ვერავის ვერ ვთხოვ ლაყუჩებს!»
(«მეფის ქალნი ტრაურში». 1918).

[75] თ. ბარბაქაძე. სადისერტაციო ნაშრომი «სონეტი ქართულ მწერლობაში». შ. რუსთ. სახ. ქართული ლიტ-ის ინსტ-ი. თბილისი. 1998.

ეს სისხლით დაწერილი სტრიქონები ოდნავ თუ გვაახლოვებს ეშაფოტის გზაზე შემდგარ 19 წლის ჭაბუკის სულიერ ტანჯვასთან.

შალვა კარმელის სონეტი «გამოთხოვება სულთან ავადმყოფ სხეულის» _ პოეტის რეკვიემია, რომელიც პატიებას ითხოვს სულისგან:

«სულო მისმინე: არ გაუშვა ფიქრთა სადავე.

ვიცი, შენ გქვია ჩემ სხეულის ხანმოკლე მდგმური...

...შენთან დუელში მე ოცნება დიდხანს ვადავე.

შენ გაიმარჯვე...

... ვწუხვარ, ტოლობა შენთან ადრე რომ გავათავე!»

სასიკვდილოდ განწირულ პოეტს მხოლოდ ერთადერთი რამ ადარდებს, რომ სათანადო «ტოლობა» ვერ გაუწია მის «ყვითელ ქარვიან» სხეულში ჩასახლებულ სულს:

«ვვლავ ბოდიშს ვიხდი უსათუოდ ჩემი ცხოვრებით.

ვერ განებივრე ლაჟვარდებით და საძოვრებით, _

რომელმაც ჩემში პოეზია უხვად დატიე...

... მე სისხლნაკლული,

მთვარის ეშაფოტს დავიწვები, როგორც დაკლული.

ახ! სულო ჩემო, დამიტირე და მაპატიე!...»

(«გამოთხოვება სულთან ავადმყოფ სხეულის». 1919).

შალვა კარმელი ასე ადვილად არ დანებდებოდა ბედს, გულზე ხელს არ დაიკრეფდა და დასასრულს არ დაელოდებოდა. მისი გაუტეხელი სულის მუდმივი ენერგიის წყარო ხომ სილამაზე და სიყვარული იყო:

«ო, რომ იცოდე, ქალბატონო, ეგ სილამაზე,

რარიგ, მაღელვებს დათალხული, ჟინამღვრეული...

... მესმის, გვეძახის პაემანზე სქელი წყვდიადი...

ო, რა ჯანსაღად მოთენთილი, ვნებით ნალეში _

დავიძინებდით საუკუნოდ სიმხურვალეში!»

(«სონეტი მუნასიბად სანთიობოსთან». 1919).

ისევ თანატოსსა და ეროსის უკვდავი დაპირისპირება. პოეტის შემოქმედების იმპულსი ხომ მისი სათაყვანო მირაჟული ქალბატონების: ლეილას, ლენორას, ლიგეიას, სალამბოს,

სემირამიდის, კლეოპატრას, გალატეას და მრავალი სხვა ფეერიული სახეების სპექტრული მოზაიკისაგან შედგება.

«მანთებდა ღაზო სიყვარულის სხივთა თარეშით.
არ ვიცი, სული სონეტებში სანამ სტიროდა, _
ლამაზ ბანოვანს კი ჰკოცნიდა ღამე კაფეში».
(«ხავერდის ქალი». 1919).

შალვა კარმელი ისტორიული პირების ჩარჩოებში ვეღარ ეტევა და თავის პოეტურ გალერეაში ლიტერატურულ გმირებსაც უთმობს ადგილს.

ერთ-ერთი ასეთი გმირია შარლ (კარლ) ჰიუსმანსის რომანის «A Rebours» («დინების აღმა») გმირი დეზ` ესსენტი.

«ყნოსვის ზმანებით სხვა ტკივილებს ხელი მიადეთ.
ბოდლერი, პოე და მალარმე ჰეროდიადით _
მოდიან როგორც მხვდელმსახურნი სიკვდილის ქარის.
ჰერცოგ დე სადი ბრაზიანობს ფავნთან ნიმფებით.
ყუჩდება სისხლი მოწამლული თეთრი ლიმფებით
და ტირილებით უბრუნდები ეშაფოტს – პარიზს?»
(«დეზ` ესსენტს».)

თითქოს განაჩენი გამოაქვსო საკუთარი თავისთვის, შალვა კარმელი ლექსში «მკვლელობა სონეტში» (ლორდ ჰენრის პარადოქსივით, ეს ლექსი სონეტი არ გახლავთ), გვაფრთხილებს:

«იქნებ მკვლელობა ამ ხანებში მოხდეს ფარული,
არვის დაედოს ჩემს სიკვდილში მძიმე ბრალდება,...
... ვნახე მიონა გათენებას, ხეთა ფარცხებით
სფინქსს ამგვანებდა გადაყრილი ნამქერის ხვავი.
და გადავწყვიტე, სანუგეშოდ ამ დამარცხებით,
ერთ-ერთ სონეტში დაუნდობლად მოვიკლა თავი.
(«მკვლელობა სონეტში». 1921).

ისეთი პოეტი და ადამიანი, როგორიც შალვა კარმელი იყო, მხოლოდ ლექსში თუ შეძლებდა თავის მოკვლას. მიუხედავად ყველაფრისა, იგი საშური ოპტიმიზმითა

და სამშობლოს უკეთესი მომავლის რწმენით იყო სავსე _ «კეთილშობილი ახალგაზრდა ქართველი პატრიოტი» _ პაოლოს სიტყვებით რომ ვთქვათ და შალვას სონეტები გრძელდება მის პატრიოტულ ლექსებში: «სონეტი ნინოს», «თამარ», «სონეტი გიორგი სააკაძეს» და სხვა ლექსები (არა სონეტის ფორმის). უნდა აღვნიშნოთ რომ შალვა კარმელი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა «ცისფერყანწელებში», განსაკუთრებით პაოლო იაშვილს უყვარდა იგი და მამობრივ მზრუნველობას იჩენდა მის მიმართ. სწორედ პაოლოს მიუტანა თავისი ლექსების რევული შალვამ 1915 წელს, ხოლო ტიციანი კი მისი რედაქტორი იყო, რომელმაც გამოაქვეყნა 1916 წელს გაზეთ «საქართველოში» შალვა კარმელის ლექსები პირველად და რომელიც «გაკვირვებული იყო მათი სინაზით და ფორმის სისრულით».

3. 2. «მამულო, ძვირფასო, რაინდთა მამულო!»

პატრიოტიზმი ორგანული ნაწილი გახლდათ შალვა კარმელის სულიერი საგანძურის. ხოლო ეს გრძნობა გამომდინარეობდა მისი ეროვნულობის განცდისა და ხასიათიდან. «ძირეული თვისებანი ქართული ხასიათისა და ტემპერამენტის ფსიქოლოგიური გამონაჟურია წარსულისა, მისი სოციალური კონვულსიებისა და ტკივილებისა, რომელთაც განიცდიდნენ ჩვენი წინაპრები, რომელთა ბიოსოციალური ენგრამები ინახებოდნენ საუკუნეთა განმავლობაში ქართული სხეულის სასიცოცხლო ფენებში, როგორც ყოფის რეფლექსები და რომლიდან პირდაპირ მომდინარეობს ქართული, ეროვნული ქცევა თავის დაცრეცილი ფსიქოლოგიით, ღულარჭნილი ტემპერამენტით, ღრეკილი ნებისყოფით, ყარაჩოღული უზრუნველობით». ასე აღიქვამს კონსტანტინე კაპანელი ქართულ ხასიათს თავის წიგნში « ქართული სული ესთეტიურ სახეებში».[76]

პატრიოტული ლექსების თემატიკა ნაკარნახევი იყო იმ დროს მიმდინარე პოლიტიკური ძვრებით და შალვა კარმელიც დიდი სიხარულით ეხმიანება მათ «ქართლოსიანთა კარგ მომავლისათვის».

[76] კონსტანტინე კაპანელი. «ქართული სული ესთეტიურ სახეებში». ტფილისი. 1926წ. გვ. 3.

«უნდა გავაპო აღელვებული

ძლევის კვერთხითა ზღვა მეწამული,

რომ გამოვიხსნა დატყვევებული

ჩემი სამშობლო, ჩემი მამული».

(«ბრძოლა». 1916).

პოეტის ამ მიზნის განხორციელებას ემსახურებოდა სწორედ რუსეთის იმპერიის დაშლის დასწყისი, რაც მეფის გადაყენებით დაიწყო.

«აწ ველარ დაგვსუსხავს ქარ-ყინვა რუსთ ველის _

დღეს ზეიმს გადიხდის სამშობლო რუსთველის!...»

(«ალამზე». 1917წ. ივლისი).

პოლიტიკური სიტუაციით სარგებლობს საქართველო და დაკარგულ დამოუკიდებლობას იბრუნებს 1918 წელს. სამშობლოს მომავლის დიდი რწმენით არის გაჟღენთილი ამ დროს დაწერილი ლექსი «ქართველ გოგონას».

«მოგელის კარგი ცხოვრება დიდი

პატარა გოგო, ქართველო ქალო!»

(«ქართველ გოგონას». 1918).

წინასწარმეტყველური გუმანით დაწერილ ლექსში «რიონი» პოეტი თითქოს გრძნობდა გარდუვალ ცვლილებებს:

«რიონი სჩქეფს, რიონი ყეფს,

რიონი შლის ფაფარს,...

... ეს მიდამო, არე-მარე

ელის აურ-ზაურს».

(«რიონი». 1917).

და უფრო ადრე – 1916 წელს დაწერილი «ფიქრი ნაწყვეტი».

«ამირან გმირი ძლევის ალამით

აოტებს ყორნებს...»

ტყუილად კი არ ამჯობინებდა პოეტი «რჩეულ თვეებში» მაისს. სწორედ 26 მაისმა მოუტანა ნანატრი დამოუკიდებლობა შალვა კარმელის სათაყვანო სამშობლოს:

«სხვისი საფარი არ გვჭირდება და ყავარჯენი, _

თვითვე იმეფებს გურჯისტანი ბაგრატიდების».

(«ოქროს ფიცარზე».)

უპირველეს ამოცანად მგოსანს ესახება:

«ამაყ დარიალს გავუყაროთ რკინის რაზები».

დღევანდელი დღის გადასახედიდან როგორი ხედვაა მთავარი საფრთხისა სამშობლოს მომავლისათვის! ლექსი დაწერილია 28 მაისს. მომავლის და გამარჯვების ღრმა რწმენა აწერინებს პოეტს ლექსს «დროშები» მხოლოდ ერთადერთი იმედით: : «გაიმარჯვებენ! სხვა რა იქნება?!» რამდენი ხიფათი დაემუქრა აღდგენილ თავისუფლებას! ქართველ მხედრებს მოუწოდებს შალვა კარმელი ლექსში «არმაღანი»:

«შეიარაღდით! მაშ აჭარისკენ, _

ჩვენთან იმეფებს ჩვენი ბათომი!...»

1918.

თვალის ერთი გადავლება სამშობლოს წარსულზე, სადაც მხოლოდ «ცეცხლის დელგმაა» და «სპათა ლანდები», «ტყვია თქეშური» (ლექსი «ქარაგმები» 1917).

პოეტი მიმართავს დიდ მეფეს _ თამარს:

«ახლა სად არის ის დიდება, ის ოქროს ხანა,

რისთვის დაეცა ჩემი მხარე, ჩემი ქვეყანა?!...»

(«ოი, თამარ, თამარ. 1915).

ღრმა გულისტკივილითაა ნათქვამი სიტყვები 16 წლის ყმაწვილის:

«გვიყვარს ოცნება უშედეგოდ ხოლმე წარსულით, ...»

(«ოი, თამარ, თამარ. 1915).

მაგრამ ამ წარსულს ვერსად გაექცევი და ავალდებულებს ქართველებს იყვნენ ღირსნი

«... საქართველოს ოქროს დღენი-(ს).

როს პატრონად უჩნდებოდა

მამულს დავით აღმაშენი».

(«დავითს».)

და რამდენი გმირი ჰყავს საქართველოს!

«... არგვეთისა გმირი ძენი...

დავითი და კონსტანტინე».

(«მოწამეთა»)

არც ქართული ალფაბეტი გამორჩენია პოეტს:

«... სხვადასხვა დროის გავლენის ძალით

შექმნილა ერთი მწყობრი სულია...»

(«ვხედავ მხატვრობას».)

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ უფრო იმძლავრა პატრიოტულმა ლექსებმა და ქართული პატრიოტიზმი ქრისტიანული რელიგიის გარეშე ხომ წარმოუდგენელია:

«ქრისტიანობით აგვირგვინებ მისნურ მგზავრობას,

განცა და გაიმს დაუკარგე დიდება ძველი...

... ბოდბის მონასტერს გაუშლიხარ ცისფერ იაში,

ასე ახსოვხარ შენ საყვარელ ივერიაში!»

(««სონეტი ნინოს». 1919).

ქართველმა ერმა შეიყვარა და გაისისხლხორცა კაბადოკიელი ნინოს მიერ მოტანილი ახალი რელიგია, ხოლო მისი საფლავი მუდმივი თაყვანისცემის ადგილად იქცა, რადგან სული მისი შეერწყა ქართულ მიწას: «ბოდბის მონასტერს გაუშლიხარ ცისფერ იაში...» აი, ასეთი ტრანსფორმაციით აღიქვამს პოეტი მის სულს.

საქართველოს ისტორიაში ორ ქალბატონს განსაკუთრებული როლი დააკისრა განგებამ: _ წმინდა ნინოს და თამარ მეფეს.

«ისმის შავთელის, ჩახრუხაძის ჰანგი მარადი.

საქართველოში გაოქროვდა დღე უთენარი...

... თქვენი დიდება, ქალბატონო, იყო რამხელა,

ალბათ ვარძიას შეუძლია უტყვად გამხელა!»

(«თამარ». 1919).

ლექსში «სონეტი გიორგი სააკაძეს» აღწერილია მთელი მისი გმირული და ტრაგიკული ცხოვრება.

«თავხედ მტრისათვის შებრალება არ გივედრია...

... ბაღდათი, ავღან, ყანდაარი სისხლს გაყვედრიან.

... ღალატით დევნილს ბრმა მახვილი გულზე დაესო...

ერის სიმბოლოვ! ო, სარდალო უზენაესო!»

(«სონეტი გიორგი სააკაძეს». 1919).

შალვა კარმელი თავის ლექსებში ხშირად იყენებს ძველ ქართულ სიტყვებს, როგორც ძვირფას ქვებს და გარითმვის სხვადასხვა ხერხებს: იქნება ეს ჯვარედინი თუ რკალური, უფრო იშვიათად _ მოსაზღვრეს. მაგ. ლექსი «სონეტი გიორგი სააკაძეს» I და II სტროფი რკალური რითმითაა დაწერილი, II სტროფი _ ჯვარედინი რითმით, ხოლო IV სტროფი _ მოსაზღვრეთი. ეს ლექსი კლასიკური სონეტია თავისი ფორმით.

შალვა კარმელი ლექსს უძღვნის დიდ ილიას:

«წიწამურის წამებული მგოსანი,

ერის მამა, მარად ჭარმაგოსანი».

(«ილიას».)

(მაგ. ეს ლექსიც მოსაზღვრე რითმითაა დაწერილი.) ლექსი «მიყვარს მხარე» (ჯვარედინი რითმები) სამშობლოს წარსულისადმია მიძღვნილი.

«ტურფა მხარე ედემისა

და სამშობლო ოქროს კრავის...

... მიყვარს მხარე წილნაყარი,

ღვთის მშობს რომ ხვდა მოსაქცევად...»

(«მიყვარს მხარე».)

ღრმა პატრიოტული გრძნობაა ჩაქსოვილი შალვა კარმელის სონეტში «ავტოპორტრეტი პროფილში» მხოლოდ ორიოდე სიტყვით ახასიათებს პოეტი თავის სამშობლოს და მშობლიურ ქალაქს: მაგრამ რაოდენ ტევადია ეს სიტყვები:

«დავკარგე გვარი, შევამცირე მისი გაისი

და ცრუ სახელად ავირჩიე კარმელი, ძვირი.

ახ! ალბათ ვინმეს ვეგონები უდაბნოს მწირი.

სხვა უდაბნოა საქართველო და ქუთაისი...»

(«ავტოპორტრეტი პროფილში». 1920)

ვფიქრობთ სწორედ მამულისადმი უსაზღვრო სიყვარული ქართველი ახალგაზრდისა განაპირობებს მოწიწებულ თხოვნას, მთაწმინდისადმი:

«მიყვარს, მიყვარს ბუნდოვანი მთაწმინდა, -

რამაც ფიქრი არეული დაწმინდა...

.....

სადაც კვნესდა «ქართლის ბედზე» ყრმა შვილი –

საყვარელი ჩემი ბარათაშვილი!»

და ქართველი ერის გამოჩენილ პატრიოტთა შორის _ «განწირულების» _ როგორც პოეტი უწოდებს _ მათ გვერდით ყოფნა ერთადერთ სანუკვარ ოცნებად დარჩენია ბედისაგან უსამართლოდ დაჩაგრულ პოეტს.

«ეჰ, მთაწმინდავ, _ განწირულთა სადგურო, _

ოდეს დღენი ქვეყნად გავინადგურო, -

გევედრები კარმელს ნუღარ წამწყმიდავ, _

შენს წიაღში ჩამიკონე მთაწმინდავ!...»

(«მთაწმინდას». 1920).

მთაწმინდის ბინადართა _ «განწირულების» მიმართ დაწერილი ლექსები: «ილიას», «ბარათაშვილს», «ვალერიან გუნიას», წარმოგვიჩენს, თუ რაოდენ მოწიწებითა და სიყვარულით იყო გამსჭვალული შალვა კარმელი ამ დიდი პატრიოტების მიმართ.

«რა ვერ იპოვე ამა სოფლად თავშესაფარი.

შენ ბედის იქით ეძიებდი სიმშვიდეს სულის...

... შავი ყორანი მოგჩხაოდა მარტოდ მოარულს,

შორს ქარიშხალი გულშემზარად კვნესდა, გოდებდა,

... ოდეს ვმდუმარებ მოგონებით ფიქრ-მორეული

და სიხარული განუყოფელ სევდას იერთებს,

მაშინ მომესმის სინანულის ხმა შორეული,

თუ როგორ ებრძვის სული შენი თვით ყოფნის ღმერთებს».

(«ნიკოლოზ ბარათაშვილს».)

დიდი პოეტისაგან თუ იღებდა თავისი სულის მასაზრდოებელ ენერგიას და ეთაყვანებოდა მას შალვა კარმელი.

რელიგიურ თემაზე _ აღდგომაზეა დაწერილი ლექსი «აღდგომის ტრიოლეტი», რომელიც სურათის ასახვით იწყება:

«აღდგომის დღეა, სამრეკლოზე ზრიალებს ზარი

და ჭიდაობენ ჩაკირული წითლად კვერცხები».

ავტორს შემაშფოთებელი ნიუანსი შემოაქვს ამ იდილიურ სურათში:

«ცოცხალს კლავს ღვინო და ისევე ცოცხლდება მკვდარი...»

მთავარი არსი ამ დღესასწაულისა იკარგება ზღვარგადასულ ქცევაში და იმედგაცრუებული პოეტი აცხადებს:

«არ ვიცი ახლა ვის წინაშე დავენარცხები...»

სწორედ ეს საკითხი აღელვებდა ახალგაზრდა გურამ რჩეულიშვილსაც 1959 წელს დაწერილ ნოველაში «ალავერდობა» და ამ ბაკხანალიის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად აღიმაღლა ხმა.

3. 3. «აპოკალიპსის ცხენები».

1917 წელს დაწერილ ლექსში «დიფირამბი ჰეტერას» სულ სხვა, აპოკალიპსური მოვლენების გარდუვალობის პროვიდენციური ხედვაა:

«წივილით სისხლს წოვენ მზეს მონაწილენი,

სილენა... სილენა მტევნებით რქებზე.

ფრენები, ფლეიტა, ფერხული ვისია?

თაფლია ველური და ღვინო თქეში...

ევოე... ევოე... ეს დიონისია,

მთვრალი და უსირცხვო ყველაზე თქვენში».

ეს დიონისური ბაკხანალია სუფევს პოლიტიკურად 1917 წელს რუსეთის იმპერიაში, საქართველოც ხომ ამ იმპერიის ნაწილი იყო:

«ტრიალებს ტრამალი თესლებით მტვრიანს

შევერთეთ ბუნებას, შევერთეთ ტრიალს...»

ამ პროცესებში ჩართვა უთუოდ ბრძოლას მოითხოვს, უკომპრომისოსა და უშეღავათოს:

«შეშლილი ვეშვებით ფირუზა ფაზისს

და ტანებს ტალღები ტეხავენ მძაფრად!»

(«დიფირამბი ჰეტერას». 1917)

ამ არეულმა დრომ თავისი გავლენა მოახდინა თითოეული მოქალაქის შემეცნებაზე და «ცისფერყანწელთა» თემატიკაშიც გამოჩნდა პოეზიისთვის მოულოდნელი თემები, მაგალითად გრიგოლ რობაქიძის «აქლემისა» (1918) და «ვასაკას» (1919) სახით.

«და უშნო ცოხვნით ოდეს ერთვი მელანქოლიას
დორბლიან ტუჩზე გიობდება სამყაროს დარდი»
(გრ. რობაქიძე. «აქლემი». 1918)

ლექსის ბოლოში აქ თვით გრ. რობაქიძეს მიუწერია: «თავი და თავი აქ ბოლოა».

ანდა ნაწყვეტი ლექსიდან «ვასაკა».
«ხის სენაკიდან მალვით ზემო ამოცოცდები _
და შეუდგები ღვთის დიდებას კვახე ყაყანით».
(გრ. რობაქიძე. «ვასაკა». 1919).

შალვა კარმელიც ეხმაურება ამ დროს და წერს ლექსს «გიჟი და ბაყაყები».

«ამაყი ვასაკა დაჭიმვით ყიყინებს,
ბაყაყთა ყრუვდება პირმყრალი ყაყანი.
ეს ჭლექის ქეიფი გულს გადამიყინებს,
რომელსაც აქ უშვებს მიდამო ნაყანი».

საკმარისია იმდროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებასა და პარტიებს გადავხედოთ, რომ რაღაც მსგავსი აღმოაჩინოთ და ლექსში ამ ბაყაყთა «კაპელასთან» კონტაქტში მხოლოდ გიჟი «ალფეზა» თუ შედის.

«უფალო! უფალო! სუყველას მოდრიკავს
მთვარეულ ღამეში გრიგალის მარაო?»

კითხულობს შემცბარი პოეტი და ნატრობს:

«მარიდე სიგიჟეს, მხურვალე ოდრიკალს,
ო, თეთრო ფარაონ, ო, თეთრო ფარაონ!»
(«გიჟი და ბაყაყები».)

თეთრი ხომ სინათლის, სიმართლის, სამართლიანობის და კეთილი მომავლის სიმბოლოა!

«დაიჭირო ავტორის (თუნდაც საუკუნეებით დაშორებულის) ხმის ტემბრი, თვალნათლივ წარმოიდგინო პოეტი _ იმპროვიზატორის პოზა და ჟესტიც კი, თვით უინტიმესი მოდულაცია ბგერათა რხევისა აზრობრივ ნიუანსთა თანხლებაში _ უსაშველოდ ძნელი საქმეა. უამისოდ კი გენიალური პოეტი _ მარტოოდენ ანთოლოგიების, ქრესტომატიებისა და სხვადსხვა უნიათო მონოგრაფიებისა თუ მიმოხილვათა კუთვნილებაა _ მის ხმას მარადისობის ექო არ იმეორებს, არც მსმენელი, არც მკითხველი. რუსთველი კი ამბობდა აუდიტორიის მისამართით პოეზიაზე:

«...მსმენელთათვის დიდი მარგიო.»

ავტორის ხმის გაგონების უმთავრესი პირობა ლექსის რიტმული სისტემის აღქმაა».[77] ასე თვლის ბ-ნი აკაკი გაწერილია და ლექსების რიტმული სისტემა კი იმ მღელვარე პერიოდში განპირობებული იყო მშფოთვარე და არაპროგნოზირებადი გარემოთი, რაც სულიერი გამოძახილით აისახებოდა პოეზიაში.

«... წავიდეთ! წავიდეთ! _ აგვრგვინდა
გრიგალში უდაბნო დღეები...
_ არ გვინდა! არ გვინდა! არ გვინდა!... _
პასუხად ქშუიან ხეები.
ხუჭავენ დატეხილ წამწამებს
და მკვდარი ცვივიან გრიგალში.
მე ღმერთი სიკეთეს დამწამებს, _
მივყვები კუბოებს გრიგალში.
_ სადამდი! საითკენ! საიდან!
ტირიან ჰაერში ყავრები...
_ ცხრამთამდი!.. უსაზღვროდ! ჰაიდა!..
თავდაღმა გარბიან მგზავრები...»
(«გოდება გრიგალში». 1919).

არა მარტო სიტყვებით, არამედ რიტმითაც გვიხატავს გრიგალის სურათს პოეტი და ბგერათა ეს თითქოსდა ქაოტური ხმაური ქმნის ქარიშხალის მუსიკალური ფონის ილუზიასაც.

---

[77] ა. გაწერილია. «რამდენიმე სიტყვა პოეზიაზე». ტ. II. «მერანი» 1979. გვ. 8.

«_ ვერ გახვალთ უთუოდ ალყებში.

ქაოსში ქარია მთიშველი...

_ არიქა... ვიხრჩობით ტალღებში...

უფალო! გვიშველე!! გვიშველე!..

ვედრებას, ტირილებს ასეულს...

გიჟობას, ხმაურებს მთვარეულს,

გრიგალი კივილით დასეულს, _

მიაფრენს გრგვინვაში გარეულს!..

(«ოდება გრიგალში». 1919)

ბგერათა ასეთი «აჯანყების» შემდეგ არც ნაკადულის მდინარების მსგავსი რიტმია უცხო შალვა კარმელისათვის:

«ჰარამხანების ვნება,

ჯალალ-ედინის რუმი,

ჩვენთვის იქნება ნთება

და მთვარეები ჩუმი».

(«ერანის სარკეში» 1920).

თითქოსდა პირამიდების ფონზე გაშლილი «ქუთაისური სუფრის» სასიმღერო მელოდიასაც ემსგავსება თუ ეხმიანება შემდეგი ლექსი:

«ძზეში ფირუზს ქარი ფანტავს –

ეს კრთომაა თქვენი _.

გაოცნებებთ ბრმა ინფანტას

ცხელი კართაგენი.

მიყვარს ღვინო სირაკუზის

და ნუბიელთ ვნება.

გადატეხა ყველა ღუზის,

უგზოდ გაქანება».

და აი, ცოცხლდებიან გარდასულ დროთა გმირები, ბრმა ინფანტას მეხსიერებაში:

«... ასარგადონ _ ბალტასარი,
სარდანაპალ, სხვები...
ფიქრი ალთა-ბალთას არი...
კრთიან ფინიკები!
და ტიგროსზე ჩნდება ფონი,
წყალზე _ ქალი ჯადო.
ბაბილონი, ბაბილონი,
ჩემი ელდორადო!»

(«ბრმა ინფანტას თვალები».)

წარსულის დიდებულება ის მუდმივმოქმედი იმპულსია (რა პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს იმპულსის კონსტანტობა!), რომელიც შალვა კარმელში პოეზიით გამოხატვის, მხურვალე აგზნების დაუოკებელი ემოციების შემოქმედებით წვას იწვევს. ნამყოს მირაჟები, სიმბოლიზმის ბურუსში გახვეული, დამახასიათებელია პოეტისათვის, როგორც ნაღდი «ცისფერყანწელისათვის».

«... მალე მუტრიბნო! მეფისქალი ზეიმს შორდება!
ჩუმ განშორების აახუვლეთ ჩანგი-ჩაღანა...
მარგალიტები ჩვენ თვალებში ახოშორდება, _
ყრუ მისტერია დღეს ლეილას ეარმაღანა».

(«მარგალიტის მანიაკიდან «მთვარის კაბარეში». 1917)

სიმბოლიზმით გაჟღენთილი ლექსები გამოძახილია პოეტის სულში ამ მიმდინარეობის ფრანგული საწყისებისა:

«პარიზის ქუჩებს, მონმარტს, ეიფელს _
ელექტროს თვალებს ღამე აბარებს.
... ო, ამ შეხვედრას სხვა ლექსს ადრიან,
ლანდთან ლანდია უზენაესი.
პარიზს დაფარავს ალექსანდრია
და ნანას გვერდით უზის თაისი...»

(«თაისი და ნანა».)

სიმბოლიზმის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია ლექსი «არიანა» _ სირენას ბალადა. სევდიანი მითი დემონისა და არიანას სიყვარულზე. ეს თოთხმეტ მარცვლიანი, 54 ტაეპიანი ლექსი თითქმის პოემაა.

«ცისკრის იქით სადაც თქეშდა ღვარი აკვარელის, _
ნაჩქარ დემონს შორს მიჰქონდა სული საყვარელის».
(«არიანა». 1917).

ანდა ლექსი «შუაღამის არიები» ქვესათაურებით: 1. საუკუნოდ მშვიდობით (ვიოლეტას არია «ტრავიატა»-დან) და 2. პაემანი ავდარში.

«... აატირებენ გუნოს, მასსენეს და შუმანს,
კიდევ უფრო ვერდის, ლურჯფერ ვიოლეტად!
აღარ მოხვალ ვიცი! სულს უმატებ გუმანს!
(«შუაღამის არიები». 1918).

ლექსში «ტრიოლეტები მუსტაზადებში» მგოსანი ნანობს:

«ადრე შეაწყდა ჩემს მანიაკს ქვები სპეკალი...
აქ მე უკვდავად, ადრე მკვდარი, ვერ ჩავითვლები!»
1918.

და ერთადერთ სანატრელად ლექსების დამთავრება დარჩენია; დღეს კი «ასპარეზზე ვინ ავალანდო?!» -ო _ ამბობს იგი. «ცისფერყანწელთა» პოეზია ხომ გაჯერებულია ბოდლერისა თუ სხვა სიმბოლისტთა და მათ წინამორბედთა გავლენით და ეს «ხმელი ჰაერი», ხარბად შესუნთქული», ანპირობებს მათი შემოქმედების თემატიკას.

«ალბათ იგრძენი, რომ კვდებოდი გიჟ კარნავალში.
გველურ სრიალით აიპარა ჩემი ხანჯალი...
და შესანდობათ გეამბორე მკვლელი მგოსანი!»
(«თხელი ტუჩები» ზეიმიდან ნიღბები კარნავალში. 1919).

ცხოვრებისეული ზეიმი, კარნავალად აღქმული პოეტის მიერ, სადაც ყოველი, ნიღაბს ამოფარებული, მალავს თავის არსს, იშვიათი თემა არ არის სიმბოლისტების შემოქმედებაში.

ეგვიპტისა თუ ჩრდილო აფრიკის ძველი ქვეყნების თემაც ძალიან ახლოს იყო ფრანგი სიმბოლისტების შემოქმედებასა თუ პირად ცხოვრებასთან

«... ჰფრენს მწვანე ცხენით სიკვდილი შორი.
თაისს უძახდნენ გადახსნილ ციდან.
ნანასთან: კვდომა, ტკივილი, შმორი –
ძველ ნადედოფლარ ღამეებს ცვლიდა!...»
(«თაისი და ნანა»).

ასევე ახლოს იყო ისტორიულ პირთა თუ ძველი ღმერთების თემაც: მზის ღმერთი _ შამაში, ვარსკვლავთმრიცხველი თუ:L

«სარდანაპალი და ნინევია
ცეცხლებს ელიან ავ სიკვდილებით!»
(«სარდანაპალი»).

არც განწირულობის თემაა უცხო კარმელისათვის

«თავზე გვეცემა ძველ ღმერთებით ცა შერყეული,
უნდა გავექცე ამ ქვეყანას საგველეშაპოს...
მშობელო მიწავ! ორივენი ვართ ჩვენ წყეული
და ვერ ავცდებით დამარცხებას, სირცხვილს, ეშაფოტს!»
(«მკვდარი ბრიუგგე». 1919)

მიუხედავად ელენე დარიანის ლექსების განკიცხვისა, რომელსაც ეროტიზმი დასწამეს პოეზიაში, არც შალვა კარმელი მორიდებია ამ თემას:

«ღამის ოთახში მიმიწვევდი ფარულ დრამაზე,
ძვირფას ალერსით ამანთებდი მკერდდარღვეული,
ტანის ჰაშიში დამათრობდა სუნდაფრქვეული,
გრძნობა მომგვრიდა ავხორცობას უცნობ დამაზე
... ო, რა ჯანსაღად მოთენთილი, ვნებით ნალეში _
დავიძინებდით საუკუნოდ სიმხურვალეში!»
(«სონეტი მუნასიბად სანთიობოსთან». 1919)

ან შემდეგი ლექსი:

«..... ვერაფერს გეტყვის მედალივით მთვარე მშუქარა,

ღამე ვერ იტყვის, ქალწულობის მოკვლა გაბედო!...

... როგორც პოეტის მეგობარმა უახლოესმა _

Gგაიამაყო, რომ სიზმარში მე დამრჩი დავლად».

(«ყელსახვევები»).

ისტორიული პირებისა თუ ლიტერატურული გმირებისადმი მიძღვნილი ლექსების სია საკმაოდ დიდია: «სალამბოს ტრირემა», «ინფანტას მთვარეულს», «თაისი და ნანა», «ბრმა ინფანტას თვალები», «სარდანაპალი», «სემირამიდის ბაღი», «კართაგენი» (გ. ფლობერის სარკიდან)

«გადმოკიდულა ციდან

სემირამიდის ბაღი,

გულია ერთი ციდა

და მთის ოდენა დაღი».

(«სემირამიდის ბაღი». 1921).

«ო, კართაგენო!» ადიდებს პოეტი კართაგენს (ლექსი «კართაგენი») და რა გასაკვირია, რომ «ცისფერყანწელი» ფრანგ სიმბოლისტებს უძღვნის ლექსებს: «პოლ ვერლენს», «ბოდლერის ოფორტი», «რემბოს სიკვდილი», «ედგარ პოეს» და თან თარგმნის მათ.

«ქუჩის ყვავილთა გაბოროტებით

შავ ვენერაზე აშრიტა ჟინი.

შეხვდა იდეალს დაფნის ტოტებით.

როცა ქალაქებს მოედო სპლინი».

(«ბოდლერის ოფორტი». 1918).

შალვა კარმელი ფრანგი სიმბოლისტების სულიერ მამას _ ედგარ პოსაც უძღვნის ლექსს:

«და სახარებას მერი მორანი

ამაოდ შლიდა თეთრ არშიაში.

მიგასვენებდა ყბედი ყორანი

ნაზ ლენორასკენ ფრთების შრიალში».

(«ედგარ პოეს»)

ფუნჯის ერთი მოსმით არის დახატული და გამოთქმული სურვილი, რომ ქართველი სიმბოლისტები გარკვეულ «რევანშს» აიღებენ ფრანგულ დეკადანსზე.

«... და საფრანგეთის დეკადანს მწყრალი
საქართველოდან ელის რევანში».
(«რემბოს სიკვდილი». 1922)

ჯუზეპე ვერდის დიდებული მუსიკით აღფრთოვანებული პოეტი, კომპოზიტორის მელოდიების შინაგანი ცეცხლითა და ელვარებით დამთვრალი, მელოდიებისა, რომლის «საოცარ ხმებმა ეს ქალაქები გადაიარეს» და თითქოს დიდი მაესტროს სადიდებელი მესსასავით აღმართული თეთრი მარმარილოს სასახლის _ პალაცო დორიას _ ამ ხელთუქმნელი ძეგლის სადარი მუსიკის შემქმნელს უძღვნის ლექსს _ «ვერდის», რომლის სტროფები პოეზიაში ჩახედულობის პრეტენზიების მქონე ადამიანებმა ზეპირად იციან.

«თეთრი პალაცცო, დორიას მკერდი,
გადამთვარული და მოლიბრედო...
მაშინ ცა იყო მაესტრო ვერდი
და ეს ქვეყანა იყო ლიბრეტტო!
(«ვერდის». 1918)

მეგობრებისადმი და თანამოკალმეებისადმი მიძღვნილი ლექსებიდან ჩვენ უკვე ავღნიშნეთ ლექსი «მასკები კარნავალში», რომელიც ვალერიან გაფრინდაშვილს ეძღვნება. ლექსში «სევერიანს», პირველად ქართულ პოეზიაში, ჩნდება ბასკეთის თემა:

«ქვეყანა გვიჩანს, როგორც სართველო,
გული-გიდელი დაგვაქვს მგზნებარად,
ო, ჩვენც გვიყვარდა სხვა საქართველო –
ესპანიაში მოსაძებარად».
(«სევერიანს».)

სევერიანი _ სევერიან მუსერიძე. ფსევდონიმი _ სევერიან სადმელელი. _ შალვა კარმელის უნივერსიტეტელი მეგობარი გახლდათ.

ბევრი ლექსი აქვს მიძღვნილი შალვა კარმელს თავისი გიმნაზიელი მეგობრის _ სოსიკოსადმი (იოსებ ბარათაშვილი). ამათგან გამოირჩევა «სოსიკოს ვახშამზე», რომელიც ეპიტაფიასავით ჟღერს:

«... მე აქ ვითვრები მრავალნაირ მწარე წამლებით,
თქვენ კი აგანთებთ დავიწყებით ღვინო მჩქეფარი,
როს ცელქ ფერხულში სიყვარულით მოიწამლებით,
მომიხსენიეთ შემოდგომის მზე უმეფარი».
(«სოსიკოს ვახშამზე».)

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ გრ. რობაქიძის ლექსებს «აქლემი» და «ვასაკა» შალვა კარმელი გამოეხმაურა ლექსით « გიჟი და ბაყაყები». საერთო თემატიკა აღინიშნება კარმელის ლექსში «ბაბილონის ბალაგანი» და გრიგოლ რობაქიძის «ამორძალი ლონდა»-ში (1920), სადაც ამორძალთა წინამძღოლის სიყვარულია აღწერილი ალექსანდრე მაკედონელისადმი. კარმელთან ეს გმირი «ფალესტრაა», რობაქიძესთან _ «ლონდა» თუმცა შემდგომში რობაქიძე წერს რომანს «ფალესტრა» და პიესას «ლონდა». საერთო თემები თუ გმირები მეორდებიან «ცისფერყანწელთა» შემოქმედებაში. მაგ. ღარიბი ვერლენის, არტურ რემბოსა თუ მოხეტიალე პიეროს თემა პაოლო იაშვილთან, ბალთაზარის, ქალდეას თუ პიერო-კოლომბინას თემა _ ტიციან ტაბიძესთან, ოფელიასა და გედების, ვერლენის, ავადმყოფ კოლომბინას, ბეატრიჩეს, ინფანტას, ლონდას სახეები ვალერიან გაფრინდაშვილთან, ეგვიპტის მირაჟები და ჯოკონდას სახე _ კოლაუ ნადირაძესთან და ა. შ., ხოლო ეს თემები რასაკვირველია შემოსულია ფრანგული სიმბოლისტური სკოლიდან. გომბეშო _ მალდორორის თემა _ ლოტრეამონთან, ტუბერკულიოზი _ ლაფორგთან, პირამიდები _ რემბოსთან, შუშის პეიზაჟები _ ბოდლერთან, კალეიდოსკოპი _ ვერლენთან, სარკის, თეთრი ფერის თუ გედის თემა _ მალარმესთან.. ეს თემატიკა რასაკვირველია მხოლოდ ნაწილს მოიცავს მთელი ფრანგული სიმბოლისტური სკოლისა. ლაურას, ჰეტერას, ედგარ პოს სახეები გალაკტიონთანაც გვხვდება. ამ თემატიკიდან შალვა კარმელის შემოქმედებაში ჩვენ ვახსენეთ «გიჟი და ბაყაყები». გედის თემა მალარმესთანაა და შალვაც წერს ლექსს «გედის სიმღერა».

«... ნელის როკვით ტალღის რხევა ბროლის გულმკერდს ბანდა.

ტბის სარკეზე თეთრი გედი უკვდავებად ჩანდა!

... უცბად შეწყდა ზეცის კილო ათრთოლებულ ხმაზე

და აცურდა უსიცოცხლო თეთრი გედი ტბაზე!»

(«გედის სიმღერა». 1916-18).

ქალდეას თემას კი შალვა კარმელი ეხმაურება ლექსით «ქალდეას ქალნი».

«... ძველი ღმერთები, თავმომწონები,

სერობენ, ლხინი ლხინს ემატება.

შორით მოვიდნენ მგზავრი მონები,

ღმერთებს მიართვეს ქალის ხატება.

ქალდეას პირმშო, წმინდა ასული

და სიამაყე ძველ აზიისა...»

(«ქალდეას ქალნი».)

«მალარმე იყო ბრწყინვალე იმპროვიზატორი თავისი ოცნების და ცხოვრება, როგორც უვარგისი სუფლიორი, სამუდამოდ უარყოფილ იქნა პოეტისაგან» წერს ვალერიან გაფრინდაშვილი[78] და თითქოს ამ განწყობას ეხმიანება შალვა კარმელის უსათაურო ლექსი «აქ რა გვინდა»:

«წამო, წამო, გავეცალოთ

ამ მიდამოს ჯოჯოხეთურს,

ვერ ავიტან მე ამ ყოფას

და მზაკვრობას ცხოველ-მხეცურს».

სურვილი გაცლისა ამ ქვეყნისაგან გამოწვეულია უპერსპექტივო «პერსპექტივით»:

«თუ არ გინდა გოლგოთაზე

მტარვალთაგან შენც ეწამო».

(«უსათაურო»)(«აქ რა გვინდა»)

თითოეული ღვთის შვილი ცხოვრების მანძილზე თავის «გოლგოთის გზას» გადის. ზოგი ამ «ღვთის გამოცდას» ღირსეულად უძლებს, ბევრი კი უძლური აღმოჩნდება ხოლმე ამის წინაშე და სწორედ აქედან მოდის ყველა ის უარყოფითი თვისებანი თუ

[78] ვ. გაფრინდაშვილი. «სტეფან მალარმე». წერილი წიგნიდან «ლექსები, თარგმან. ესეები და ა.შ.» გამომც. «მერანი». 1990. გვ. 477.

გამოვლინებანი, რაც ახასიათებთ ადამიანებს კაცობრიობის არსებობის მანძილზე და ყველანაირად ამუხრუჭებს მათ ზეასვლას «ადამიანის» ანუ «ღვთის შვილის» ტიტულამდე.

გასაკვირი არ არის შალვა კარმელის დაინტერესება ფრანგი სიმბოლისტების ლექსებით და მან მხოლოდ შარლ ბოდლერისა და ალბერ სამენის რამდენიმე ლექსის თარგმნა მოასწრო. მაგალითად, ბოდლერის ლექსის «უფსკრული»-ს თემატიკა ძალიან ახლოსაა კარმელის სულიერ განწყობასთან:

«... მე დაძინების მეშინია, ვით შავი ხრამის,
სადაც ჩვენ ვილტვით და გვეხვევა წყვდიადი სქელი.
ყველა ფანჯრიდან სცქერს თვალები უსაზღვრო ჟამის,
შავი სიმძიმე თავს მაწვება ბედითი ბნელი...»
(შ. ბოდლერი «უფსკრული».)
თარგმანი 1918წ.

თემატიკა შარლ ბოდლერის მეორე ლექსისა «შუაღამის გამოცდა» ხომ უფრო ახლოს დგას იმ ფიქრ-სატანჯველთან, რითაც გაჯერებულია კარმელის მთელი შემოქმედება.

«... სიმართლის ღმერთსა, იესოს ტანჯულს,
აქ უარყოფდა ეჭვი საზარი.
მოდუნებულებს, განცხრომას დრანჯულს,
ლხინზე გვაჩვევდა ჩვენ ბალთაზარი...
... მიუსაფარებს ბრბოსგან დევნაში.
ყველას შელახვით ვუქციეთ მხარი
და სისულელის კოცნა – ხვევნაში
ყვითელრქიანი ვადიდეთ ხარი...»

რა ძალიან ახლოსაა ჩვენთან და ულმობელი სიტყვებია, დღევანდელი დღის პრობლემასთან დაკავშირებული:

«... ჟამით ავსახეთ დრო დღევანდელი,
ღვინო დაგვათრობს ჩვენ ისევ ხვალე...
ჩავაქროთ მალე ო, ეს კანდელი, _

ღამის წყვდიადში დავიხრჩოთ მალე!...»

(შ. ბოდლერი «შუაღამის გამოცდა».).

თარგმანი 1918წ.

«უნდა გიყვარდეს შენ სუყველა აქ შებრალებით _

ბოროტი, კოჭლი, კუზიანი, ბრმა და სულელი,

რომ ამოქსოვო მაცხოვრისთვის ამ მოწყალებით

სასიარულო გზის ხალიჩა დაუსრულელი...»

(შ. ბოდლერი. «მეამბოხე».)

თარგმანი 1918წ.

თითქოს სამოქმედო გეგმის პოსტულატებია ჩამოთვლილი ყველა მეამბოხისათვის, მაგრამ განა ყველა მეამბოხე ასრულებს დანაპირებს?

შარლ ბოდლერის შესანიშნავ ლექსში «ალბატროსი» პირდაპირ ნათქვამია, თუ რას ნიშნავს ნამდვილი თავისუფლება შემოქმედისათვის.

«მგოსანი, როგორც ალბატროსი, სანამ ცაშია,

ჰკვეთავს ქარიშხალს ყრუ ამინდის თანაზიარულს...

... უფრთობა ქვეყნად კი უძნელებს ხალხში სიარულს!...»

(შ. ბოდლერი. «ალბატროსი»

თარგმანი 1918წ.)

ალბერ სამენის ლექსში «ვერსალი» შალვა კარმელი მოხიბლულა ვერსალის სასახლის ეფემერულ-ფეერიული დიდების ბურუსში გახვეული ლანდებითა და სილამაზით.

«... ბაღები, სადაც არ დადიან დღეს დოფინები,

და პლიუმაჟების აქ ყოფილი დიდების ფრთები. _

შენ ხარ ამაყი, ვით ზამბახი და უხმოდ კვდები...»

(ა. სამენი. «ვერსალი». თარგმანი გამოქვეყნდა 1923წ.)

შალვა კარმელი ტექსტში ორგანულად იყენებს ძველ ქართულ სიტყვებს: მაგ. დრანჯობა, სპეტი და ა. შ. «ის ბევრს მუშაობდა ლექსზე: მან თარგმნა ალბერ სამენის «ვერსალი» და მე შემთხვევით ხელთ ჩამივარდა ოთხი ვარიანტი ამ თარგმანის....»[79] იგონებდა ვალერიან გაფრინდაშვილი.

[79] ვ. გაფრინდაშვილი «შალვა კარმელი». გაზ. «რუბიკონი». №3. 1923 წ.

3. 4. ადრეული ლექსებიდან

სანამ შალვა კარმელის ვრცელი პოემის «ლეილა»-ს გარჩევას დავიწყებდეთ, გვინდა მიმოვიხილოთ მის მიერ ადრეულ ასაკში შექმნილი სატრფიალო ლექსები. სახელი «ლეილა» პოეტის შთაგონების წყაროა და ბევრი ლექსი, შექმნილი 1916-18 წლებში, მისადმია მიძღვნილი. ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში აღმოვაჩინეთ წერილი ბ-ნ იოსებისადმი შალვა კარმელისაგან.

«უსაყვარლესო მგოსანო!

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენს პატივცემულ ჟურნალ «ლეილა»-ში მოათავსოთ (თუ შესაძლებლად სცნობთ) შემდეგი ლექსი: «ეგო ვი ამო». (ლათინურად ნიშნავს «მე შენ მიყვარხარ». ნ.გ.)

«... მზესთან მე შენით ჩემი სული მსურს დავიამო,
მითქვამს და გეტყვი ო ლეილავ: «Eგო ვი ამო!»
1916წ.

ლექსი «შენი თვალები». ეს ორკუპლეტიანი ლექსი ქართული ტრადიციული სატრფიალო პოეზიის გაგრძელებაა.

«შენი თვალები ოკეანეა.
შემოისრული წარ-წამწამებით,
ის სანეტარო ფიქრთ სავანეა _
ჯოჯოხეთია თვისი წამებით!
ასე ვარსკვლავნიც არ კრთიან ცაზე, _
სასწაულია შენი თვალები,
და მითხარ, ჩემო: მაგ შავბნელ ზღვაზე
რომ დავიღუპო, არ გებრალები?!»
(«შენი თვალები». 1916)

ლექსში «ოდეს იშლება», რომელიც პოეტთა სათაყვანო ყვავილის – ვარდისადმია მიძღვნილი, პოეტი სატრფოს სახეს ხედავს და მის საოცარ სურნელს შეიგრძნობს:

«... ჰოი, მშვენებავ, ვარდში სახულო,
ქვეყნის სამკობად ხარ ცით ვლენილი,
კოკრის წიაღში ასაფეთქებლად

საამო სუნით მიმოფენილი».

(«ოდეს იშლება»)

აკაკი წერეთლის უსათაურო ლექსის «თავო ჩემო, ბედი არ გიწერია»-ს სტრიქონების მიბაძვით შალვა კარმელს დაუწერია სატრფიალო ლექსი «სულიკოს!»

«რა ხანია, ჩემო ჩანგო,

მასზე არ გიჟღერია?!

რა ხანია ჩემო თვალნო

მისთვის არ გიმზერია!?

(«სულიკოს». 1916).

უსათაურო ლექსია «ახალგაზრდა ვარ, თვრამეტი წლისა», სადაც პოეტი გვიმხელს თავის სამომავლო გეგმებს:

«... ის უცდის წუთებს, როს მოვა ჟამი

მჭერმეტყველურად რომ ვსთქვა უთქვამი...»

(«... ახალგაზრდა ვარ». 1917).

შალვა კარმელის ადრეულ ლექსებში აშკარად იგრძნობა სულიერი თუ ცხოვრებისეული გზების ძიების სურვილი:

«გეძებე... გიხმე,

სიცოცხლეო, არსად არ სჩანდი...

და მივდიოდი თეთრ ბილიკზე გულ-დაკოდილი...»

(«ლანდები». 1917).

მაგრამ იყო იმედებიც მზიანი დღისა:

«მზე ინთებოდა...

სხივს მოჰქონდა შვება დილისა.

განცდა მგოსნური, სულის რწმენა სიყმაწვილისა...»

(«სულის ლეგენდა». 1916)

და სურვილები მარადი ტრფობის (ლექსი «მარადი ტრფობა». 1916): შალვა კარმელი ჭაბუკური აღტკინებით და სათუთი გრძნობით მიმართავს სატრფოს:

«ნუ თრთოლავხართ... ნუ კრთი, ნუ..., ნუ...

ზენა ძალით მსურს გაძგერო,

მკერდს ჩაგიკრა... გულის ცემით

სიყვარული დაგაჯერო!»

(«მწუხრის სიმღერა». 1916)

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ რამდენიმე ლექსი პოეტმა მიუძღვნა თავის გიმნაზიელ მეგობარს _ სოსიკოს (ბარათაშვილი). ლექსში «სალამი სოსიკოს» შალვა კარმელი გრძნობს რა გარდუვალ დაღუპვას, მიმართავს მეგობარს:

«... მე წავალ მალე

და თუ როსმე დაგავიწყდები –

ლექსებს დახედე და მით მაინც მოგეგონები!»

(«სალამი სოსიკოს».)

ადრეული პერიოდის ზოგიერთ სატრფიალო ლექსებს ყმაწვილური სენტიმენტალიზმისა და პროვინციული მიამიტობის ელფერი დაჰკრავს:

«მე მივდივარ შენთან ერთად ციურ ზართა სამრეკლოზე

და თუ ვერ ვწვდით, ერთად მაინც ხომ მოვკვდებით

სამსხვერპლოზე».

(«ძღვნად ლეილას».)

ანდა უსათაურო ლექსი («გლოვის შავი ტრაური»,):

«ვინ მიმშრალებს ცრემლებსა,

თუ არა შენ, დობილო,

რა კარგი ხარ ცხედარიც,

გულზე ხელებ ჭდობილო».

(.... «გლოვის შავი ტრაური»).

პირდაპირ «ქვას მოალბობს» 15-16 წლის ყმაწვილის ნაკვნესი «წერილი სატრფოსადმი»:

«ჩემის კვნესით და ვაებით ქვა მოვალბე, ქვა ვატირე,

შენ კი, შენ კი, უკარებავ, ვერაფრით ვერ გინადირე.

შენ დამასვე მკერდს ისარი, განმიგმირე ნორჩი გული

და თუ სრულად არ გამკურნავ, დამიამე მაინც წყლული».

როგორც აღვნიშნეთ, ასეთი ლექსები ადრეულ ასაკშია შექმნილი და მათი უმეტესობა გამოუქვეყნებელია. მხოლოდ ლიტერატურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ვახსენეთ ეს ლექსები, რადგან ისინი შალვა კარმელის პირად არქივში ინახებიან და მათი გაცნობის მსურველებს ხელი არ მიუწვდებათ. (ლექსები: «ოდეს იშლება», «სულიკოს», «ჭინკები სოფლად», «შორი სიახლოვე», «მეგობარს», «მარადი ტრფობა», «ექსპრომტი», «მწუხრის სიმღერა», «სალამი სოსიკოს», «სონეტი გულისტანს», «ო, რათა», «წერილი სატრფოსადმი», უსათ. «სამოთხის ბაღსა», უსათ. «დღეს აქა ხარ მოარული», უსათ. «ახ, რად გიყვარს «, «ნინო რევაზიშვილს» და მხოლოდ ერთხელ გამოქვეყნებული ლექსები (ი. გრიშაშვილის მუზეუმიდან): «ძველი ხელთნაწერიდან», «თიბათვის ლეგენდა», «განდობა», «ქარვის ტირილი», «ჩემთვის უკვდავ დას», «მონასიბი».) ნაწილი ამ ლექსებისა ინახება გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის მუზეუმში, რომლებიც შალვა კარმელის გიმნაზიელმა მეგობარმა იოსებ ბარათაშვილმა (სოსიკო) სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე გადასცა მუზეუმს.

მაგრამ ამავე პერიოდში არის შექმნილი ისეთი ლექსებიც, როგორიცაა მაგალითად «უხილავს»

«... ო, მითხარ, მითხარ,
სულის მხიბლავო, _
მითხარი, მითხარ
შენ, უხილავო!
მოდი, მიბრალე,
მაჩვენე სახე...
ეგ გამჭვირვალე
ხელი შემახე».
(«უხილავს»).

ანდა, მაგალითად, ლექსი «ო, რათა», რომელიც გაჟღენთილია ქართული კლასიკური სატრფიალო ლირიკის სულითა და სტილით:

«ო, რათა, რათა, ჩემო ტურფავ და ჩემო კარგო,
ეგ შენი თვალნი რად მერიდვის, რად გარბის შორსა?
მე მაგ ბაგეზე მსურს გრძნეული კოცნა მოვქარგო,

შენ კი საოცრად ერიდები ჩემსა ამბორსა!»

(«ო, რათა»)

ხოლო ლექსით «მარტოობა» შალვა კარმელი გვიხსნის მისი ფსევდონიმის არჩევის მიზეზს:

«... ჩემთვის მყუდრო მარტოობა

არის სევდის გამქარველი,

მარტოობა რომ შევიტკბე,

მიტომ მქვია მე კარმელი!»

(«მარტოობა»)

ყველა შემოქმედის ხვედრია «მარტოობა სულისა». ქალის სახის გაფეტიშებაც და მისი სახელის გაღმერთებაც ხომ შემოქმედთა ხვედრი იყო, არის და იქნება ალბათ.

3. 5. პოემები

ლექსების გარდა შალვა კარმელს პოემებიც აქვს, თუმცა გამოუქვეყნებელი. პირველია «ლეილა». არქივში დარჩენილ ჩანაწერებში 19 თავიანი პოემის პირველი თავი და II თავის ნაწილი დაკარგულია. დაკარგულია აგრეთვე XII და XIII თავები. ესეც ადრეული შემოქმედებაა, ისევე როგორც მეორე პოემა «ძმობილი», რომელიც 16 წლის ასაკში დაუწერია 1915 წელს.

გულის სიღრმეში ჩაუმარხავს პოეტს პოემა «ლეილა». მისი პირველი გრძნობის ამბავი, ისევე, როგორც სახელი მისი:

«... და თუ ოდესმე წამომცდა რამე

იმ საიდუმლო გულის ფიცისა,

მას მხოლოდ მარტო მოისმენს ღამე

და შორეული მნათობი ცისა...»

(პოემა «ლეილა» _ III თავი)

«მოდი მთვარევ, განგიმარტო

საიდუმლო შენ ერთს მარტო...»

(თავი IV)

«... მიყვარს ლეილა და ვეტრფი მე მას,
ვით მზეს, _ ვანიჭებ თაყვანის ცემას,
ზღაპრულ კოლხეთის უმანკო ასულს,
მსხვერპლად შევსწირავ ჩემ გულსა და სულს...»

(თავი V)

და დიალოგი ჩვეულებრივ შეყვარებულსა და მის მესაიდუმლეს _ მთვარეს შორის:

«... ჩემო მთვარევ, კერპად მსახო,
საიდუმლო სიყმაწვილის
ვინძლო წმიდათ შემინახო!»

(თავი VI)

შეყვარებული მგოსანი, აღფრთოვანებული თავისი ბაღ-წალკოტით, უმღერს ყვავილთ სილამაზეს და ელის თავის სატრფოს. სიზმარში უნახავს მგოსანს სატრფო, მაგრამ

«... უხილავ არსად გადაიქეცი...»-ო.

(თავი IX).

გულგატეხილი მგოსანი მოსთქვამს თავის გაუზიარებელ სიყვარულზე:

«... მითხარი მკაცრო, შავსახე ძალო,
ჩემს შეკითხვაზე პასუხი გამე,
ნუღა ორჭოფობ ბედო მუხთალო,
შენი გულისთქმის მიმღერე რამე!»

(თავი X).

მეათე თავის ნაწილი გამოქვეყნებული გახლავთ. ღამის ლოცვაში სურს იპოვოს ნუგეში პოეტმა:

«... ობოლნი ცრემლნი სინანულისა
წამების ჯვართან რწმენით დავღვარო...»

(თავი XI)

ხელნაწერებს აკლია XII და XIII თავები.

გვინდა უკომენტაროდ მოვიყვანოთ ნაწყვეტი XIV თვიდან.

«ვიცი ორი მზე ბნელ სამყაროს მანათობელი,

ერთი ზოგადი, ცის წიაღის შემამკობელი.

მეორე მზეა _ საკუთრება მარტოდენ ჩემი,

მხოლოდ ჩემთვის არს მისი სხივი _ სიცოცხლის მცემი.

პირველს არ უჩანს დასაწყისი, არცა აქვს ბოლო.

ის უკვდავია, მარადობის არის სიმბოლო.

თვალშეუდგამი ცის მნათობი ერთგვარ სცქერს ყველას.

ერთგვარად ზომავს ადამიანს და ჭიანჭველას.

.....

.....

ის მეორე მზე პირველ მთიებს არ ედარება,

ის ჩემთვის გაჩნდა, ჩემთვის მნათობს, ჩემთვის გაქრება,

ჩვენ გვაქვს საერთო მისწრაფება, ერთი ვართ სულით.

ურთიერთს ვეტრფით და ვადიდებთ მზეს სიყვარულით.

.....

.....

«და ამ ორ მზეში რომელს ეტრფით?» ოდეს თქვენ მკითხავთ,

ვსთქვა: «ორივესო», ჰე კეთილნო, ხომ არ გამკიცხავთ?!

არა, არ მინდა ისე ყოფნა ამ ქვეყანაზე,

თუ არ მექნება მე ორი მზე _ მიწას და ცაზე...»

(თავი XIV).

ვფიქრობთ, ეს არის ჰიმნი მზის სიყვარულისა და სიცოცხლის საწყისის, სრულიად ახალგაზრდა პოეტის მიერ ასე მარტივად და ყველას გასაგებად შექმნილი

ჩვენ იძულებულნი ვართ ასე ვრცელი ნაწყვეტი მოვიყვანოთ გამოუქვეყნებული პოემიდან, რათა წარმოდგენა გვქონდეს, თუ რა დონის მხატვრული ნაწარმოებია.

პოემის XV თავში მწუხრის ჟამი დამდგარა და მოწყენილ მგოსანს უჩნდება კითხვები:

«... ღამეს დუმილი ვინ შეაყვარა,

ცამ ცვართა ცრემლი რისთვის დაღვარა?!

რას ეუბნება ნიავი ფოთოლს,

რად ურხევს სიო ტყის ქალწულს კოწოლს?...»

ასე პოეტურად ხედავს სიყვარულით დადარდიანებული მგოსნის გარემოს შალვა კარმელი და უეცრად მგოსანს ანგელოზი გამოეცხადება, ანუგეშებს და იმედს მისცემს მას: «მოვიდა, ვისაც გული ელოდა!»-ო.

თენდება იმედის დღეც (XVI თავი): «გარიჟრაჟი აცახცახდა...»

ახდა პოეტის ოცნებაც და სიზმარიც: მას «ლეილა» ესტუმრა (თავი XVII).

«... შემოდი სადგურს, სიცოცხლის მცემო,

მტლად დაგედება გზა ვარდფენილი...»

«... შენის მოსვლით გახალისდა ჩემი სევდის სადგური.

გულში შვება დაბინავდა, ჭმუნვის გამანადგური...»

(თავი XVIII).

შვება იგრძნო მგოსანმა, რადგან «ტურფას სძინავს» მის წალკოტში:

«იყავ მშვიდათ, გიდარაჯებს შენი მონა ერთგული!»

ლეილას სილამაზეს მოუხიბლია ყველა:

«... თითნი ნათალნი _ ტატანი ბროლნი,

ორნი კოკორნი, მკერდს ანათრთოლნი!

ო, რა კარგი ხარ, სიცოცხლის მცემო, _

ჩემო ლეილა, ლეილა ჩემო!...»

(თავი XIX).

ასეთი «ბედნიერი დასასრულით» თავდება ისტორია მოტრფიალე ჭაბუკისა. პოემას ეტყობა, რომ თითქმის ჯერ კიდევ ბავშვის მიერაა დაწერილი, არათანაბარი მხატვრული სიძლიერის თავებია პოემაში, თუმცა პოეტური ღირებულებების ადგილები და თავებიც საკმაოა. აღსანიშნავია, რომ თავები სხვადასხვა მეტრითაა დაწერილი და ერთმანეთს ენაცვლებიან: 8 მარცვლიანი 10 მარცვლიანს, 14 მარცვლიანი, 15 მარცვლიანი თავები. გამოყენებულია სხვადასხვა სახის რითმები.

შალვა კარმელის მეორე, გამოუქვეყნებელი პოემა გახლავთ «ძმობილი», რომელსაც ავტორი ლეგენდას უწოდებს. დაწერილია 1915 წლის ზაფხულში. შალვა ამ დროს 16 წლისაა. პოემაში აღწერილია ჭაბუკი მგოსნისა და ქალწულ ცირას ტრაგიკული სიყვარულის ამბავი.

პოემის პირველი თავი იწყება ასე:

«ოდესმე ძველად, მიუვალ ადგილს,
სადაფის კოშკი იყო ნაშენი...»

ამ კოშკის გარშემო კი

«... სურნელთა მფენი
ბაღ-წალკოტ-მტილნი იქარგებოდა».

აი, აქ ცხოვრობდნენ «ჭაბუკი ვინმე, დიდი მგოსანი» და «ტურფა უმანკო – ცირა ქალწული».

«გრუზა დალალნი ბროლისა მკერდზე
აფეთქილ კოკორთ გარს ეხვეოდა...»

ცირა ბაღში გამოდიოდა ხოლმე და «უცხო საკრავს აკვნესებდა». მგოსანიც უსმენდა მოჯადოებული. მათი წინა ისტორია კი ასეთი ყოფილა:

«... ამათ წინაპართ ჰქონდათო ბრძოლა,
ვერ აკავებდათ ნათესაობა
ერთი მოგვარე წყვეტდა მეორეს
მამა-პაპათგან თანდაყოლილი
ჩვეულებანი ვერ აიშორეს».

ეს ამბავი ხომ საქართველოს ისტორიული რეალობიდან არის აღებული და ასე ერთი-მეორე გაწყვეტის პირამდე მიიყვანეს.

პოემაში მოსისხლეები ბრძნულ გადაწყვეტილებამდე მიდიან: ბავშვის დაბადებისას აღსაზრდელად მოსისხლე მხარეს აძლევდნენ და ამით აიცილეს თავიდან სისხლის აღება (III თავი). და აქ იწყება პირდაპირ ბერძნული ტრაგედიის ფაბულა:

«მამა-პაპათა ანდერძის ძალით
ვაჟი ქალისა გახლდათ ძმობილი...»
მძინარე ჭაბუკს

«... ფეხ-აკრეფილად,

მიუახლოვდა ქალი ეთერი...»

«თავის სულს ეგრძვის!... ბოლოს დასძლია,

გადასდგა ბიჯი, ერთი!... და ორი!...

ძირს დაიხარა!... სწრაფ მგოსნის ბაგეს

დააკვდა გრძნობით მთვრალი ამბორი!»

და სასწრაფოდ ტოვებს დანაშაულის ადგილს ქალწული.

(თავი IV).

დილით, ბაღში სეირნობისას, ქალწული ესიყვარულება პოეტს:

«ახ! ნეტავ ხვდები, ნეტავი თუ გრძნობ,

როგორ უსაზღვროდ მე შენ მიყვარხარ?» _

...

«მიყვარხარ ისე, როგორაც უნდა

უმანკო დასა ძმით შეყვარება» _

პასუხობს ჭაბუკი და გამოუტყდება, რომ ბევრი ლექსი დაუწერია მასზე.

უეცრად ქალწული «გულში ჩაეკრა გატაცებულსა მოუბარ ძმობილს!»

«მხურვალ გულ-მკერდის მიკარებამა

ჭაბუკს აუნთო მთელი სხეული,

დედაკაცთანა არა ჩვეულმა

პირველ იგემა ძალა გრძნეული.

ვაი, რას შვრება? ეს დობილია!

... ტუჩი ტუჩს ზიდავს, მკერდი მკერდს ეკვრის,

მჩქეფარე სისხლი ადუღებულა...

... აღარა ესმით და-ძმობის ვალი.

მათზე ბატონობს ხორცისა ვნება!»

(თავი VI).

კაცობრიობის საწყისიდან ადამ და ევას ცოდვა მოსდევს ადამიანებს!

«მიწისა შვილნო! სცოდეთ უშიშრად,

რადგან ცოდვით არს სიამოვნება!»

გვმოძღვრავს თვითონ ჭაბუკი _ შალვა კარმელი.

საღამოს, ბაღში მჯდომარე სევდიან ცირას, პოეტი გადასცემს წერილს, სადაც იხსენებს მათს წმინდა ბავშვობას:

«ახ! უზრუნველო პატარაობავ!
ასე სიჩქარით რად გაიარე?!
ცხოვრებისათვის ჯერ ისევ ჩვილი,
შეუბრალებლად დამაიარე!»

სანანებელში ჩავარდნილ პოეტს სანუგეშოდ მხოლოდ ეს დარჩენია:

«თავისით გაჩნდა დიადი გრძნობა,
მან უარი ჰყო ჩვენი და-ძმობა,
ან რა უშავდა შესისხლხორცებას,
რომ წინ არ გვედგას სულ სხვა პირობა?!...»

(თავი VII)

სანამ ცირა წერილს კითხულობდა, ვაჟს ბაღი შემოუვლია და ყველაფერი მგლოვიარე აღმოუჩენია.

«ყოველგვარ ყვავილს გადავუკოცნე
შენებრ ლამაზი სათუთი ბაგე,
ერთ წითელ ვარდ ქვეშ ეკალი იყო
და ჩემი გული მასზე დავაგე!»

(თავი VIII).

ასე ეთხოვება მგოსანი ჭაბუკი თავის დობილს, აწ ბედისწერით სატრფოდ ქცეულს:

«მე ვამჯობინე ძრახულ ყოფნასა
არარაობის შვების სამარი,
ვსთმე ეს სოფელი, მრუდ ნაბიჯისგან
შეძულებული და წანამხდარი».

ჩემი ამ ნაბიჯით იქნებ «მაღლა განგებას მეტად ვრისხავდეო». _ მაგრამ ფიცის გამტეხის სახელის ტარებას სიკვდილი ამჯობინა ჭაბუკმა და წყალში დაიხრჩო თავი, დაიბარა რა _ საფლავი ამ ბაღში მიეჩინათ მისთვის.

«... შორს გაისმოდა გამწარებული

კვნესა, კვეთება დობილ ქალისა,

მასში მოჩანდა მომაკვდავი ხმით

უიმედობა მომავალისა!»

(თავი XI).

(«ძმობილი». 1915).

პოემა არ გამოირჩევა თავისი რითმითა თუ ლექსიკით. აშკარად სჩანს, რომ შალვა კარმელი ჯერ კიდევ ბავშვია მხოლოდ _ 16 წლის. სიუჟეტი კი ვფიქრობთ საკმაოდ საინტერესოა, თუმცა თემა _ პიროვნების მოვალეობაზე ვნების ძალების დომინანტობა აკაკი წერეთლისა თუ ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებებში საკმაოდ ღრმად არის გაშუქებული.

ყმაწვილური ვნების უნებლიე ცოდვის მომხიბლაობა, მონანიების ყველაზე ღირეული ფასეულობით _ საკუთარი სიცოცხლის ფასად, ამ ცოდვის მიტევების სურვილს აღძრავს და თუ შეიძლება ასე ითქვას _ წმინდა ცოდვის კატეგორიაში გადადის თითქოს, წრფელი და ჭაბუკური ვნებების წყალობით.

3. 6. ვოდევილი «ორი მშიერი»

ერთმოქმედებიან ვოდევილში მოქმედება ხდება საფრანგეთის ერთ «ტრაქტირში» ანუ სამიკიტნოში. შალვა კარმელს აქ მოქმედების სხვა ქვეყანაში გადატანის, ანუ გაუცხოების მეთოდი გამოუყენებია, ისე კი ტექსტშიც და მისამღერ კუპლეტებშიც იგრძნობა ქართული რეალობა და პოლიტიკური ცხოვრების სპექტრი 1917 წლისა.

სამიკიტნოში შემთხვევით შეხვედრილი ორი ძველი ნაცნობი, მშიერი და მატყუარა პროლეტარი _ დანტენ და ფრანსუა ერთმანეთის «გაცურების» ხარჯზე ცდილობენ გაიძღონ კუჭი, ხოლო უფულობის გამო გაძღომის შემდეგ გაასულელებენ მიკიტანს და სამიკიტნოდან «აორთქლდებიან». ვოდევილი დაწერილია ლექსად, 16 მარცვლიანი ტაეპით, მოსაზღვრე რითმით. საკმაოდ მხიარული ტექსტია, მწვავე სატირით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე მისამღერში.

წარმოდგენა რომ გვქონდეს, მოვიყვანთ პატარა ნაწყვეტს:

ფრანსუა _ (სინჯავს ანგარიშს) ვა, სუფი ვჭამეთ?

დანტენ _ არ ვიცი... (სინჯავს) ქათამიც შეგვიჭამია?

ფრანსუა _ არ ვიცი... მაგი შენ უფრო გეცოდინება ძამია!..

დანტენ – ღვინო, არაყიც დავლიეთ?...

ფრანსუა _ რაც რომ ქაღალდზე სწერია,

ვითომ დანტეჯან შესჭამე? განა ეს დასაჯერია?!...»

ვოდევილი «ორი მშიერი» საკმაოდ პოპულარული გამხდარა. რესპუბლიკის სახალხო არტისტი გიორგი დარისპანაშვილი თავის მოგონებაში «ჩემი ცხოვრების მძიმე თავგადასავალი» იხსენებს, რომ მურაშკოს თეატრის ყოფილ შენობაში (20-იანი წლები) სცენისმოყვარეთა ჯგუფმა მისი ხელმძღვანელობით მოამზადა სპექტაკლი «ორი მშიერი» და სოსო გრიშაშვილის პიესა.

შალვა კარმელი მრავალმხრივი ნიჭით იყო დაჯილდოვებული და იუმორის გრძნობა რომ საკმაოდ ჰქონია, ეს მის ვოდევილშიც ჩანს. მაგრამ მძიმედ დაავადებულ პოეტს იუმორისათვის ნაკლებად ეცალა. სატირისა და იუმორის ნიჭი მის უმცროს ძმას _ მწერალ კუკური გოგიაშვილსაც გამოჰყვა და მისი მოზრდილთათვის თუ პატარებისათვის დაწერილი მრავალი ლექსი, ფელეტონი თუ იუმორისტული მოთხრობაა გამოცემული.

3. 7. საბავშვო ლექსები

პოემა-ლეგენდა «ძმობილი» შალვა კარმელს თვითნაკეთ უბის წიგნაკში საკუთარი ხელით ჩაუწერია. ასევე თვითნაკეთ მეორე წიგნაკშია ჩაწერილი 13 საბავშვო ლექსი, რომელსაც უძღვნის უმცროს ძმას _ კუკურის. აქვეა რაჟდენ გვეტაძის, შალვა ამირეჯიბის და თვით შალვა კარმელის სხვა ლექსებიც.

«ორი პატარა თიკანის

დედაა ჩვენი მეკია.

სიხარულისგან ფრუტუნებს

და კუდი აუპრეკია...»

(«მეკია»)

აი, საწყალი წიწილას ისტორია:

«ჩვენს კრუხს მინდორში უეცრად

დაეცა შავი ყვანჩალა

და ერთი თეთრი წიწილი

წაიღო, წააჩანჩალა...»

(«წიწილის მოტაცება».)

საკუთარი ძმის სიყვარულითა და იუმორითაა გამსჭვალული ლექსი «ვირზე შეჯდომა», როცა ვირზე შემჯდარ ძამიკოს აფრთხილებს: «... ნუ ჯდები, ნუ აწვალებ ვირსაო, თორემ გადავარდები, გაიტეხავ ცხვირსაო».

ანცი თიკნებიც იუმორში ჰყავს დახატული შალვა კარმელს, რომლებიც «პროწიალობენ, ხტუნავენ» და «კბილებს ფოთლებზე ლესავენ»:

«მიდიან, მიკუნტრუშობენ

და გზაზე კურკლებს თესავენ!»

(«თიკნები»).

აი, დედა თხა მეკიას «ბოხჩით» დაუფარეს ჯიქანი, რომ თიკნებმა აღარ მოსწოვონ და ჭამას მიეჩვიონ. მეკიას კი მეტი რძე რჩება მოსაწველი.

ფისუნა კნავილით დადის, «თითქოს ამბობს მშიაო», პირსაც იბანს თათებით და თაგვებზე ნადირობს.

ზამთრის სურათს გვიხატავს პოეტი ტყეში, სადაც

«შეფარვია შაშვები

აშიშვლებულ სუროებს,

ავსებს ფიფქი ნაშვები

მუხის ძველ ფუღუროებს».

(«აბლი-ბაბლი».)

აყივლებულან მამლები, «ცისკარში პირველი სხივია», ფრთა-ფრთაზე შემოუკრავთ და ამაყად მღერიან. («მამლები ხეებზე».)

პატრიოტულ თემაზეა ლექსი «შობის ხე»

«... გავიზრდებით, ვახარებთ

ჩვენს სამშობლო მხარესა,

პასუხს გავცემთ უშიშრად

ყველა მტერ-მოყვარესა...»

ყველა საბავშვო ლექსი დაწერილია 1922 წელს.

თავი IV

შალვა კარმელის ლექსების სტრუქტურა

შალვა კარმელის ლექსების სტრუქტურა მრავალფეროვანია. მრავალფეროვანია აგრეთვე გარითმვის ხერხები. ვალერიან გაფრინდაშვილი აღნიშნავდა, რომ «არც ერთი ქართველი პოეტი ისეთი დაუღალავი სისწორით არ ახორციელებდა თავის ლექსებში ფორმულას ქალურ და ვაჟურ რითმების შესახებ, როგორც შალვა კარმელი».[80] ამას გარდა იგი ხმარობს დაქტილურ თუ ზედაქტილურ რითმებს, იქნება ეს შინაგან-გარეგანი, მოსაზღვრე, ჯვარედი თუ რკალური რითმა.

მაგალითად: ლექსი «შურისძიება უკვდავებით» ჯვარედი რითმითაა აგებული.

გადუქარა _ მუქარა,

უქრები _ გემუქრები

ლექსი დაწერილია ბესიკური ტაეპით (14 მარცვლიანი). შერეული რითმების ნიმუშად ლექსი «ვარდი შენ და ია მე» გამოგვადგება. I და II სტროფი დაქტილური ჯვარედი რითმითაა გაწყობილი, ხოლო II სტროფში გამოყენებულია შეწყობილი ანუ მდენარი რითმა:

I სტროფი: არწივის _ არ წივის

მანძილი _ მან ძილი.

II სტროფი: ღამე _ მე

მე _ მონამე.

II სტროფის რითმა III სტროფშიც გადადის

მე _ მონამე.

იამე _ ია მე

III სტრ. გავიოცნებოთ _ გავიოცებო

იამე _ ია მე.

შალვა კარმელი ლექსებში შიდა რითმებსაც იყენებს. მაგალითად ლექსი «მთვრალი თვალები»:

---

[80] ვ. გაფრინდაშვილი. «ლექსები, პოემა, ესეები, წერილები». თბილისი «მერანი». 1990. გვ. 558.

«თვალები , შენი მთვრალი თვალები, _

მზის მაყვალები მწვავედ ბნელია!

ულმობელია, ვით მტარვალები,

მრუშად მთვრალები როცა მელიან».

თვალები... თვალები.

... მაყვალები.. ბნელია!

ულმობელია... მტარვალები.

... მთვრალები ... მელიან.

ლექსი «სონეტი გიორგი სააკაძეს», I და II სტროფი რკალური რითმითაა დაწერილი, III სტროფი _ ჯვარედი რითმით, ხოლო IV სტროფი _ მოსაზღვრეთი. ეს ლექსი სონეტია თავისი ფორმით (14 მარცვალიანია). ლექსი «სანბენიტო»-ს I სტროფი ოქტავითაა დაწერილი, ხოლო II და III სტროფები _ 12 ტაეპიანია.

ტიციან ტაბიძე შალვა კარმელს უქებდა რითმას: «განსაკუთრებით აღსანიშნავია კარმელის სიყვარული რითმის, რომლის ხელში რითმა მართლა «დაემგვანა ოდალისკას».[81]

შალვა კარმელს ბევრი ლექსი სონეტის ფორმითა აქვს დაწერილი, ბესიკური 14 მარცვლიანი ტაეპი კი სონეტის კლასიკური ფორმაა. გვხვდება 10 მარცვლიანი (არასრული შავთელური), 7 მარცვლიანი (ბაიათი).

მაგ. ლექსი «ლოცვა ხანჯლებით»:

«დაგეხარბა ისლურად

მთვარე ამონაგორი.

მდაგე დარბაისლურად

ჰაშიშების თაგორი».

გვხვდება ასეთი სტროფიც: I ტაეპი _ 8 მარცვლიანია

II «___» 6 _ «___»

III «___» 8 «___»

IV «___» 6 «___»

[81] ტიციან ტაბიძის სიტყვა «შალვა კარმელის საღამო»-ზე, გაზ. « რუბიკონი» №4. 1923 წ.

9 მარცვლიან ლექსში «გოდება გრიგალში» პოეტი შალვა კარმელი იყენებს ალიტერაციას, სადაც თანხმოვანთა განმეორებით მუსიკალურად აძლიერებს გრიგალის ხმოვანებას:

«... წავიდეთ! წავიდეთ! _ აგრგვინდა
გრიგალში უდაბნო დღეები.
_ არ გვინდა! არ გვინდა! არ გვინდა!..._
პასუხად ქშუიან ხეები...»

ორიგინალური მეტრით გამოირჩევა ლექსი «სექტემბრის ავდრებში». I სტროფი 12 მარცვლიანია. II სტროფში 3 ექვსმარცვლიანი და 1 11 მარცვლიანი ტაეპია. III სტროფი: ერთი ტაეპი 12 მარცვლიანია, მეორე და მესამე, _ 6 მარცვლიანია, IV ტაეპი _ 11 მარცვლიანია. ეს თავისუფალი ლექსის ნიმუშია:

«... ძველ მზეს თუ აციებს!
ჰაერი მძიმდება.
ისევ გაწვიმდება.
ისევ და ნეტავ როდის გაიდარებს...
ავდრებს მწუხარება ტრაურს დაიდარებს.
მე გავალ წვიმაში
რომ მთვარის წინაშე...»
(«სექტემბრის ავდრებში.»)

ორიგინალური მეტრიკით გამოირჩევა აგრეთვე ლექსი «დიფირამბი ჰეტერას».

I ტაეპ _ 6 მარ.
IIტაეპ. _ 6 მარ.
IIIტ. _ 12 მარ.
IV. _ 6 მარ.
V. _ 6 მარ.
VI. 12 მარ.

ლექსის I სტროფი ექვსტაეპიანია, II სტროფი _ 7 ტაეპიანი, III სტროფი _ 4 ტაეპიანი 12 მარცვლიანი, IV სტროფიც 4 ტაეპიანია, მაგრამ 6 მარცვლიანი, V სტროფი _ 4ტ. _ 11 მარცვლით, ასევე VI სტროფიც 4ტ. _ 11 მარცვლით. ლექსი დაწერილია 1917 წელს.

დასანანანია, რომ შორენა იოსების-ას. ქურთიშვილის სადისერტაციო ნაშრომში ფ.მ.კ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად «XX საუკუნის ათიანი წლების ქართ. მეტრიკა», კერძოდ ავტორეფერატში, საერთოდ არ არის ნახსენები შალვა კარმელის ვერსიფიკაციული ძიებების შესახებ,[82] თუმცა დისერტაცია მოიცავს ქართული პოეზიის 1910-20 წლების პერიოდს.

ლექსი «ერთი დღე ტყეში» 4 ნაწილიანია. შედგება 12 ტაეპიანი ათმარცვლიანი სტროფებით, ჯვარედი რითმით (1918წ.).

აღსანიშნავია შალვა კარმელის ლექსები, ტრიოლეტის ფორმით დაწერილი. მაგ. ლექსი «საფირონის ტრიოლეტები» (1919წ.) კლასიკური ტრიოლეტის ფორმით არის დაწერილი. 3 ნაწილიანი ლექსია, სადაც I, IV და VII ტაეპები მეორდება, ასევე მეორდება II და VIII ტაეპები.

შალვა კარმელის ლექსებში გვხვდება აგრეთვე 5 მარცვლიანი, 8 მარცვლიანი, 10 მარცვლიანი, 14 მარცვლიანი და 16 მარცვლიანი ლექსები. გვხვდება 8 _ 6 _ 8 _ 6 მარცვლიანი სტროფები. მაგ. ლექსი «რიონი»:

«რიონი სჩქებს, რიონი ყეფს,
რიონი შლის ფაფარს...»
(1917).

პოემა «ძმობილი» დაწერილია ათმარცვლიანი ტაეპით, ჯვარედი რითმებით (1915). აი, პოემა «ლეილა»-ს თავები კი დაწერილია 8 _ 10 _ 14 _ 15 მარცვლიანი ტაეპებით მოსაზღვრე, ჯვარედი და ზუსტი რითმებით (1916). ვოდევილი «ორი მშიერი» დაწერილია 16 მარცვლიანი (შაირი) ტაეპით, მოსაზღვრე რითმით (1917).

დასკვნა

«სიმბოლისტებმა ლექსის მუსიკა ღვთაებრივ ფენომენად გამოაცხადეს. მათ მიერ მიღწეული მელოდიურობა და მუსიკალურობა თითქმის გასცილდა ადამიანურ

[82] შ. ი. ქურთიშვილი. «XX საუკუნის ათიანი წლების ქართული მეტრიკა». ქართ. ლიტ. ინსტ.-ი თბილისი. 2002. გვ. 26-28.

შესაძლებლობათა სფეროს».[83] ასეთი დასკვნა გამოაქვს პროფესორ სოსო სიგუას. რაც შეეხება შალვა კარმელის შემოქმედებას, მისი უფროსი კოლეგა და პირველი რედაქტორი _ ტიციან ტაბიძე, შემდეგ შეფასებას აძლევს : «შალვა კარმელი პირველი პოეტია საქართველოში, რომლის თემა არის ტუბერკულიოზი, მაგრამ ის შეგნებულად ერიდებოდა ამ თემის ექსპლოატაციას და მიუხედავად თავის 24 წლის სიცოცხლისა, მან მონახა პოეზიაში საკუთარი ხმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია კარმელის სიყვარული რითმის, რომლის ხელში რითმა მართლა «დაემგვანა ოდალისკას».[84]

რას წარმოადგენს შალვა კარმელის «საკუთარი ხმა»? პირველ რიგში ესაა თემების მრავალფეროვნება და ადამიანის ქვეცნობიერ თუ ცნობიერ პლასტებში წვდომის უნარი. ამის ნათელი მაგალითია პოეტის სიცოცხლეში გამოცემული ერთადერთი წიგნი «ბაბილონი» (1921)., სადაც მოცემულია პოეტური სულის მოგზაურობა დროში, ზეგარდასული ისტორიის ლაბირინთებში, კართაგენის კედლებიდან დაწყებული, ეგვიპტისა თუ ერანის გავლით დაშვებული ბაბილონის გოდოლისაკენ. არქაულობის განცდა, მითთან თანაზიარობა, გამქრალ ცივილიზაციათა შეგრძნება გახლავთ შალვა კარმელის პოეზიის ერთ-ერთი მთავარი თემა. იგი მიილტვის პოეზიის მწვერვალისაკენ მაშინ, როცა ასეთ ადრეულ ასაკში უკვე დამდგარა მის წინაშე ყოფნა-არყოფნის საკითხი, სიკვდილის სიახლოვე, მისი სუნთქვა ამძაფრებს პოეტურ შეგრძნებებს. მხოლოდ უდაბნოს უკიდეგანო სივრცეები თუ დაიტევდა მის ვნებათა ღელვას, კაცობრიობის წარსული ეხმიანებოდა პოეტის გენეალოგიას ეფემერულად. «გახელებული მოზვერის ძალით» იზიდავს მას რითმა «ავხორცად».

მნიშვნელოვანია გაირკვეს საკითხი, თუ რა არის სინამდვილეში სიძველით გატაცება _ ბუტაფორული ორიენტალიზმი თუ მიმდინარე ისტორიული პროცესებიდან ახალგაზრდა პოეტის თავის გარიდება, წარმოსახვით წარსულში შვების ძიება. საკმარისია იმ პერიოდის პატრიოტულ ლექსებს დააკვირდეთ, რომ გასაგები ხდება, თუ რა ცეცხლი უწვავდა გულს ახალგაზრდა მგოსანს და რა იყო მისთვის უპირველესი. თანატოსის უხილავ ძალას თუ ეროსის ფარულ მიმზიდველობასაც დაუჩნევია კვალი მის სულში.

---

[83] სოსო სიგუა. «კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა». თბილისი «მერანი» 1989. გვ. 138

[84] შ. კარმელი. «ბაბილონი». წერილი «შალვა კარმელის საღამო». ტ. ტაბიძის სიტყვა საღამოზე.

პაოლო იაშვილიც ხომ ღრმად განიცდიდა ასეთი პატრიოტისა და პოეტის დაკარგვას, მისგან «ქართველ გუმილიოვად!» მონათლული.

დემონური ძალების გამოყენებით თუ შესძლებდა პოეტი ამ «ბებერი ქვეყნის სტუმრების» შეცვლას, ყოველდღიურ ნიღბებს ამოფარებულნი რომ აღმოჩნდებოდნენ ხოლმე ხარონის ხელში და სრულდებოდა «კარნავალი» ამაოების.

თუმცა ყველაფერ ამას ტიტანური ძალა სჭირდებოდა, მაშინ როცა თოვლში გაციებულ ღარიბად გრძნობდა თავს «დანესტიანებული» ფილტვებით 22 წლის ახალგაზრდა. წმინდა ტერეზას სიტყვები ხომ მისი ცხოვრების დევიზად იყო ქცეული: «და მე ვკვდები, რადგანაც მე არ ვკვდები».

რაოდენი შინაგანი ენერგია და პოტენცია იყო საჭირო, რომ ორგვარ შინაგან წვაში, ფიზიკურსა თუ სულიერში მყოფ პოეტს შეექმნა ასეთი ნაზი ლირიული ლექსები _ კონტრაპუნქტი პირად ცხოვრებაში და იგივე შემოქმედებაშიც.

სიყვარულს მხოლოდ «უკვდავებით» ემუქრებოდა შალვა კარმელი და სიამაყით აცხადებდა, რომ «პოეზიაში არ მიტირია»-ო. ძნელი იყო პოეტის გზა მწვერვალისაკენ და ვალერიან გაფრინდაშვილი მას «ნამდვილ პარნასელს» უწოდებდა და ამბობდა, ქართული პოეზიის ტეოდორ დე ბანვილი გახდებოდა, რომ დასცლოდაო.

ქართული ტრადიციული სამიჯნურო ლირიკისათვისაც არ დაუკლია ხელი შალვა კარმელს, მან «ვარდი შენ და ია მე»-ს სტილის ლექსებიც შექმნა. არც ევროპული ტრადიციული ლირიკის _ სონეტის ფორმაა უცხო მისთვის, პირიქით, მრავალი სატრფიალო ლექსი ამ ფორმითაა შექმნილი. ბევრი ლექსის მელოდია, შიდა რითმების დახმარებით, ქმნის მუსიკალურ სურათს. ვ. გაფრინდაშვილი სონეტს «ლექსის თავადურ ფორმას უწოდებდა».

შ. კარმელის სონეტი «გამოთხოვება სულთან ავადმყოფ სხეულის» ხომ რეკვიემია მისი, სულთან ნათხოვნი პატიებით, «სისხლნაკლულ» სხეულში რომ ვერ ანებივრა «ლაჟვარდებით და საძოვრებით». ტრიოლეტის ფორმაც ხომ «ცისფერყანწელთა» საყვარელი სახე იყო ლექსისა, სადაც «თეთრ ყვავილებით ფანჯარასთან ფშვინვენ ტყემლები». არც ახალი სიტყვათწარმოება იყო უცხო შალვა კარმელისათვის მაგ. «მკერდანორჩილი» და სხვა.

პოეტის შემოქმედების იმპულსი მისი მირაჟული ქალბატონების ფეერიული სახეები ხდებიან: ლეილა, ლენორა, ლიგეია, სალამბო, სემირამიდა, კლეოპატრა, არიანა, გალატეა, ოფელია, ქალდეას ასულნი და მრავალი სხვა. შალვა კარმელის გაუტეხელი სულის მუდმივი ენერგიის წყარო სილამაზე და სიყვარულია. პოეტი ხომ მხოლოდ სონეტში აპირებდა თავის მოკვლას.

პატრიოტიზმი ორგანული ნაწილია შალვა კარმელის სულიერი საგანძურის. ეს ნათლად სჩანს მის ლექსებში: «სონეტი ნინოს», «თამარ», «სონეტი გიორგი სააკაძეს», «ბარათაშვილს», «ილიას» და მრავალ სხვა ლექსებში. 17 წლის მომავალი პოეტი ტყვეობიდან სამშობლოს გამოხსნას ისახავდა მიზნად (ლექსი «ბრძოლა» 1916). მისი ლექსები ეხმიანება რუსეთის იმპერიის დაშლასაც, დამოუკიდებლობის აღდგენას, აჭარის განთავისუფლებას და ა. შ.

შალვა კარმელი თავის ლექსებში ხშირად იყენებს ძველ ქართულ სიტყვებს, როგორც ძვირფას ქვებს და გარითმვის სხვადსხვა ხერხებს: ჯვარედი თუ რკალური, იშვიათად მოსაზღვრეს. შეიძლება ეს სამივე ხერხი ერთ ლექსშიც კი შეგვხვდეს (მაგ. «სონეტი გიორგი სააკაძეს»).

მკვეთრად გამოხატული სიმბოლისტური ლექსები შალვა კარმელის შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია. სწორედ ამიტომაც მისმა უფროსმა ძმებმა _ «ცისფერყანწელებმა» სიყვარულითა და დაფასებით მიიღეს იგი თავიანთ «ორდენში». ასეთი თემატიკა გასაკვირი არ არის იმ ეპოქისათვის და ბევრი ნიჭიერი ადამიანი ცდილობდა გამოეხატა თავისი დამოკიდებულება მიმდინარე პროცესებისადმი სხვადსხვა მიმდინარეობის სააზროვნო ტენდენციების გათავისებითა და ესთეტიკის მეშვეობით: იქნებოდა ეს სიმბოლიზმი, ფუტურიზმი, ავანგარდიზმი თუ სხვა. ქართველ სიმბოლისტების ლექსებში გამოჩნდა მოულოდნელი თემებიც, აქლემზე თუ ბაყაყზე (ეხმიანება ლოტრეამონის «გომბეშოს») _ შალვა კარმელის «გიჟი და ბაყაყები», «გედი» (ეხმიანება მალარმეს «გედს») ლექსები ტუბერკულიოზზე (ეს გასაკვირი არ არის), რომელიც ლაფორგის თემას აგრძელებს, რემბოს პირამიდების თემა და სხვა. რაც შეეხება ბოდლერის შემოქმდების გავლენას, შალვა კარმელს რამდენიმე ლექსი აქვს თარგმნილი. მისი დამოკიდებულება ამ პოეტისადმი იგრძნობა შესაბამისი ჟღერადობის ლექსებში, სათაურებიც შესატყვისია: «გოდება გრიგალში», «დიფირამბი

ჰეტერას». ჟღერადობა იქმნება შესაბამისი რიტმით. ასეთ ლექსებში რიტმის და ბგერათა მონაცვლეობით წარმოიშობა გრიგალის ილუზია, ხოლო ნაკადულივით მორაკრაკე ხმოვანება ჟღერს მის ლირიულ ლექსებში.

ნამყოს მირაჟები, სიმბოლიზმის ბურუსში გახვეული, ნამდვილი «ცისფერყანწელის» შემოქმედებისათვის ორდინარულია და გამოხმაურებაც არის ამ მიმდინარეობის ფრანგული საწყისებისა («თაისი და ნანა», «არიანა», «შუაღამის არიები», «ტრიოლეტები მუსტაზადებში», «თხელი ტუჩები» და ა. შ.), ასევე ახლობელი იყო პოეტისათვის ისტორიულ პირთა თუ ძველი ღმერთების სახეებიც.

განწირულობის მოტივები და ეროტიკული თემა _ თანატოსისა და ეროსის თანაარსებობის კლასიკური მაგალითია («მკვდარი ბრიუგგე», «სონეტი სანთიობოსთან», «ყელსახვევები»).

ისტორიული პირებისადმი თუ ლიტერატურული გმირებისადმი მიძღვნილი ლექსების რიცხვიც საკმაოდ დიდია: «სალამბოს ტრირემა», «ინფანტას მთვარეულს», «თაისი და ნანა», «სარდანაპალი», «სემირამიდის ბაღი», «კართაგენი», «დეზ» ესსენტს» და ა. შ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ფრანგი სიმბოლისტებისადმი მიძღვნილი ლექსები: ეს ვერლენი იქნება თუ ბოდლერი, რემბო თუ მათი სულიერი მამის _ ედგარ პოს სურათი. Bბოდლერის შემოქმედებით აღფრთოვანების შედეგი იყო შალვა კარმელისეული თარგმანები მისი ლექსების: «შუაღამის გამოცდა», «ალბატროსი», «უფსკრული», «მეამბოხე» და ალბერ სამენის «ვერსალი».

მეგობრებისადმია მიძღვნილი ლექსები: ვ. გაფრინდაშვილს, ი. ბარათაშვილს (სოსიკოს»), სევერიან მუსერიძეს («სევერიანს»). ამ უკანასკნელში პირველად ქართულ პოეზიაში ჩნდება ესპანელი ქართველების (ბასკების) თემა.

საერთო თემატიკა აქვთ შალვა კარმელის ლექსებსა და მისი კოლეგების შემოქმედებას. მაგ. ლექსი «ბაბილონის ბალაგანი» და გრიგოლ რობაქიძის «ამორძალ ლონდა»-ში ალექსანდრე მაკედონელისა და ამორძალთა წინამძღოლის სიყვარულის თემა _ ღარიბი ვერლენისა თუ მოხეტიალე პიეროს თემა პაოლო იაშვილთან, ბალთასარის, ქალდეას თუ პიერო _ კოლომბინას თემა ტიციან ტაბიძესთან, ოფელიასა და გედების, ავადმყოფ კოლომბინას, ბეატრიჩეს, ინფანტას, ლონდას სახეები ვალერიან

გაფრინდაშვილთან, ეგვიპტის მირაჟები და ჯოკონდას სახე კოლაუ ნადირაძესთან და ა. შ. ეს თემები და სახეები ქართველ სიმბოლისტებთან შემოსულია ფრანგული სიმბოლისტური სკოლის გავლენით. ეს თემებია ახლობელი შალვა კარმელისთვისაც.

შალვა კარმელის შემოქმედებაში მნიშვნელოვანია სატრფიალო-სამიჯნურო ნაკადიც. პოეტის ოცნების სათაყვანო ასულად ვირტუალური «ლეილა» ქცეულა, რომელსაც არა ერთი ლექსი და პოემაც კი მიუძღვნა. იოსებ გრიშაშვილის სახელზე გაგზავნილი მორიდებული წერილით (1916წ.) და ლექსით იმავე სახელწოდების ჟურნალისათვის იწყება ლეილასადმი მიძღვნილი ეს სია. ოკეანის სიღრმის დარი თვალებით, შემოისრული წარბ-წამწამებით თუ ვარდში სახული მშვენებით, ავადმყოფობითა თუ გრძნობებით გულდაკოდილი მგოსანი, სიყმაწვილის სულის რწმენით და ახალი დღის მზის სხივის იმედებით გაჟღენთილი ადრეულ ლექსებში, პოეტი არც თავის გიმნაზიელ მეგობარს ივიწყებს. ამ პერიოდის ზოგიერთ ლექსს ყმაწვილური სენტიმენტალიზმისა და პროვინციალური მიამიტობის ელფერი დაჰკრავს. მაგრამ ამავე პერიოდში შექმნილ სხვა ლექსებს მომავალი ნიჭიერი პოეტის ხელი ეტყობა (მაგ. «უხილავს», «ო, რათა,» «მარტოობა» და სხვა).

ლეილასადმი მიძღვნილი პოემა გამოუქვეყნებულია (1915წ.). აკლია რამდენიმე თავი. ყველა ერთი მხატვრული დონის არ არის, მაგრამ მასში არის სხვადასხვა მეტრით დაწერილი თავები, სათუთი ლირიზმითა და ფილოსოფიური სიღრმით აღსავსე.

გამოუქვეყნებელია შალვა კარმელის მეორე პოემაც «ძმობილი» (1915), რომელსაც ავტორი ლეგენდას უწოდებს. პოემაში აღწერილი ჭაბუკი მგოსნისა და ქალწულ ცირას ტრაგიკული სიყვარულის ამბავი, რომელიც ბერძნული ტრაგედიის ფაბულას მოგვაგონებს თითქოს _ და-ძმურად გაზრდილნი, ერთმანეთს შეიყვარებენ და ადამ და ევას ცოდვას ეზიარებიან. დათქმული და-ძმობის პირობის შელახვის გამო ყმაწვილი თავს დაიხრჩობს... ყმაწვილური ვნების უნებლიე ცოდვა მომხიბლავია მონანიების ყველაზე ღირეული სახით _ საკუთარი სიცოცხლის ფასად და თითქოს წმინდა ცოდვის კატეგორიაში გადადის თავისი სიწრფელით.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის პედაგოგებს დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართველი ახალგაზრდების აღზრდისა, მათ ღირსეულ მოქალექეებად და მოღვაწეებად ჩამოყალიბების საქმეში. საკმარისია მათი აღზრდილების დასახელებაც: კ.

გამსახურდია, აკ. ფაღავა, გ. ახვლედიანი, აკ. ბელიაშვილი, შ. რადიანი, ს. კლდიაშვილი, ს. გაჩეჩილაძე, დ. გაჩეჩილაძე, გრ. ნუცუბიძე, კ. პატარიძე, აკ. ვასაძე, დ. მჭედლიძე, კარ. დონდუა, ივ. ყიფიანი, პ. ბახტურიძე, ლ. ასათიანი, დ. ჩხეიძე, ს. ამაღლობელი, შ. გოგიაშვილი (კარმელი), დ. რონდელი, ნიკ. შენგელაია და მრ. სხვა. მოსკოვში თეატრალური განათლება მიღებული აკაკი ფაღავა გიმნაზიაში რუსულს ასწავლიდა და მისი მოღვაწეობა ქუთაისის დრამატულ საზოგადოებაში გიმნაზიელებზეც ახდენდა გავლენას. ისინი ხშირად წარმოდგენებს მართავდნენ და ამის შედეგი იყო, რომ შალვა კარმელმაც დაწერა ერთმოქმედებიანი ვოდევილი «ორი მშიერი», სადაც მოხმობილია გაუცხოების მეთოდი (მოქმედება საფრანგეთის «ტრაქტირში» ხდება), თუმცა მისამღერ კუპლეტებში ასახულია პოლიტიკლური ცხოვრების სპექტრი 17-იანი წლებისა საქართველოში.

შალვა კარმელს საბავშვო ლექსებიც აქვს დაწერილი, მიძღვნილი მისი უმცროსი ძმისადმი. სხვადასხვა ცხოველები თუ ფრინველები იუმორშია დახატული და სახალისო საკითხავია ბავშვებისათვის.

შალვა კარმელის ლექსების სტრუქტურა, ისევე როგორც თემატიკა მრავალფეროვანია. მრავალფეროვანია გარითმვის ხერხებიც. ვალერიან გაფრინდაშვილი აღნიშნავდა, თუ როგორი «დაუღალავი სისწორით» ახორციელებდა შალვა კარმელი ქალურ და ვაჟურ რითმებს. ამას გარდა, იგი ხმარობს დაქტილურ თუ ზედაქტილურ რითმებს, იქნება ეს შინაგანი თუ გარეგანი, მოსაზღვრე თუ ჯვარედი ანდა რკალური რითმა. ხშირად ხმარობს შერეულ რითმებს ერთ ლექსში. მაგ. ლექსი «ვარდი შენ და ია მე» I და III სტროფი დაქტილური ჯვარედი რითმაა გაწყობილი, II სტროფში კი შეწყობილი ანუ მდენარე რითმაა გამოყენებული.

ემფატიკურობის გასაძლიერებლად შალვა კარმელი ლექსებში ალიტერაციას და შიდა რითმებსაც იყენებს.

შალვა კარმელს ბევრი ლექსი სონეტის ფორმითა აქვს დაწერილი,ბესიკური 14 მარცვლიანი ტაეპები ხომ სონეტის კლასიკური ფორმაა. გვხვდება 10 მარცვლიანი (არასრული შავთელური), 7 მარცვლიანებიც (ბაიათი). არის მარცვლების რაოდენობის მონაცვლეობაც _ 8 _ 6 _ 8 _ 6. გვხვდება ორიგინალური მეტრითაც დაწერილი ლექსები: მაგ. I სტროფი _ 12 მარცვლიანი, II სტროფი სამი ექვსმარცვლიანი და ერთი 11

მარცვლიანი ტაეპია, III სტროფი _ 1 ტაეპი 12 მარცვლიანია, II და III ტაეპები 6 მარცვლიანია, IV ტაეპი კი 11 მარცვლიანი. ეს თავისუფალი ლექსის ნიმუშია. ტრიოლეტის ფორმასაც ხშირად მიმართავს პოეტი. ასე რომ შალვა კარმელის ვერსიფიკაციული ძიებები მრავალნაირია. მრავალფეროვანია მისი ორი პოემის მეტრიკაც

ჩვენს ნაშრომში იძულებული ვიყავით მიგვემართა ლექსებიდან ნაწყვეტების ხშირ ციტირებას, რადგან მკითხველისათვის ნახევარზე მეტი უცნობია (რადგან გამოუქვეყნებელია).

ასე, რომ შ. კარმელის ტექსტების ანალიზთან ერთად ნაშრომი მათი უცნობი ნაწილის წარდგენასაც ისახავდა მიზნად.

ნუგზარ კუკურის-ძე გოგიაშვილი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პოლ ვალერი, «რჩეული პროზა», თბილისი, «ნაკადული», 1983, თარგმ. ბ. ბრეგვაძის.
2. მურავიოვა, «ჰიუგო», 1964, თარგ. ე. გოგოლაშვილის
3. Л. Н. Толстой, Собр. соч. I серия. VIII. Т. 1912 г.
4. გ. ბენაშვილი, წერილი «ცისფერყანწელის» ამაყი და კეთილშობილი სილუეტი», შ. კარმელის წიგნის «ბაბილონი» შესავალი, თბილისი, 2000 წ.
5. გრ. რობაქიძე, «შუამდინარელს», გაზ., «საქართველო», 1920, №98.
6. ა. ბაქრაძე, «კარდუ», თბილისი, 1999.
7. «ცისფერი ყანწები», ჟურნ, 1916, №1.
8. ARS, 1918, II-III.
9. გრ. რობაქიძე, «დაბრუნება მიწასთან», წერილი, გაზ., «რუბიკონი», 1923, № 1-4
10. ტ. ტაბიძე, «მიმოხილვა», წერილი, გაზ., «პოეზიის დღე», 1923, №1.
11. პ. იაშვილი, «კარმელი მართალი», გაზ., «რუბუკონი», 1923, №3.
12. ვ. გაფრინდაშვილი, «შალვა კარმელი», გაზ., «რუბიკონი», 1923, №3.

13. ი. ბარათაშვილი, «მოგონება შალვა კარმელზე», «ლიტერატურის მატიანე», 1982, №7-8.
14. კ. გოგიაშვილი, წერილი, «წარსულიდან», პირადი არქივი.
15. რ. გვეტაძის არქივი, ფ., №3661., გ. ლეონიძის სახ. ქართ. ლიტ. მუზეუმი.
16. ნ. ჩხიკვიშვილი, «და ვერ გიშველა შენ ჩვენმა ძმობამ», გაზ., «ლიტერატურულო საქართველო», II, №5, 1996 წ.
17. შ. აფხაიძე, «შალვა კარმელი», გაზ., «რუბიკონი», 1923, №4.
18. შ. კარმელი, ოჯახური არქივი.
19. ნ. გოგიაშვილი, «პაოლო იაშვილის უცნობი წერილი», გაზ., «კალმასობა», 2001, №5.
20. «სამი საფლავი», სარედაქციო წერილი, გაზ., «რუბიკონი», 1923, №3.
21. კ. ნადირაძე, «რაც ლექსად ვერ ვთქვი», «მერანი», თბილისი, 1984.
22. ტ. ტაბიძე, «შალვა კარმელი», «რუბიკონი», 1923, №3.
23. რ. გვეტაძე, «შალვა კარმელი», გაზ., «რუბიკონი», 1923, №3.
24. რ. გვეტაძე, «შალვა კარმელს», ლექსი «ტრიბუნა», 1921, №21.
25. კ. ნადირაძე, ლექსი «შალვა», გაზ., «რუბიკონი», 1923, №4
26. კ. ნადირაძე, შესავალი წერილი, «მეგობრის გახსენება», შ. კარმელის წიგნისათვის «ლექსები», თბილისი, 1970.
27. რუბიკონელი, «ქუთაისში», (შალვა კარმელის დასაფლავება), გაზ., «რუბიკონი», 1923, [1]4.
28. «შ. კარმელის საღამო», გაზ., «რუბიკონი», 1923, №4.
29. პ. იაშვილი, «პირველთქმა მანიფესტი», ჟურნ., «ცისფერი ყანწები», 1916, №1.
30. ტ. ტაბიძე, წერილი «ცისფერი ყანწებით», ჟურნ. « ცისფერი ყანწები», 1916, №1.
31. გრ. რობაქიძე, ARS, 1918, II-III.
32. ს. კლდიაშვილი, «ახლობელი და შორეული», (მოგონებები), თბილისი, 1964.
33. ს. სიგუა, «ქართული მოდერნიზმი», თბილისი, 2002 წ.
34. გ. გოლენდი, გაზ., «საქართველო», 1917, №237.
35. კ. ავალიშვილი, «იყო ასეთი პოეტი», გაზ., «ქუთაისი», 1979, 6, IX.
36. დია ჩიანელი, «გიონ დარანა», თბილისი, 1970.
37. რ. კვერენჩხილაძე, «საქართველოს მწერალთა კავშირი 1917-1982», თბილისი, 1983.

38. ტ. ტაბიძე, «ქიმერიონი», გაზ., «ბარიკადი», 1922, №5.

39. ლ. გუდიაშვილი, «მოგონების წიგნი», 1979 წ.

40. ნ. გოგიაშვილი, «შალვა კარმელის პოეტური მემკვიდრეობიდან», ჟურნ., «ცისკარი», 2001 წ, №4.

41. ნ. გოგიაშვილი, «შალვა კარმელის ლექსების ტექსტის დადგენისათვის», ჟურნ., «მნათობი», 1999, №11-12.

42. ა. გაწერილია, «რამდენიმე სიტყვა პოეზიაზე», რჩეული ნაწერები, «მერანი», 1978, ტ., II.

43. გ. აბზიანიძე, «შალვა კარმელი», სილუეტი, ჟურნ., «კრიტერიუმი», 2001, №3.

44. პ. იაშვილი, «წერილი პავლე გოგიაშვილს», ოჯახური არქივი.

45. კ. კაპანელი, «ქართული სული ესთეტიურ სახეებში», ტფილისი, 1926 წ.

46. ვ. გაფრინდაშვილი, «ლექსები, თარგმანები, ესეები და ა. შ.», «მერანი», 1990.

47. ტრ. ხუნდაძე, «ქუთაისის ქართული გიმნაზიის ისტორიიდან», თბ., უნივერსიტ გამომც., 1976.

48. ს. სიგუა, «კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა», თბილისი, «მერანი», 1989.